


DAMT BEBERASWLI



BIROSWEBA  
MASSUBEBBA

ლავით ბეგერაშვილი

me,  
pirovneba,  
Tavisufleba

თბილისი  
2023

ეს წიგნი მხატვრული და ფილოსოფიური ნაწარმოებების კრებულია (ესეები, ჩანახატები, მოთხრობები, ლექსები). აյ არის სახალისო ამბებიც, მსუბუქი იუმორიც, აზრის გაზიარებაც და ერთგვარი მიპატიუებაც სააზროვნოდ სხვადასხვა თემაზე: რწმენა, სიყვარული, შემოქმედება, პიროვნება, თავისუფლება და სხვა.

რედაქტორი – დავით ბებერაშვილი

ტექრედაქტორი – კახაბერ რუსიძე

დიზაინერი – გიორგი ჩიქვინიძე

ფოტო გარეკანზე – ლევან ხერხეულიძე

© დავით ბებერაშვილი 2023

გამომცემლობა „მერიდიანი“



დაგემზდა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

☎ 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com

ISBN 978-9941-34-416-9

\* \* \*

ჩნდება კითხვები, ვერსად გავაგდე:  
რა სჯობს ვაკეთო, რა გზას დავადგე?  
რა არის ბედი, სულ რომ თან დამდევს?  
ან რას დავტოვებ, როგორც ნაკვალევს?

ცოვრება როგორც ატრაქციონი,  
გართობისათვის მებოძა, იქნებ?..  
თუ სინანულის, მონანიების,  
ვალის მოხდისთვის მომეცა ის მე?..

ან, იქნებ, როგორც სასწავლებელში,  
როგორც სკოლაში გამიშვეს ქვეყნად,  
რათა ვისწავლო კლასიდან კლასში,  
კურსიდან კურსზე ავმაღლდე ზეცად?..

თუ ყველაფერი ილუზია?!.  
და არ არსებობს არც არაფერი?..  
გარდა იმ „ნების და წარმოდგენის“?..  
არცთუ კეთილი არის ყოველი?..

„არვინ დაგჩაგროს!.. აქეთ წაგლიჯე,  
თუკი ცხოვრება ბრძოლის ველია!“ –  
ნუთუ, ასეთი ყოფა ღირსების  
და სათხოების შესაფერია?!..

შენ რომ გიყვარს და მასაც უყვარხარ! –  
ბედნიერებაც, ხომ, ამაშია!..  
მეუღლე, ბავშვი... ოჯახი სავსე –  
ყველაზე კარგი ეს თამაშია!..

გაუგებრობაც, ჩხუბიც, ღალატიც –  
ურთიერთობებს ხშირად სჩვევია...  
არის კი ვინმე ამქვეყნად კაცი,  
გაწბილებას რომ გადარჩენია?!


იქნება, ცხოვრება ჩვენით თამაშობს...  
როგორც უგნური, პატარა ბავშვი!..  
ხან მიმოგვაბნევს ქვიშის მარცვლებად,  
ხან ვარსკვლავებად აგვტყორცნის ცაში...

ეს საოცარი დედაბუნება!..  
რა სილამაზე, რამხელა გონი!..  
ცხოვრებაში კი ბევრია ტანჯვა...  
რაღაცაშია აქ საქმე, მგონი...

ნუთუ, იმისთვის გავჩნდი ამქვეყნად...  
ნუთუ, ამდენი ტკივილი, ტრავმა –  
მხოლოდ ბიძგია გამოფხიზლების,  
რათა გაცხადდეს: ვინა ვარ, რა ვარ?!..

კვლავ ჩნდება კითხვა, ვერსად გავაგდე:  
რა სჯობს ვაკეთო, რა გზას დავადგე?..  
თუმცა, ამაზე ხმამალდა ფიქრი –  
არის უაზრო და სისულელე.

მაშ, დავდუმდები, ხმას არ გავიღებ,  
ნულარც ამაოდ ბორგავს გონება!..  
ხომ, ნათქვამია, რომ ადამიანს  
ღმერთი სიჩუმით ესაუბრება.





FIQRTA TALREBI

ფრაზები და მინიატურები



## ფიქრთა ტალღები

რა აზრი აქვს წერას? – საკუთარი უნარების რეალიზაციისა და ერთგვარი თვითშემეცნების გარდა, ეს არის მკითხველთან ურთიერთობა, შენი აზრის და, საერთოდ, შენი თავის გაზიარება სხვისთვის. კარგია, თუკი ამას მოახერხებ ლამაზად, საინტერესოდ... და თუ ამით ვინმეს გაამდიდრებ, სიხარულს მოუტან.

მარტო წიგნი როდი გამოიცდება მკითხველით, მკითხველიც გამოიცდება წიგნით.

პომპიც, ხომ, არა მარტო აფეთქების სიმძლავრით ფასობს, არამედ იმითაც, თუ რამდენად მცირე ზომისაა – ვამბობ, ხოლმე, ჩემთვის, როცა მოკულედ ვწერ.

რა არის ხელოვნებაში მთავარი: „რა“ თუ „როგორ“? – რა თქმაუნდა, „რა“... და „როგორ“!

ხელოვნებაში, უმთავრესად, სწორედ „როგორ“ წარმოადგენს „რა“-ს!

„მხატვრულობა“ – ეს, უბრალოდ, პირობითი ტერმინია, რომლითაც აღვნიშნავთ იმ იდუმალსა და ვერბალურად მოუხელთებელს, ნაწარმოებს ხელოვნების ნიმუშად რომ აქცევს.

აზრის სილამაზეს თვალით ვერ დაინახავ.

იხსნის თუ არა ქვეყნიერებას სილამაზე შეფუთვისა, მასში შეფუთული შხამისგან?

ზოგი აზრი შიშველიც მომხიბლავია, ზოგი კი მთლიანად სიტყვიერ შესამოსელზეა დამოკიდებული.

ცნობილ ჭეშმარიტებებს წამდაუწუმ უხდებათ სამოსელის ცვლა უფრო ახლით და მოდურით, რათა კვლავაც მიღებულ იქნენ საზოგადოებაში.

\*

რა არის ჭეშმარიტება? – ისე კითხულობენ, როგორც იკითხავდნენ: „რომელი საათია?“

ჭეშმარიტება არა მარტო შესამეცნებელია, არამედ, ზოგჯერ, აღსასრულებელიც!

ფილოსოფოსობა მაგონებს საბავშვო „კალეიდოსკოპით“ თამაშს: ოდნავ მოაბრუნებ – სხვა სურათია, კიდევ მოაბრუნებ და – კიდევ სხვა სურათი!

ალუბლის ხე ჯერ აყვავილდება, ხოლმე, შემდეგ კი ყვავილს ნაყოფი ცვლის... ფილოსოფოსობა ადამიანის ყვავილობას ჰგავს... მაგრამ ნაყოფი რაღა უნდა იყოს?

მას შემდეგ, რაც ფილოსოფიამ თავისი ინტერესების სფეროები სხვადახვა მეცნიერებებად დაარიგა, ბევრის აზრით, ფილოსოფოსობა ახლა უკვე არაფრისმაქნისი წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი... ზოგი გონებრივ მასტურბაციასაც უწიოდებს!

თუ ფილოსოფიის დანიშნულებაზე მიდგა საქმე, ეს ნიშნავს, რომ უკვე ვიმყოფებით გარკვეულ მსოფლმხედველობაში: როცა ყველაფერს და მათ შორის ფილოსოფიასაც რაღაც დანიშნულება უნდა ჰქონდეს, „აბა, ისე რა ბედენა!“

ფილოსოფოსი ჭვრეტს და ათვალსაჩინოებს იმას, რაც, ჩვეულებრივ, დაფარულია.

\*

ჩვენი თავი ყველაზე ჭკვიანი იმიტომაც გვგონია, რომ ჩვენს ჭკუას ჩვენივე ჭკუით ვზომავთ.

სულელი, რომელმაც იცის, რომ სულელია, უფრო ბრძენია, ვიდრე ჭკვიანი, რომელსაც თავი ბრძენი ჰგონია.

აზროვნების ორგანოებია: კუჭი, სასქესო ჯირკვლები, გული და, ბოლოს, ტვინიც.

გონება უმთავრესიაო – ამას მხოლოდ გონება გაიძახის.

ვერა და ვერ ვთქვი სოკრატესთან ერთად: მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი-მეთქი!.. სულ მეჩვენება, რომ რაღაც-რაღა-ცეები კიდევ ვიცი.

\*

ამპარტავნებს და ეგოისტებს გულში ეკლად ესობათ, ხოლმე, ჩე-მი ეგოიზმი და ამპარტავნება.

ზოგი არა-ჩვეულებრივია, ზოგიც – არა-ნორმალური!

ბავშვური „მომერევი?“ უფროსებშიც გრძელდება.

პიროვნების უმთავრესი ღირსება თავმდაბლობაა, რომლითაც ვერ იამაყებ... თუმცა, ზოგი თავმდაბლობითაც ამპარტავნობს.

თუ ყველა ცდილობს სხვას თავი მოაწონოს, ვინდაა ის სხვა, ვი-საც უნდა მოეწონოს?

\*

შესაძლებელია თუ არა მეგობრობა ქალსა და კაცს შორის? – გააჩინია კაცს, ქალს... და მეგობრობას.

ზოგ ქალს, მაინც, უნდა მიეცეს მრუშობის უფლება, თორემ, ვი-ღასთან იმრუშებენ მამაკაცები?!

წარმოგიდგენიათ, მოწოდება: „დაიცავით თავი და გაუფრთხილდით ერთმანეთს!“ – პრეზერვატივის რეკლამა აღმოჩნდა!

პანთეისტებისთვის ღალატი, წესით, არ უნდა არსებობდეს – ისი-ნი, ხომ, ყველაში მხოლოდ იმ ერთ ღმერთს ხედავენ!

ზოგი ცოლი თანახმაა ქმრისთვის თავი გასწიროს!.. მაგრამ არ არის თანახმა, უბრალოდ, გაჩუმდეს, როცა ამას ქმარი სთხოვს!

მეუღლეს ნუ შეურაცხყოფთ, თუ არ გინდათ, რომ შეურაცხყოფილის მეუღლე იყოთ!

ქალში მხიბლავს ერთადერთი რამ – სილამაზე... გარეგნული და შინაგანი.

ის, ვიზეც ხარ შეყვარებული, შენთვის ისევეა გამორჩეული სხვე-ბისგან, როგორც ანთებული აბაჟური – ჩამქრალებისგან. და მაშინ აბაჟურის ფორმაა მნიშვნელოვანი თუ სინათლე?

სიყვარული-მიჯნურობა სოციალიზმ-კომუნიზმს იმით გავს, რომ თავიდან ორივე ძალზე მომხიბლავი ჩანს!

ყველა ბავშვი კარგი რომ ყოფილიყო, მაშინ ყველა უფროსიც კარ-გი იქნებოდა – უფროსები, ხომ, ბავშვებისგან წარმოიშობიან!

საკუთარ შვილს დედას ნუ შეაგინებ – შეიძლება აგიხდეს!

\*

ზოგი თავისი მოვალეობის აღსრულებას მიიჩნევს ბედნიერებად; ზოგსაც ბედნიერად ყოფნა მიაჩნია თავის მოვალეობად.

ქვეყნად ამდენი გაჭირვება, იქნებ, იმისთის არის, რათა ადამი-ანების მოთმინება, შეუპოვრობა, სიმამაცე და სიკეთე გამოჩნდეს?!

მზე უხვად გვიგზავნის სითბოს და სინათლეს... და, თან, გადასახა-დებსაც არ გვთხოვს ამისთვის!

გახარებული კაცი კეთილი ხდება, ხოლმე... ასე რომ ერთმანეთის გახარება სარფიანი საქმე უნდა იყოს!

\*

ხასიათი მაქვს ცუდი, თორემ, თავად მე ძალიან კარგი ვარო – მიმტკიცებდა ერთი.

ნამდვილად წესიერი ადამიანი გამუდმებით იკვლევს, თუ რაშია ნამდვილი წესიერება!

„მიყვარს ადამიანები“ – პირი გააწკლაპუნა კაციჭამიამ.

სტალინი „მსოფლიოს ბინძური პოლიტიკური თამაშების“ გამარჯვებული იყო! შენიანის ჩემპიონობით სიამაყე კი ჩვეულებრივი რამეა... მორალს, ხომ, არც სპორტში გამარჯვებულებს სთხოვენ!

ზოგიერთს ცხოვრება მიაჩნია რაღაც ისეთ აზარტულ თამაშად, სადაც საკუთარი გამორჩენისთვის ყოველგვარი ტყუილი, ძალადობა და ნებისმიერი მზაკვრობა მოსულა.

ჰომოფონი კოშმარულ სიზმარში ისეთ კუნძულზე გაიჭედა, სადაც მხოლოდ „ცისფერები“ და „ვარდისფერები“ ცხოვრობენ... და ახლა იქ ერთადერთი „არანორმალური“ თვითონაა.

ყველას უნდა, რომ იყოს კარგად!.. მაგრამ ყველას როდი უნდა, რომ იყოს კარგი!

ყოველ ჩვენგანში სიკეთეც არის და ბოროტებაც... მთავარი ისაა, ჩვენ სად დავიდგენთ თავს.

\*

ზოგჯერ ტყუილის თქმის გარეშეც ვიტყუებით.

იქნებ, ზოგჯერ იმაშია ჭეშმარიტება, რომ სიმართლე არ თქვა?!

უურნალისტები სენსაციებისა და სკანდალების სისხლით იკვებებიან; ისნი როგორც ძალლები ძვალს, ისე ლოლნიან, ხოლმე, რაიმე ახალ ამბავს.

ტექნიკურმა პროგრესმა ბევრად შეუმსუბუქა ჯაფა ეშმაკებს.

ეშმაკებს აღარ სჭირდებათ კუდში სდიონ ადამიანებს, ადამიანები თვითონვე უსხდებიან თავიანთ ტელევიზორებს.

ეშმაკი წვრილმანი სიმართლეებითაც გვაცდუნებს – რათა მთავარ ჭეშმარიტებას აგვაცდინოს.

\*

რა მოხდებოდა, უმრავლესობის აზრი, იმავდროულად, ჭკვიანუ-  
რი აზრიც რომ ყოფილიყო!

ხალხი ბრძენია? სულელიც არის!.. კეთილია? ბოროტიც არის!

„ხალხის ძალაუფლებას“ პოლიტიკოსები ხალხზე ძალაუფლები-  
სთვის იყენებენ.

როგორ უნდა მოექცე ძალლებს, რომლებიც მგლებად გექცნენ?  
– ასეთ შემთხვევაში ისინი თვითონ მოგექცევიან!

\*

გონება უფრო სარწმუნოა თუ რწმენა უფრო გონივრულია?

რა სჯობს: გნამდეს, მაგრამ არ იცოდე, რა გნამს... თუ იცოდე,  
მაგრამ არ გნამდეს, რომ რაც იცი – ჭეშმარიტებაა?

თუ „მნამს, რადგან აბსურდია“, მაშინ ორი სარწმუნოების და-  
პირისპირება ორმაგი აბსურდი იქნება... უფრო სწორად, სამმაგი!

ორჯერ ორი ოთხია... და არა აქვს მნიშვნელობა, ორი ვაშლი იქნე-  
ბა ორჯერ აღებული, ორი ბანანი თუ ორი ბრონეული.

ჯერაც აუნთებელი სანთლები ხშირად კამათობენ იმაზე, თუ რა  
არის და როგორია ცეცხლი.

თავად თუ არ ხარ ანთებული, მარტო ცეცხლზე ლაპარაკით ვე-  
რავის აანთებ!.. ვერც გაათბობ და ვერც გაანათებ.

ზოგი სანთელი იმიტომ ვერ ინთება, რომ ფითილი აქვს სველი.  
– მაგას რა გააშრობს!

იცოდა თუ არა ევამ, რა არის ტყუილი, გველისთვის რომ მიეხა-  
ლა: „რეებს ბაზრობ, დაახვიე აქედანო!“

ადამის მიერ ევას შეცნობის ბიბლიურ ამბავთან ერთად არავი-  
თარ შემთხვევაში არ უნდა ვახსენოთ მოწოდება: „შეიცან თავი შენი!“

როცა ღმერთს პურს სთხოვ, კარგად უნდა შეამოწმო, ნამდვილად პურს ითხოვ თუ ქვას.

მამა-ღმერთი უფრო გიყვარს თუ დედა-ბუნება?

ერთი მიყვებოდა: პირველად რომ წავიკითხე ბიბლია, სიუროე-ალისტური აბსურდი მეგონაო!.. ვერც იმას მივხვდი, რატომ ერქ-ვა სახარებას „სახარება“, რა უნდა გამხარებოდა – ის, რომ, თურმე, გადასარჩენად მაქვს საქმე?!.. და, თან, დაღუპვა უფროა შესაძლე-ბელი, ვიდრე გადარჩენა?!.. და საერთოდ, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ძველი აღთქმა – ეს არის ნაციზმი და ფაშიზმი, ახალი აღთქმა კი – სოციალიზმი და კომუნიზმი.

როდესაც არ სწამთ – ეს ზოგჯერ, შეიძლება, უპრალოდ, იმას ნიშნავდეს, რომ არ უნდათ თავი მოიტყუონ.

ნუთუ, აზრზე მოსასვლელად არ არსებობს სხვა გზა, გარდა ტან-ჯვისა?!

რომელ საქმეში დააბანდოს ფული – ბევრისთვის უფრო მეტად საჭოჭმანო საკითხია, ვიდრე ის, თუ რომელ რელიგიაში დააბანდოს მთელი თავისი ცხოვრება!

ვინ ენდობა ბანკს, რომელიც დივიდენტებს იმქვეყნად გპირდება?!



## **ფარნავაზიანი**

მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ქართველთა ექვსსაუკუნო-ვან რელიგიურ ტრადიციას ჯვარი დაესვა.

### **რჩეული ერი?**

ახარებს თუ არა თავისი რჩეულობა ცხვარს, სამსხვერპლოდ შერჩეულს?

\*

ვის შეუძლია გაიგოს, რომ ქრისტეს ჯვარცმით გაღებული მსხვერპლი ქრისტესთან ერთად მისი ჯვარმცმელებიც არიან?

### **არაქრისტიანული ქრისტიანობა**

ქრისტიანობის ისტორია მაფიქრებინებს, რომ არსებობს ქრისტიანული ქრისტიანობა... და არაქრისტიანული ქრისტიანობა... და ამ უკანასკნელის წილი შეუდარებლად მეტია!

### **ავტორიტეტი**

ზოგი არ ცნობს არავითარ ავტორიტეტს და მხოლოდ საკუთარ გრძობას, გონებას და გამოცდილებას ეყრდნობა. მაგრამ ვინც სხვა ვინმე ავტორიტეტს მიჰყვება, განა, ისიც ისევ საკუთარ თავზე დაყრდნობით არ მიიჩნევს ამ სხვა ვინმეს ავტორიტეტად?!

\*

მოაზროვნე ადამიანი სიმართლით, სიკეთით და სილამაზით ზომავს ტრადიციას და ავტორიტეტს... და არა პირიქით!

## **კვერცხის ნაჭუჭი**

კვერცხის ნაჭუჭიც იცავს მასში მყოფ წიწილის ჩანასახს... მა-გრამ მერე იგივე ნაჭუჭი დაბრკოლებად იქცევა... და მაშინ ის უნდა დაიმსხვრეს!

## **ლირებულების საზომი**

თანამედროვე თაობას თავისებური ხედვა აქვს:  
ლირებულება მასა აქვს, რას უფრო მეტი „ნახვა“ აქვს!

## **„თავისუფალი არჩევანი“**

შენ არ იცი რომელ ხელშია მომუჭული ბედნიერი ბილეთი... მა-გრამ შენი ნებაა რომელ მუჭას დაადებ ხელს... და ამას „თავისუფალ არჩევანს“ ეძახიან!

## **„ოქროს წესი“**

“მოექეციო სხვას ისე,  
როგორც გინდა, რომ მოგექცნენ“...  
ზოგჯერაც, გინდა მოექცე  
ისე, როგორც შენ მოგექცნენ!

## **პარადოქსი**

„ურნმუნოებს“ სწამთ იმ საოცარი და გამაოგნებელი სასწაულის, რომელსაც „მორნმუნები“ ვერაფრით იჯერებენ: რომ მთელი ეს სამყარო და ყველაფერი, რაც კი რამ არსებობს და ხდება, თავისთავად არსებობს და ხდება!

## **როგორც გოლი და პენალტი**

როდის არსებობს აუტი, პენალტი... ანდაც, გოლი?

– როცა თამაშობ ფეხბურთს... და მწვანე არის მოლი!..

„დაიჩოქე და ინამებ, რომ არსებობსო ღმერთი“!..

როგორც გოლი და პენალტი? – გამაგებინა ერთი!

### **მოდი, ვნახოთ**

განა, ნივთიერება წარმოშობს კანონებს,  
რომელსაც თავად ემორჩილება?!

სხეულები და მოვლენები ექვემდებარება ძალებს და ენერგიებს,  
მათ გამოხატავს;

ძალების და ენერგიების ზემოქმედებები ემორჩილება განსაზ-  
ღვრულ კანონებს;

კანონები მეტყველებს გონიერებაზე, საყოველთაო გონზე –  
ლოგოსზე... რომელიც იყო დასაბამად, რომელიც იყო ღმერთთან,  
და რომელიც იყო ღმერთი.

### **ღმერთი ანუ ღრმა-ერთი**

არის ღმერთი როგორც რაღაც ცნება გონებაში სხვა ცნებების  
გვერდით;

არის ღმერთი როგორც თავად გონება;

და არის ღმერთი როგორც გონების მიღმა, ერთადერთი რეალო-  
ბა...

პირობითად, თორემ, რა „სისწორე-არასისწორეზეა“ ლაპარაკი  
გონების მიღმა?!..

**იყო და არა იყო რა...**



ღმერთი არის თუ არ არის? –  
არც არის და არც არ არის!..  
განა, „არის“ და „არ არის“  
თავად ღმერთისგან არ არის?!

\*

იყო და არა იყო რა...  
ღვთის უკეთესი რა იქნებოდა...

### **ინი და იანი**

ერთიანი მთელიდან გამოიყოფა ორი ურთიერთსაპირისპირო. ისინი ერთდროულად განაპირობებენ კიდეც ერთმანეთს, ებრძვიან კიდეც ერთმანეთს და ერთმორჩეშიც გადადიან – თითოეულ მათ-განში მათი საპირისპიროს მარცვალი ღვივის. ასე მიმდინარეობს მა-თი ყოფა. ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობა მარად განახლე-ბად მთლიანში; ეს არის დიალექტიკა.



### **ორობოროსი**

გველი ჭამს საკუთარ თავს. იწყებს კუდიდან. რა გამოვა აქედან? – კუდიდან აღარაფერი უნდა დარჩეს, მაგრამ რადგან გველი თავად იკვებება, ერთდროულად ხდება შეჭმული კუდის და საერთოდ მთე-

ლი სხეულის აღდგენა და განახლება! გველის მასა მუდმივი რჩება,  
მაგრამ სხეული განუწყვეტლივ იცვლება და ახლდება.

### ეკრანზე

ეკრანზე ჩნდება პირველი კადრი,  
მერე – მეორე, ბოლოს კი – ბოლოც...  
თუმც, კინოფირზე ერთად არიან  
და ერთდროულად, პირველიც, ბოლოც.

### ნაცარქექია

ფილოსოფიის ინსტიტუტს  
„ნაცარქექია“ რქმევია –  
ტვინიც, ხომ, როგორც ამბობენ,  
სწორედ რომ ნაცრის-ფერია!

### იქნებ

გონება დაცხრეს და გულს დაუთმოს,  
რათა უსმინოს ტაძრის სამრეკლოს...  
იქნებ, დაწყნარდეს ფიქრთა ტალღები,  
სულის ზღვაშ ზეცა რომ აირეკლოს.

### ფილოსოფია

„ფილოსოფია“ სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს... და ეს არის: ტრ-  
ფობაც, ჭეშმარიტების აზარტული დევნაც, აზრის სილამაზით ტკ-  
ბობაც და „ზესთ მწყობრთა წყობასთან“ შერთვაც.



ME,  
PIROVNEBA,  
TAVISUFLEBA

ესეები



## დაყოფის თეორია

ორი კაცი კამათობს გაცხარებით; ვერაფრით შე-  
თანხმებულან: აღმართია თუ დაღმართი; ერთი ფერ-  
დობის თავზე დგას, მეორე – ფერდობის ძირში...  
მაღლა კი ჩიტი მიფრინავს, ბარტყებისთვის ჭია-  
ყელა მიაქვს.

### „დაყოფის ამბავია“

ერთი მეტრი სიგრძის ჯოხს სანტიმეტრებად თუ დაყოფით, ასი  
გამოვა; დეციმეტრებში – ათი; მილიმეტრებში – ათასი... მოკლედ,  
დაყოფის ამბავია.

„დაყოფის ამბავია“ – ნიშნავს, რომ რაიმეს აღწერა, დახასიათება  
– პირობითია, ფარდობითია, დამოკიდებულია ათვლის წერტილზე,  
პოზიციის არჩევაზე, საზომზე.

### გასაზომი და გამზომი

როდესაც რაიმეს აღვწერთ, ამით თითქოსდა ვზომავთ სიტყვებით,  
ფრაზებით. მაგრამ ზოგჯერ, ცნებები და ამ ცნებებით გამოხატუ-  
ლი აზრი ერთი და იმავე რიგისაა. ასეთ შემთხვევაში ცნებები თავად  
ხდებიან განსაზღვრულნი მათგანვე შედგენილი აზრით!

ფრაზები „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“ და „ცნობი-  
ერება განსაზღვრავს ყოფიერებას“ ისეთივე რიგის საკითხებია, რო-  
გორც თავად ცნებები „ყოფიერება“ და „ცნობიერება“. ეს ფრაზები  
თავად იღებენ მონაწილეობას ამ ცნებების რაობის გარკვევაში. აღ-  
ნიშნული ცნებები ერთ ფრაზაში მთლად იგივე არ არის, რაც მეო-  
რეში! ასე რომ, ეს ორი ფრაზა, მაინცდამაინც, არ ეწინააღმდეგება  
ერთმანეთს, უბრალოდ, ორი სხვადასხვა დაყოფაა.

## ზოგიერთი საგულისხმო რამ

ზოგჯერ, გაუგებრობის მიზეზი ცნებებსა და მათ გამომხატველ ტერმინებს შორის არაცალსახა შესაბამისობაა; ზოგჯერ, შეცდომა მსჯელობის ლოგიკაშია; ზოგჯერ, საწყისი, საყრდენი იმფორმაცია არ არის ზუსტი ან სრული... ზოგჯერაც, უბრალოდ, გულისხმობენ, რომ არასწორია თავად საქციელი ასეთი და ასეთი დაყოფის გაკეთებისა!.. რეალობის გარდა ჩვენზე მოქმედებს ჩვენს მიერვე გაკეთებული დაყოფებიც, ასე რომ ჭკვიანად უნდა ვიყოთ დაყოფების გაკეთებისას!

ჩვენი დაყოფები ჩვენს შინაგან მდგომარეობებსაც გამოხატავს. ამ გაგებით, როგორებიც ვართ ჩვენ, ისეთივეა გარემო ჩვენთვის.

## ინერციულობა დ.თ.-ში

სხვადასხვა შემთხვევებში სხვადასხვა დაყოფებს ვირჩევთ. მაგრამ ვითარების შესაბამისად დაყოფების ცვლა ყოველთვის მყისიერად და უმტკივნეულოდ როდი ხდება! ერთ დროს დიდი ინერციის დაძლევა მოუხდათ იმისთვის, რომ დაყოფა „მზე ბრუნავს დედამიწის გარშემო“ შეეცვალათ დაყოფით „დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო“.

ჯორდანო ბრუნოს თანამედროვეებისთვის ეს, უბრალოდ, ერთი დაყოფიდან მეორეზე გადასვლა კი არ იქნებოდა, არამედ აღიარება იმისა, რომ ისინი მანამდე „ცდებოდნენ“! თანაც, ამ ახალი დაყოფის მიღება მათთვის „სამყაროს ცენტრობის“ დაკარგვას ნიშნავდა.


## გამოცანა თუთიყუშებზე

სამ კაცს თითო-თითო თუთიყუში ჰყავდა. ერთმა თავისას დაასწავლა: მზის გარშემო ცხრა პლანეტა ბრუნავსო. მეორემ – შვიდი პლანეტაო. მესამემ – რვაო.

თუთიყუშებს არ ესმოდათ და არც იცოდნენ, რას ნიშნავს „მზე“,

„პლანეტა“, „ცხრა“, „რვა“... მაგრამ ზუსტად იმეორებდნენ იმ სიტყვებს, რაც მათ დაასწავლეს.

კითხვა: რომელი თუთიყუშია უფრო კარგი თუთიყუში?



### ტრადიცია და შეგნებულობა

ზოგჯერ, რაიმე ტრადიციის უარყოფამ შეიძლება მასზე მაღლა კი არ დაგვაყენოს, არამედ, პირიქით, ძირს დაგვცეს! უფრო ხშირად, სწორედ ტრადიცია და უკვე ალიარებული წესები იცავს ადამიანს პირადი შეცდომებისგან, გაურკვევლობისგან, მოწყვლადობისგან... ყველა ვერ იქნება ძლიერი და დამოუკიდებლად და ბრძნულად მოაზროვნე! თუმცა, ძველი, ტრადიციული მიდგომა, ზოგჯერ, შეიძლება აღარ იყოს ბრძნული და შესაბამისი ამჟამინდელი სიტუაციისთვის. ამიტომ, ყოველთვის საჭიროა სიფხიზე და შეგნებულობა.

ხევსური ალუდას თანასოფლელებში გავრცელებული იყო ტრადიცია მოკლული მტრისთვის მარჯვენის მოკვეთისა. ალუდასაც ბევრ-ჯერ აღუსრულებია ეს წესი... მაგრამ, ერთხელაც, იგი მოიხიბლა მის

მიერ თანაბარ ბრძოლაში მოკლული მოსისხლე მტრის შეუპოვრობით და ვაჟკაცობით... როცა მომაკვდავმა ქისტმა მუცალმა ალუდას თავისი თოფი გადაუგდო: შენი იყოს, სხვას არ ჩაუვარდეს ხელში, ალუდა ღრმა თანაგრძნობით და პატივისცემით განეწყო მისდამი... მისი შინაგანი დამოკიდებულება გასცდა ტომობრივ დაპირისპირებას და მტრობას... მარჯვენის მოსაჭრელადაც ვეღარ გაიმეტა, აღნიშნული წესი საერთოდ აღარ იყო მოსწონი. მერე შეეცადა ეს თავისი განწყობა და ხედვა თანამოძმეთათვისაც აქსნა, დაესაბუთებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ხოლო, როცა ის, მიუხედავად ხევისბერის წინააღმდეგობისა, თვითნებურად მსხვერპლსაც კი სწირავდა ურჯულოს სულის საცხონებლად, მოღალატედ შერაცხეს და, ბოლოს, სოფლიდან მოკვეთეს.

საერთოდ, „თამაშის წესების“ შეცვლა ადვილად არ ხდება. ისე, აქ ყველაფერი ძალაზეა დამოკიდებული – ვინ ვის რა თამაშს ათამაშებს.

### **ვის დარჩა ბოლო სიტყვა**

ამასწინათ, თევზაობიდან რომ ვპრუნდებოდი, ვიღაც ორი გიჟის კამათს შევესწარი.

– მთავარი ძალა! – ყვიროდა ერთი. – თუ ძლიერი ხარ, მაშინ გექნება საუკეთესო ადგილი მზის ქვეშ, მაშინ იქნები მოწინავეთა შორის, მაშინ მოგაგებს ხალხი პატივს, მოწონებას და სიყვარულსაც მაშინ დაიმსახურებ, მაშინ შეგეძლება მტრების დათრგუნვაც, რადგან თუ ძალა გაქვს, ყოველთვის ჩააჩუმებ მოწინააღმდეგეს და ბოლო სიტყვაც ყოველთვის შენ დაგრჩება!

– მაშ, არავითარი მორალი, არავითარი ადამიანობა!.. და შენ გინდა დაგრჩეს ბოლო სიტყვა? – გადაირია მეორე, რომლის აზრებიც, ეტყობა, ძირეულად ეწინააღმდეგებოდა პირველისას. წამოხტა, ხელი სტაცა სკამს, რომელზეც ახლახან იჯდა და მოკამათეს შიგ თავში სდრუზა!..

ეს უკანასკნელი დადუმდა. დადუმდა, ალბათ, სამუდამოდ, რადგან

ძირს გაშელართულს და თავგახეთქილს სიცოცხლისა აღარაფერი ეტყობოდა.

ამის შემყურე ისე შევძრნუნდი, შიშმა ისე ამიტანა, რომ თავეუდ-მოგლეჯილი გამოვვარდი. ისე ვიყავი დაფეთებული, აღარც თევზე-ბი გამხსენებია და აღარც ანკესები, იქვე დატოვე...

რა თქმა უნდა, არც იმაზე მიჭყლეტია ტვინი, თუ ვის დარჩა ბო-ლო სიტყვა.

## კარგის და ცუდის ფარდობითობა და აბსოლუტურობა

მართებულობის და არამართებულობის, კარგის და ცუდის ფარ-დობითობასთან და ცვალებადობასთან ერთად არსებობს უცვლელო-ბა და აბსოლუტურობა მიმართულებებისა კარგისკენ და ცუდისკენ! თუ თერმომეტრი გვიჩვენებს თხუთმეტ გრადუს ცელსიუსს, ვერ ვი-ტყვით, სითბოს მაჩვენებელია ეს თუ სიცივის, პასუხი მხოლოდ ფარ-დობითი შეიძლება იყოს. მაგრამ თუ თერმომეტრის სვეტმა იწყო აწ-ევა ზევით, მაშინ ეს ერთმნიშვნელოვნად დათბობაა! თუ ადამიანი იწმინდება და ნათლდება – ეს ერთმნიშვნელოვნად კარგია. თუმცა, ერთი და იგივე ქცევა ზოგისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებო-და, ზოგისთვის – უკან დახევა. ეს დამოკიდებულია ადამიანის ამჟა-მინდელ მდგომარეობაზე და ვითარებაზე.

ფარდობითი და ცვალებადი შეიძლება იყოს ზნეობრივი შეგნება, ის თუ რა მიაჩნიათ ზნეობრივად; მაგრამ არა ზნეობრივი ნება, მის-წრაფება პატიოსნებისკენ, სიკეთისკენ! ასე რომ დ.თ. ფარდობითო-ბასთან და შეთანხმებითობასთან ერთად ცნობს და აღიარებს აბსო-ლუტურობასაც... და მათ დიალექტიკურ ერთობასაც! ამ გაგებით, დ.თ. რელატივიზმ-კონვენციონალიზმის და აბსოლუტურობის დია-ლექტიკაც არის.

## „ასაფრენი ზოლები“

არსებობს სუბიექტის ობიექტის გარეშე? და, პირიქით? ესეც აღმ-ართი და დაღმართია? რისი აღმართ-დაღმართია სუბიექტი და ობი-ექტი?.. არსებობს არსებობა და არარსებობა საგნების გარეშე? თუ მხოლოდ საგნების გამო მოიაზრება?.. ისინიც ფარდობითი რეალ-ობებია?

- ეს „ზოლები“ ასაფრენია თუ ჭკუიდან გასაფრენი?
- ჭკუიდან ასაფრენი!

## ასვეხა

ზოგჯერ, ადამიანებს არ მიაჩნიათ ცოდნა ნამდვილ ცოდნად, თუ მისი გამოთქმა ვერ მოუხერხებიათ. მაგრამ იმ ცნობილი ასვეხასი არ იყოს, დაყოფების გაკეთებით მეტისმეტი გატაცება დაგვიჩლუნგებ-და სიარულის უნარს – უშუალო ჭვრეტის უნარს, გუმანით წვდომას.

რა არის გუმანი? – ამას ჩვენ გუმანით ვხვდებით.

## მოცეკვავე ქალი და თამაშგარე მდგომარეობა

ადამიანი ცდილობს აღწეროს რეალობა, ცნებების და ფრაზების ბადეში მოაქციოს იგი. მაგრამ, იქნებ, ცხოვრება მოცეკვავე ქალივი-თაა, რომელსაც, უბრალოდ, უნდა აყვე! ეტყობა, ზედმეტ დაყოფებს იმიტომაც ვაკეთებთ, რომ ცეკვა არ შეგვიძლია, არა გვაქვს სათანა-დო ალლო, ვერ ვბედავთ ცეკვას. ვცდილობთ ჯერ შევისწავლოთ ეს ცეკვა. ამასობაში კი თამაშგარე მდგომარეობაში ვრჩებით და მხ-ოლოდ დაყოფებს ვაკეთებთ.

## მუჭანახევარა

ორ კაცს მარილი შემოაკლდა. წადი, სადმე მუჭანახევარი მარილი იშოვეო, უთხრა ერთმა მეორეს. რომ დამავიწყდესო? რომ არ დაგა-

ვიწყდეს „მუჭანახევარი“ იძახეო. ისიც წავიდა.

ერთი გლეხი ხორბალს თესდა. რომ გაიგონა, მუჭანახევარიო, გაბრაზდა, დაიჭირა ეს მუჭანახევარა და მიბეგვა. რატომ მცემეო? რატომ და, „მუჭანახევარის“ გამო! რომ გეთქვა „ერთი ათასად“, მაშინ მადლობას გეტყოდიო. წავიდა მუჭანახევარა და იძახის: „ერთი ათასად, ერთი ათასად“. გზად კი მიცვალებულს მიასვენებდნენ...

მუჭანახევარა არ იყო გამჭრიახი, აკლდა ვითარების გაანალიზების უნარი და ნიჭი, რომ სიტუაციის შესატყვისად ემოქმედა. ამიტომ მოითხოვდა მზამზარეულ დაყოფებს, რომლის ტყვეც ხდებოდა, სანამ არ იცემებოდა! შემდეგ კი სხვა, ახალი დაყოფის მონა ხდებოდა.

### ველოსიპედის მართვის ინსტრუქციიდან

თუ ხედავთ, რომ მარცხნივ ვარდებით, საჭე მარჯვნივ მოაბრუნეთ; ხოლო, თუ მარჯვნივ დაიწყებთ ვარდნას, მაშინ მარცხნივ მოაბრუნეთ საჭე. ასე დაიცავით წონასწორობა. პედლები ატრიალეთ და წინ იყურეთ. მალე მიეჩვენეთ და ეს ყველაფერი თავისთავად, დაუძაბავად და ზედმეტი ფიქრის გარეშეც გამოგივათ.

„წონასწორობის დაცვა“ და ზომიერებაა, მაგალითად, გულწფელობა, ხოლო, აქეთ-იქით გადახრებია: არაგულწრფელობა, ერთი მხრივ, და ზედმეტი ლაყბობა, მეორე მხრივ; ზომიერებაა პრინციპულობა, ხოლო, გადახრებია: უპრინციპობა და სიჯიუტე; თავმდაბლობიდან გადახრებია: თავის დამცირება და ქედმალლობა; გულუხვობიდან – სიძუნწე და გამფლანგველობა; სითამამიდან და გაბედულებიდან – გაუბედაობა და თავხედობა; წესრიგიანობიდან – უწესრიგობა და უაზრო პედანტობა; პატრიოტიზმიდან – კუთხური შოვინიზმი და უგვარტომო კოსმოპოლიტიზმი; ჯანსაღი რწმენიდან – ზედმეტი ეჭვიანობა და მერყეობა, ერთი მხრივ, და დაუფიქრებლობა და ბნელი ფანტიზმი, მეორე მხრივ...

რას ვუსწორდეთ? – სიმართლე-სიკეთე-სილამაზეს.

## კულტურა

„კულტურა“ – ნათლის თაყვანისცემა...

და ყოველივე კარგის –

მშვენიერების, რაც კი შექმნილა,  
სიკეთისა და მართლის.

ერთი მეორის გარეშე

ნაკლული, არა სრულია...

არ ვარგა არც „სილამაზე“,

თუ ცრუ და უკეთურია!

და არც უგულო „სიმართლე“...

და არც „სიკეთე“ უგნური!..

სილამაზეა დუღაბი

და მათი შერწყმის მსაჯული!

## მოკლედ დ.თ.-ს შესახებ

– რეალობის აღწერა სიტყვებით და ფრაზებით წარმოადგენს დაყოას, დაყოფების კეთებას და არის პირობითი, ფარდობითი, დაყოფის ამბავი.

– დ.თ. თითქოს, თავისსავე თავს უპირისპირდება, მაგრამ, ერთდროულად, განამტკიცებს კიდეც თავის თავს, ორობოროსის მსგავსად, როგორც ფრაზა „მე ახლა ვიტყუები“.

– დ.თ. ფარდობითობა-შეთანხმებითობის და აბსოლუტურობის დიალექტიკაც არის.

– დაყოფებს მუშა ხასიათი აქვს და განკუთვნილია მხოლოდ მოცემული სიტუაციისთვის.

– ბრძნულია ის დაყოფა, რომელიც ყველაზე ადეკვატურია მოცემული ვითარებისთვის.

– ერთი დაყოფის მეორეთი შეცვლისას ვლინდება მეტნაკლები ინერციულობა.

– ინერციის დაძლევისთვის და ბრძნული მოქმედებისთვის ადამიანისგან მოითხოვება სიფხიზლე, შეგნებულობა და დაყოფებისადმი შემოქმედებითი მიღება.

– წინასწარი დაყოფებით და საერთოდ დაყოფებით მეტისმეტმა გატაცებამ შეიძლება დააჩილუნგოს ადამიანში პრაქტიკული შემოქმედების უნარი.

– დ.თ. არის გასათვალისწინებელი, რომ უნდა იგულისხმებოდეს, ისეთი რამ; ერთგვარი „სათვალეა“; ის „ველოსიპედის მართვის ინსტრუქციაა“.

– ზოგი ნათქვამი მხოლოდ იწვევს სიტუაციას, რომელშიც, როგორც ნაპერწკალი, შეიძლება გასხლტეს ჭეშმარიტება. ასე რომ დაყოფის თეორია, აგრეთვე, „ასაფრენი ზოლია“.



## „სასწაული“

სასწაულს ისეთ მოვლენას ვეძახით, ამჟამინდელ ცოდნას რომ ვერ ვუსადაგებთ... და რომელიც განსხვავებულია ისეთი მოვლენებისგან, ჩვენ რომ შევეჩვით.

მაგრამ ცოდნა იცვლება და თანდათან ისადაგებს მანამდე სასწაულად შერაცხულ მოვლენებს. არც ჩვევაა უცვლელი, მრავალი გამეორების შემდეგ უჩვეულო მოვლენაც ჩვეულებრივი ხდება.

სასწაული აბსოლუტური გაგებით არ არსებობს, მაგრამ არსებობს ჩვენს ცოდნასთან და შეჩვევასთან მიმართებით.

რელიგიური გაგებით, სასწაული – ეს არის ღმერთის საგანგებო ჩარევა მის მიერვე შექმნილი და კანონზომიერად მოწყობილი სამყაროს მოვლენებში. და ეს ჩარევა ან ცვლის კანონებს, ან კი არ ცვ-

ლის, არამედ მის ფონზე ხდება, და გაიგება როგორც კანონზომიერად მოწყობილ სამყაროში დამატებით შემოჭრილი ძალა.

გარკვეული გაგებით ყველა ნივთი, მოვლენა და, საერთოდ, მთელი სამყარო არის სასწაული, აუხსნელი და იდუმალი. უბრალოდ, შევეჩივით და ჩვეულებრივად ვთვლით.

რაიმე უცნაურის და გაუგებარის ე.წ. ახსნაც, სხვა არაფერია თუ არა შეუჩვეველი გაუგებრობის შეჩვეულ გაუგებრობაზე დაყვანა.

სამყაროში სასწაული არ არსებობს, სამყარო თავად არის სასწაული.

## „უშუალო სულიერი ჰვრეტა“

ფილოსოფიური განსჯა ჯერ კიდევ მაინც გონიერების, ლოგიკის სფეროა, ხოლო, „უშუალო სულიერი ჭვრეტა“ უბრალოდ პირობითი სიტყვათა შეთანხმებაა, ის ლოგიკის სფეროსაც სცდება... საწყისი, საზრისი, წარმოშობა და მიზანი, მიზეზი და შედეგი, სასრული და უსასრულო, ერთი და მრავალი, ფორმა და მატერია, დრო და სივრცე, როგორ და რატომ, ლოგიკური და არალოგიკური – ეს ყველაფერი არსებობს თავად გონიერებაში. ამ ცნებების გატანა გონიერების და მთლიანი სამყაროს გარეთ და მათი მიყენება თავად გონიერების და მთლიანი სამყაროს მიმართ არის არალოგიკური, არაგონივრული, საეჭვო... და მაშინ რიღას თქმა შეიძლება საერთოდ რაიმე აზრიანის?!.. იმის, რომ ლოგიკურის დაფუძნება ლოგიკით – არალოგიკურია, სახაზავით სახაზავის გაზომვაა?.. რომ თავად დაფუძნებადობა, მიზეზ-შედეგობრიობა, გამომდინარეობა, გაგება, ყოველგვარი „როგორ“ და „რატომ“ – გაუქმებულია?.. რომ არც არაფერია საკითხავი და გასაგები?.. რომ ეს ყოველი ზემოთქმული და საერთოდ ყოველი ნათქვამი მხოლოდ სიტყვებია და მეტი არაფერი?.. რომ „ლოგიკურის მიღმურზე“ რაიმე ნათქვამი მაინც ისევ „ლოგიკის შიგნით“ ნათქვამია?.. რომ „უშუალო სულიერი ჭვრეტისას“ ცოდნა – ყოფნაა... ხოლო, ყოფნა – არაფრად, არა რაიმედ

ყოფნა?!.. და რომ თავად უშუალობა, სული, ჭვრეტა, საჭვრეტი და მჭვრეტელი – ერთია?..

უმჯობესი არ არის, უბრალოდ გარინდება და მდუმარება? – მა-გრამ ნამდვილი გარინდება და მდუმარება, შეიძლება დაგემართოს, თავად ვერ “გააკეთებ”!

## „მასახე დონე“

რაიმე კითხვაზე პასუხი „არ ვიცი“ ზოგჯერ გამოწვეულია სრული უცოდინრობით, დაბალი დონით ანუ „პირველი დონით“. მაგრამ იგ-ივე პასუხი შეიძლება მომდინარეობდეს სწორედაც რომ მეტი ცოდ-ნისგან, საკითხში ღრმად ჩახედულობისგან, და იყოს „მესამე დო-ნის“, განსხვავებით „მეორე დონის“ პასუხისგან – „ვიცი“, რომლის საფუძველიც, ხშირად, ზერელე ცოდნაა. რადგან პირველი და მესამე დონით ნათქვამი ერთმანეთს გავს, შეიძლება მესამე დონით თქმული გაგიგონ როგორც პირველი დონისა.

ასევე, საქციელი!.. ჩხუბისგან თავის არიდება, მომდინარე სი-ძლიერიდან, დიდსულოვნებიდან – მესამე დონიდან, შეიძლება სის-უსტედ და სიმძდალედ ჩათვალონ.

„ბრძენი დუმს, უმეცარი ქადაგებს“. ბრძენი, შეიძლება, მართლაც დუმდეს, მაგრამ ვინც დუმს, ყველა ბრძენი როდია! დუმილი უმეცრე-ბით, სულიერი სილარიბით ან, სულაც, უხასიათობითაც შეიძლე-ბა იყოს გამოწვეული!... და ვინ იცის, როგორი „ხმაურის“, რამდენი შრომის და ბრძოლის შემდეგ მოდის ბრძნული დუმილი – დუმილი მესამე დონით!

## სამშობლო

რა არის სამშობლო? – ჩვენი ქვეყანა!

– კიდევ, ჩვენი პლანეტა; ჩვენი მზის სისტემა; ჩვენი გალაქტიკა...

რა ამბავია ამდენი „ჩვენი“ ანუ მრავლობითი რიცხვით შენიღბუ-ლი „ჩემი“?!

- მთელი სამყარო.
- თავად ღმერთი - ყველასი და ყველაფრის მშობელი - უპირველესი სამშობლო.

არათაყვანისცე კერპებს!

რელიგია - დაბრუნება მივიწყებულ სამშობლოში.

შეიძლება კი გიყვარდეს ღმერთი და არ გიყვარდეს მთელი სამყარო, არ გიყვარდეს შენი პლანეტა, შენი ქვეყანა, შენი ქალაქი, უბანი, ქუჩა, სახლი... არ გიყვარდეს შენი სხეული, არ გიყვარდეს საკუთარი თავი?!

არის კიდევ ერთი სამშობლო, რომლის დატოვებაც აუცილებლად უწევს ყოველ დაბადებულს – ეს არის დედის წიალი!

## იდენტობა

თბილისში, ჩინური რესტორნის წინ ჩერდება გერმანული ავტომობილი. გადმოდის ინგლისურ კოსტუმში და იტალიურ ფეხსაცმელში გამოწყობილი ტიპი. ამერიკული სათვალე უკეთია, კუპურ სიგარას აბოლებს. მერე ზარზე ვიღაცას კორეული მობილურით პასუხობს:

– ხო, აბა!.. ქართველობას გვართმევენ, ამათი... – იგინება... გინება ნამდვილად ქართულია, ტრადიციული, მამაპაპური!..

მანქანიდან კი რუსული ესტრადის ხმები მოისმის.

## საპჭოთა კავშირში, საქართველოში, თბილისში, ვერაზე დაგადეგული ქართველი ეპრაელი კოსმოკოლიტი

მე ქართველი ვარ იმდენად, რამდენადაც ჩემი სამშობლო საქართველოა და მშობლიური ენა – ქართული. მაგრამ არა ვარ ქართველი, რადგანაც დაბადების მოწმობაში მშობლები ებრაელებად იყვნენ მოხსენებულნი, საბჭოთა პასპორტშიც ებრაელი მეწერა. ამდენად მე ებრაელი ვარ. მაგრამ არც ებრაული ვიცი, არც ისრაელის მოქალაქე ვარ და არც იუდეველი, წინადაცვეთილობის მიუხედავად... უფ-

რო, შემეცნების მოყვარული თავისუფალმოაზროვნე ვარ... და ამის ფონზე დასავლურ და აღმოსავლურ მსოფლმხედველობებს ნაზიარებიც და ქრისტიანად მონათლულიც. ამდენად, მე არ ებრაელი. ხოლო, თუკი შენ არა მარტო ის ხარ, რაც შენ გგონია, არამედ ისიც, რაც სხვებს გონიხარ, მაშინ მე ერთდროულად ებრაელიც ვარ და ქართველიც და, ამავე დროს, არც ქართველი ვარ და არც ებრაელი... და ეს მშვენიერია!

## რჩეული ერი

ქრისტიანობის მიხედვით, ქრისტე ღმერთკაცია ანუ სრული ღმერთი და სრული კაცი. თუკი ადამიანისთვის დამახასიათებელია ეროვნება, მაშინ ქრისტე ებრაელია. გამოდის, რომ „კაცობრიობის ცოდვებისგან გამოსახსნელად“ ეროვნებით ებრაელი ეცვა ჯვარს, ებრაელი აღსდგა მკვდრეთით, ებრაელი ამაღლდა ზეცად და „დაჯდა მარჯვენით მამისა...“ ებრაელია, ვიზეც ლოცულობს მთელი საქრისტიანო!

იქნებ, მკვდრეთით აღმდგარ ქრისტეს უკვე აღარ აქვს ეროვნება, რადგან განლმრთობილი სხეულით აღსდგა?.. მაგრამ გარდაცვლილ ადამიანს საერთოდ აღარ აქვს ფიზიკური სხეული... და მაინც იმავე ეროვნების წარმომადგენლად თვლიან!

ებრაელი ქრისტეს გამო, აგრეთვე, ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის, მოციქულების, ქრისტიანული ეკლესიის დამფუძნებლების გამო შეიძლებოდა ყვარებოდათ ან პატივი, მაინც, ეცათ ებრაელი ხალხისთვის... მაგრამ გარკვეული რაოდენობა ქრისტეს ჯვარცმის მოსურნეების გამო საუკუნეების განმავლობაში სძულდათ ისინი, დევნიდნენ, არბევდნენ, კლავდენენ! ვითომ, ქრისტიანული სიყვარული ამოძრავებდათ?!.. თუ ამის ნამდვილი მიზეზი ჩვეულებრივი ქსენოფობია და კონკურენცია იყო?.. ან, იქნებ, მართლა საძულველები არიან ებრაელები?..

არსებობს თუ არა ებრაული ეთნოსი? ებრაელები არიან მუქანიანი ეთიოპელებიც და ქერათმიანი სლავებიც!.. ქართველი, ფრანგი, გერმანელი, ამერიკელი და სხვა ებრაელებიც!..

ქრისტეს მორწმუნე ებრაელები ისევ ებრაელებად ითვლებიან?.. თუ ებრაელებად მხოლოდ ისინი იწოდებიან, ვისაც ქრისტე არ უღიარებიათ და ტრადიციის ერთგულნი დარჩინენ?.. მაგრამ მრავალი ათეისტი, თან, რადიკალურად მებრძოლი ათეისტი ებრაელიც გაგვიგონია!

ისე, ქრისტეს ჯვარცმა, მაინც, უფრო ვისი ბრალია: სინედრიონის და იმ მოედანზე შეეკრებილი ებრაელების, ჯვარცმის ბრძანების უშუალო გამცემი და ბრძანების უშუალო აღმსრულებელი რომაელების, საერთოდ, მთლიანად კაცობრიობის თუ ვისი?

თუკი ქრისტეს მიერ კაცობრიობისათვის გაღებული მსხვერპლი აჭარბებს და გადაწონის კაცობრიობის მხრიდან ჩადენილ დანაშაულს, მაშინ მისი როგორც ებრაელის მსხვერპლი ასევე არ უნდა აჭარბებდეს და გადაწონიდეს მისი ჯვარმცმელი ებრაელების ჩადენილს?!

და რას ნიშნავს კაცობრიობის გამოხსნა ცოდვებისგან?.. რაში გამოიხატება... ან რა ეტყობოდა ამის კაცობრიობას ორი ათასი წლის განმავლობაში... ან ახლა რა ეტყობა?! ისევ და ისევ ეგოიზმი და ნარცისიზმი, აგრესია და ძალადობა, სწრაფვა გამდიდრებისკენ და ძალაუფლებისკენ, სხვებზე გაბატონებისკენ!.. ყველა დონეზე!

ადამიანებსაც ის ერი მიაჩინიათ საუკეთესოდ, რომელსაც თავად წარმოადგენენ. ყველას ეამაყება საკუთარი ერი. ებრაელებიც, ხომ, ამაყობენ უამრავი გამოჩენილი პიროვნებით – მეცნიერების, ხელოვნების და საერთოდ ნებისმიერ სფეროში!.. რომ შეიძლებოდეს რაღაცნაირად, რამდენადმე ობიექტურად გაზომვა, რომელიმე სხვა ერი აჯობებდა მათ?

საერთოდ, შეჯიბრი და ნებისმიერი ჯიბრი იწვევს საკუთარის სხვებზე მაღლა დაყენებას, საკუთარ წარმოდგენაში. ზოგჯერ კურიოზულიც კია ეს – ერთხელ, ცოტათი შემთვრალი თანამესუფრე იმასაც მიმტკიცებდა, თან, სიამაყით: ჰიტლერიც ებრაელი იყოო!

ისე, თუ ამაზე ჩამოვარდა ლაპარაკი და თუ აინტერესებს ვინმეს ბოლომდე ნათქვამი სიმართლე, რაც არ უნდა საშინლად გამოიყურე-

ბოდეს ის, იმაზე მეტი ფაშიზმი და ნაციზმი რაღაა, რაც ბიბლიაში, ძველ ალთქმაშია აღნერილი... ფაშიზმი და ნაციზმი ებრაელების მხრიდან!.. თან, თავად ღმერთისგან სანქცირებული!!!

პავლე მოციქული: „ჩვენ მრავალი ერთ სხეულს შევადგენთ ქრისტეში, ხოლო ყოველი ჩვენგანი ასოები ვართ ერთიმეორისათვის. და გვაქვს მადლით სხვადასხვა ნიჭი, ჩვენთვის მოცემული“. (რომ 12. 5,6); „სხვადასხვანაირია ნიჭი, მაგრამ სული ერთია. რათა არ იყოს განხეთქილება სხეულში, არამედ ყველა ასო ერთნაირად ზრუნავდეს სხვაზე. და თუ ერთი ასო იტანჯება, მასთან ერთად ყველა ასო იტანჯება, ხოლო თუ ერთი ასო დიდებას მოიხვეჭს, მასთან ერთად ყველა ასო ხარობს. თქვენ კი ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე – მისი ასოები“. (კორ 12. 4,25,26,27).

მაგრამ ვინ აღიქვამს ამას უშუალოდ?!.. ან ვის სწამს ეს?!.. ვინ ცხოვრობს ამ შეგნებით?!

## მარგალიტი ტალახში

ნათქვამია, ქვეყნად მცხოვრები ადამიანი ტალახში ამოსვრილი მარგალიტიაო. ზოგჯერ, ადამიანი იწმინდება და უფრო მიმზიდველი ხდება. ზოგჯერ, ისვრება, და მაშინ აუტანელია მასთან გაჩერება. ზოგჯერ ადამიანები ერთად ყოფნისას ასუფთავებენ ერთმანეთს, ზოგჯერ – სვრიან. ნამდვილი ადამიანი – მარგალიტია, მაგრამ რადგან ტალახშია ამოსვრილი, ხშირად, ტალახთან აიგივებს თავს და ტალახივით იქცევა, და არა ისე, როგორც მარგალიტს შეპოვერის. როცა ადამიანი გვძულს, ტალახს უნდა ეხებოდეს ეს სიძულვილი. როცა ადამიანი გვიყვარს, მასში მარგალიტს ვჭვრეტთ, ის მოგვწონს, მასთან ვესწრაფვით ერთობას. ზოგჯერ იმდენად მოგვწონს და გვიყვარს ვინმე, რომ ტალახს აღარც ვაქცევთ ყურადღებას, თითქოს ვერც ვამჩნევთ.

გიყვარდეს მტერი შენი – იმასაც ნიშნავს, რომ ჭვრეტდე მასში

ნამდვილ ადამიანს – მარგალიტს, და თუ შეგიძლია, მასაც ეხმარებოდე ამის შეცნობაში, ტალახისგან განწმენდაში და მარგალიტობის გამოვლენაში.

ჩვენ ყველანი ინდივიდუალური მარგალიტები ვართ, რომლებიც ერთმანეთს ვავსებთ. მაგრამ თუ არ განვიზმინდეთ, სიბინძურეში მოგვიწევს ყოფნა, და თავადაც ჭუჭყი ვიქნებით.

## ადამიანის შესახებ

ვინ არის და რა არის ადამიანი?


- იარაღისმკეთებელი ცხოველი;
- ორფეხა, მეტყველი არსება.
- წვეთი ლვთაებრივი ოკეანიდან, კვლავ მას რომ უბრუნდება.
- ქმნილების გვირგვინი;
- ბუნების შეცდომა; პარაზიტი დედამიწაზე.
- პიროვნება საზოგადოებაში.
- სათამაშო. (ლმერთების პასუხი)
- საჭმლის ჩამომყრელი და წყლის გამომცვლელი (აკვარიუმის თევზის პასუხი).
- ლმერთი-სიცოცხლის გამორჩეული ორგანო, რომლითაც ლმერთი-სიცოცხლე ცხოვრობს.
- პიროვნება, მქონე სულის, სამშვინველის და სხეულისა, თავიდან ჰარმონიაში რომ იყვნენ ერთმანეთთან და ლმერთთან... მაგრამ ეს ჰარმონია დაირღვა... და ახლა ადამიანი დაზიანებული და ავადყოფური არსებაა, რომელსაც ისდა დარჩენია, რომ მტანჯველი გზის გავლით ან კვლავ დაუბრუნდეს ლმერთს და საკუთარ თავს, ან საბოლოოდ დაიღუპოს...

## სიყვარულე

რა არის სიყვარული ღმერთისადმი? სამშობლოსადმი? მეგობრისადმი? და-ძმისადმი? მშობლისადმი? შვილისადმი? ცოლისადმი?.. საკუთარი თავის?

რა არის ამ სიყვარულებს შორის საერთო... და რაშია განსხვავება? და ყოველივე ამის ფონზე, რა არის თვითონ სიყვარული როგორც ასეთი, თავისთავად... რომელზეც ნათქვამია, რომ „ღმერთი სიყვარული არს“?

სიყვარულის შესახებ ფიქრი არ არის სიყვარული. სიყვარული შეიძლება დაგემართოს, შეიძლება იგრძნო... სიყვარული შეიძლება იყო.



## მიმტევებლობა

მიმტევებლობა სამაგიეროს არ-გადახდაა, ოლონდ, არა იმიტომ, რომ არ შეგიძლია, არამედ სიყვარულის, თანაგრძნობის ან სიბრალულის გამო მაღლა დგები კანონზე: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“.

მიტევება-არმიტევება შეიძლება იყოს გარეგნულიც და შინაგანიც. შეიძლება გარეგნულად, მოქმედებით არ სჯიდე დანაშაულის ჩამდენს, მაგრამ შინაგანად მაინც ბრაზობდე მასზე, იბოლმებოდე. ასევე, შეიძლება მოქმედებით საკადრისს მიაგებდე დამნაშავეს, მაგრამ არ იტოვებდე წყენას, ბოლმას, არ გძულდეს.

როდესაც პატიებას ითხოვენ მათვის ძვირფასი ადამიანისგან, სწორედ შინაგან პატიებას გულისხმობენ. გარეგან პატიებას კი, უფრო, სხვადახვა ადმინისტრაციებისგან ითხოვენ.

მაგრამ, საკადრისის მიზღვევა, ხომ, ლირსების დაცვას და სამართლიანობის აღდგენასაც ნიშნავს?! „სამართალმა პური ჭამა!“ და ჩვენც დაკმაყოფილებულები ვართ, დამშვიდებულნი გულით! მაგრამ, ზოგიერთის აზრით, თუ მთლიანად არ ვიყავით სიბრაზით და შურისძიების ჟინით შეპყრობილები, შეიძლება ვიგრძნოთ, რომ ეს არ არის ის, რისთვისაცაა მოწოდებული ადამიანი... ეს არ არის ის, რაც მოეწონებოდა მას, ვისგანაც წამდაუწუმ ვითხოვთ შეწყალებას – ქრისტეს, ჯვარზე გაკრული კიდევ მისი ჯვარმცმელებისთვის რომ ლოცულობდა!

პატიება, რამდენადმე, ყოველთვის საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებაა, როდესაც შენდამი ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელს შენს თავზევე იღებ. ამას აკეთებ საკუთარი ნებით, და ამ დროს უსამართლობის განცდა კი არ გილრღნის გულს, არამედ მშვიდად, თავისუფლად და ამაღლებულადაც კი გრძნობ თავს.

მაგრამ პატიება პასუხიმგებლობასაც გულისხმობს. მიმტევებლობა დიდსულოვნებაა, მაგრამ მას თან უნდა ახლდეს სიბრძნეც, რათა ეს სათხოება არ გახდეს დამნაშავეში დაუსჯელობის განცდის მიზეზი და დანაშაულის ერთგვარი წახალისების სახე.

უნდა დავიცვათ საკუთარი ღირსებაც, ის არავის არ უნდა გაათე-ლინო, ოლონდ, თან, თუ მოახერხებ და ამ დროს შენი შეურაცხ-მყოფელის დონემდე არ დაეშვები!

პატიება-არპატიება სრულიად სხვადასხვა ფორმით შეიძლება გა-მოიხატოს... და, საერთოდ, ეს საკითხი მრავალ ნიუანსს შეიცავს, რო-მელთა გათვალისწინებაც გვიხდება, ხოლმე, სხვადასხვა შემთხვევა-ში... ერთია, როცა რაიმე ჯერ წაგართვეს, მაგრამ მერე დაგიბრუნეს და ბოდიშიც მოგიხადეს; სხვაა, თუკი ალარ ან ველარ დაგიბრუნეს, მაგრამ პატიება გთხოვეს; და სულ სხვაა, როდესაც არც გიბრუნე-ბენ და არც პატიებას გთხოვენ.

ამქვეყნად რომ ვცხოვრობთ, ნებით თუ უნებლიერ ათასგვარ წვრ-ილმან თუ მსხვილმან, აშკარა თუ ფარულ, გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებელ, სუბიექტურ თუ ობიექტურ დანაშაულს ჩავდი-ვართ, ხოლმე, გარშემომყოფთა მიმართ. ასე, რომ შენდობა ყველას გვჭირდება, ერთმანეთისგან და ღმერთისგან.

მაგრამ, იქნებ, არც არაფერია საერთოდ საპატიებელი, რადგან ყველა ისე იქცევა, როგორც შეუძლია და როგორც საუკეთესოდ ეჩვენება მოცემულ მომენტში... არაფერია მისი ბრალი.



## მე, პიროვნება, თავისუფლება

„თავისუფლებაში იშვება სამყარო, თავისუფლებაში ყოფიერობს და თავისუფლებაშივე განზავდება“.

(უპანიშადებიდან)

### დიალოგი

არის თუ არა ადამიანი თავისუფალი? თუ ერთი უსუსური და უმეცარი არსებაა, რომლის სუბიექტური განცდაც თავისუფლებისა – მხოლოდ ილუზია და მეტი არაფერი?!?

ბ: თუ კაცი ციხეში არ ზის, ის თავისუფალია. თუმცა, ციხეშიც შეიძლება იყოს თავისუფალი.

დ: როგორ არის კაცი თავისუფალი, თუკი თავისი თავი თვითონ არ გაუჩენია! არც ის გარემო შეუქმნია და მოუწყვია თავის ნებაზე, რომელშიც უხდება ცხოვრება. არც ქვეყნის კანონები მიუღია თვითონ. არც თავად ადამიანური ბუნებაა მისი გამოგონილი. მისი ვითომ თავისუფალი არჩევანიც უკვე განსაზღვრულია და გამომდინარეობს მისივე ბუნებიდან თუ ხასიათიდან, მისი ბიოგრაფიიდან თუ ათასგვარი გარეშე ზემოქმედებიდან! როგორიც გაჩნდა და რა გარემოშიც იმყოფება, ისეთიც იქნება ადამიანი, და მისი „თავისუფალი“ არჩევანიც მაგაზევეა დამოკიდებული. კაცს „თავისით“ არც არაფრის გაკეთება შეუძლია, რალაშია მისი თავისუფლება?! იმაში: მშვიდად მიიღებს და შეეგუება ამ გარემოებას, თუ იშვითებს და იდრტვინებს?! ესეც არ არის მის ხელში, ესეც მისივე ხასიათით არის უკვე განპირობებული! ადამიანს და მის ცხოვრებას ღმერთი ან ბუნება განსაზღვრავს, ამიტომ იგი არც თავისუფალია და, სამაგიეროდ, არც უნდა აგებდეს თავის თავზე და თავის ცხოვრებაზე პასუხს!

ბ: მაგრამ ღმერთი ან ბუნება თვითონ ადამიანით განსაზღვრავს მის ღირსებას, და კაცი ისეთი იქნება, როგორადაც თავად დაიდგენს თავს! ადამიანს ღმერთისგან „მიცემული“ აქვს თავისუფლება, უფრო სწორედ, თავისუფლება მისი ბუნებაა. მართალია, არჩევანს ადამიანი

თავისი ხასიათის და ბუნებრივი მონაცემების მიხედვით აკეთებს, მაგრამ, თავის მხრივ, მისი არჩევანიც განსაზღვრავს და აყალიბებს მის ხასიათს და სხვა მონაცემებს! ესეც რომ არა, თუკი არჩევანი ადამიანის პიროვნული ხასიათიდან და ბუნებიდან ანუ ადამიანის შიგნიდან და არა გარედან მოდის, მაშინ, განა, სწორედ ეს არ არის თავისუფლება და დამოუკიდებლობა?

დ: და რა არის ადამიანის „შიგნითა“ და „გარეთა“, შინაგანი და გარეგანი? არის, „შიგნით“ კიდევ ვინმე, ვინც ხასიათზე არ იქნებოდა დამოკიდებული, ნაწილობრივ მაინც? სამართლიანია გვქონდეს კაცის მიმართ პრეტენზია: რატომ ხარ ასეთი ხასიათისო? თუ მისი ხასიათი „მასზე“ დამოკიდებული არ არის, მაშინ ჩვენი პრეტენზია უსამართლო გამოდის! მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა სამართლიანი, თუ დავუშვებდით, რომ „ადამიანმა“ თვითონ შექმნა თავისი თავი ასეთ და ასეთ ხასიათად! მაგრამ, განა, დასაშვებია ასეთი ვარაუდი? ან ვინდაა ის „თვითონ“ და აქვს (ან ჰქონდა) თუ არა მასაც საკუთარი ხასიათი?!

ბ: პრეტენზია მექნება, თუ კაცი ცუდი ხასიათისაა და ცუდად იქცევა, აბა, რა! სწორედ ჩემი და გარემოს პრეტენზია და მკაცრი მომთხოვნელობა მისცემს იმპულსებს კარგად მოიქცეს, მიუხედავად ცუდი ხასიათისა, და საერთოდ, მიხედოს თავის ხასიათს და გამოისწოროს! ხოლო თუ კაცი ისეთი ხასიათისაა, რომ ადვილად ვერ (თუ არ) ისწორებს ხასიათს, მაშინ გარემოდან მეტ მტკიცნეულ იმპულსს მიიღებს და დაიტანჯება მანამ, სანამ... ასე რომ, მე ვფიქრობ, ხასიათი თანდათან ყალიბდება „შინაგანი“ და „გარეგანი“ ურთიერთქმედებით. სჯობს ჩვენს ხასიათს გარედან შევხედოთ როგორც მისგან დამოუკიდებელმა პირებმა, შევხედოთ მას როგორც ინსტრუმენტს, და ვიზრუნოთ მისი სრულყოფისთვის, დახვენისთვის, განვითარებისთვის! ამაშიც გამოვავლენდით ჩვენს თავისუფლებას! ხოლო, თუკი ხასიათის მიღმა არავითარი სხვა ვინმე აღარაა და „იქით“ მხოლოდ ღმერთიღა მოიაზრება, მაშინ ვთხოვოთ სწორედაც თავად ღმერთს, მოგვეხმაროს გამოსწორებაში! ნუთუ, ამის თხოვნაც არ არის „ჩემს“ (როგორც თავისუფალი ადამიანის) ხელში?! შენც სთხ-

ოვე-მეთქი რომ გითხრა, იტყვი, რომ არ შეგიძლია ან არ გინდა, თუ შესაბამისი ხასიათი არა გაქვს?

დ: რა თქმა უნდა, ვიტყვი!

ბ: მაშინ, მაგ გაგებით, არა თუ ადამიანი არ არის თავისუფალი, არამედ საერთოდ თავისუფლება არ არსებობს! არ არსებობს თავისუფლება საკუთარი თავისგან!.. და „მე“ ვერ ვიქნები ნამდვილად თავისუფალი, თუ თავად არა ვარ თავისუფლება!

დ: და, იქნებ, სწორედ საკუთარი თავისგან, არჩევანისგან და თავად თავისუფლებისგან თავისუფლებაა ნამდვილი თავისუფლება!.. ეტყობა, ადამიანის თავისუფლება უკავშირდება საკუთარი თავის გაცნობიერებულობას!

### ზღვით ნათლობა

შენ არც ის ხარ, რაც სხვებს ჰგონიხარ...  
და არც ის, რაც შენ გგონია, რომ ხარ.

8 წლის ვიყავი. ზღვაზე ვისვენებდით. ცურვას მაშინ ვსწავლობდი. ერთხელ, ჩემკენ წამოსული ტალღა რომ არ დამჯახებოდა, ვიფიქრე, დავასწრებ და გავჭრი-მეთქი. მაგრამ ვერ მოვასწარი, მაინც დამეჯახა და ყირამალა ამომატრიალა. ეტყობა, წყალმა მთლიანად დამფარა. ყურები დამიგუბდა, ჰერი ვერ ჩავისუნთქე და ფეხვეშ ფსკერიც რომ ვეღარ დავიგულე ორიენტაციადაკარგულმა, უნებლიერ გავიფიქრე, ხომ არ ვიხრიობი-მეთქი... და ამ დროს გაცხადდა! გაცხადდა ერთბაშად, ერთ წამში!.. თუმცა, იმის გამოსახატავად თუ რა გაცხადდა, ერთი წამი ნამდვილად არ იქნება საკმარისი. მაინც, რა გაცხადდა ასეთი?

გაცხადდა ანუ, შეიძლება ითქვას, აღმოჩნდა, რომ მე – ეს ბავშვი, ამ სახელით და გვარით, ამდენი წლის, ამათი შვილი, შეიძლება მართლაც დავიხრიო... მაგრამ მე როგორც „მე“ ნამდვილად არ გავქრება! შეუძლებელიც კია, რომ ეს „მე“ გაქრეს და აღარ იყოს!

თუმცა, რაც მაშინ გაცხადდა, იმის გააზრება შემდეგ უფრო მოხ-

და, როცა სახლში დაბრუნებული განცდილს ჩავუფიქრდი. აი, დაახლოებით რა აზრები მომდიოდა მაშინ:

– ვინ ვარ და რა ვარ მე? რას წარმოვადგენ მე როგორც „მე“?

– ეს „მე“ არ არის 8 წლის ბავშვი... 100 წლის მოხუციც არ არის ჩემზე როგორც „მე“-ზე უფროსი. „მე“-ს საერთოდ არა აქვს წლოვანება! ის არ არის ვინმე დედის და მამის შვილი, არ არის ბიჭი ან გოგო, ჭკვიანი ან სულელი, კეთილი ან ბოროტი, არ არის ესა და ეს ან ასეთი და ასეთი... მისი თვისებების რაოდენობა ნულია!.. და ამ გაგებით თითქოს არც არსებობს!..

– ამავე დროს, ყველაზე აშკარად სწორედ „მე“ არსებობს!.. და ერთადერთი, რაც მასზე შეიძლება ითქვას ის არის, რომ ყველაზე ნალდად არსებობს. თითქოს, სწორედ არსებობაა მისი ერთადერთი ბუნება და არსი! ამიტომაც არის შეუძლებელი მისი გაქრობა, აღარ არსებობს! ეს სამყარო უფრო შეიძლება გაქრეს სიზმარივით, რადგან ის უფრო ნაკლებად ნამდვილია, ვიდრე ეს „მე“. ამ „მე“-ს გარდა არც არაფერია!

– „მე“, მიუხედავად სრული „სიცარიელისა“, ძალზე ძვირფასია, უძირფასესი!.. მთელ სამყაროს გადაწყნიდა! ასეთი ძვირფასი და ღირებულია ნებისმიერი ადამიანის „მე“, მიუხედავად გარეგანი გამოვლინებებისა... (თუმცა, მაშინ, იმ გაცხადების მომენტში არავითარი სხვები და საერთოდ არავინ და არაფერი არ იყო, მხოლოდ „მე“!)


– ისე, ჩემი და სხვა ადამიანების „მე“-ები განსხვავდებიან ერთ-მანეთისგან? – თითქოს, არა, როგორც, მაგალითად, სივრცეები სხვადასხვა ჭურჭელში და ჭურჭლის გარეთაც არ განსხვავდება ერთ-მანეთისგან სივრცეობით და სიცარიელობით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სხვადასხვა ადგილს, სხვადასხვა ჭურჭელს „ავსებენ“. ჭურჭლის კედლების დამსხვრევით მხოლოდ მათი გარკვეული შემოსაზღვრულობა მოიძლება, რომელიც გამოყოფდა მათ სხვა ჭურჭლების სივრცეებისგან და, საერთოდ, მთელ მათ ირგვლივ მყოფი სივრცისგან! იქნებ, ჭურჭლის ფორმებია მნიშვნელოვანი?.. მაგრამ „მე“ თავისთავად, მაინც, ფორმის და რაიმე კონკრეტული ადგილის არმქონე ჩანს!

– თუმცა უშუალოდ არ განვიცდიდი, მაგრამ ლოგიკურად მაინც, უნდა მეღიარებინა, რომ, მაგალითად, ჩემი ამხანაგის მსუქანი ბებია სასაცილო ქუდით, მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს და ე.ი. „მე“ აქვს („მე“-ა), ისეთივე უძვირფასესი და უმნიშვნელოვანესია, როგორც ლა-მაზი და ჭკვიანი... ანდაც, ჩხუბში ძლიერი და ფეხბურთის თამაშში მაგარი ტიპი!.. ისიც ისეთივე უძვირფასესია, როგორც მე!

– მაგრამ როგორ არსებობს ეს „მე“ ამქვეყნად? როგორ უკავშირდება სხეულს, რატომ უნდა განვიცდიდე ტკივილს?.. ან რა სურვილი უნდა ჰქონდეს, რა სურს ამ „მე“-ს? რატომ ყოველთვის არ განვიცდი ჩემს თავს ამ „მე“-დ?.. უსიზმრო ძილის დროს სად ქრება „მე“... თუ არ ქრება და „გამოლვიძების“ შემდეგ მავინყდება? „მე“ არის სამყაროში თუ სამყარო იმყოფება „მე“-ში, როგორც სიზმარი მძინარე ადამიანის გონებაში? თუ ეს „მე“ უასაკოა, მაშინ არათუ „სიკვდილის“ შემდეგ, არამედ „დაბადებამდეც“ უნდა იყოს! მაგრამ როგორ? რატომ არ ვიცი ეს? განა ეს „მე“ კარგად არ უნდა იცნობდეს თავის თავს?..

ეს ყველაფერი მინდოდა გამეგო. მაგრამ რაიმე გარკვეული და დამაჯერებელი ჰასუხი არ ჩანდა. იქნებ, ეს კითხვები თავისთავად მოხსნილიყო, რომ მომხდარიყო ამ ნამდვილ „მე“-ში, ამ „მე“-დ დამკვიდრება... თუნდაც ცოტათი უფრო დიდხანს... მაგრამ მოხდა ამ „ნაკლებად ნამდვილ სამყაროში“ მყისიერი „დაბრუნება“... ასე რომ, უფრო, ეჭვების და ვარაუდების ანაბარა დავრჩი. სხვათა შორის, მაშინ აზრადაც არ მომსვლია ვინმექსთან მესაუბრა ამაზე!

არც იმას გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ეს ყველაფერი მხოლოდ საფრთხის წინაშე აღმოჩენილი შეშფოთებული გონების მიერ თვით-დაცვის ინსტინქტური გამოვლენა იყო და მეტი არაფერი!.. ან, იქნებ, ეს სამყარო და თავად ეს კითხვებია, სწორედ, გონების ოინი?!



## უცვლელი მოწმე

„რასაც ხედავ – შენ არ ხარ;  
რაც შენა ხარ – ვერ ხედავ“.

როდესაც ჩემს თავს ვაკვირდები, გამოვყოფ სხვადასხვა ასპექტს, რომლებიც, შეიძლება, ერთმანეთისგან განუცალეკევებელიც კია, მაგრამ მაინც შემიძლია ცალ-ცალკე მოვიაზრო: სხეული, გარეგნობა, შეგრძნებები, ემოციები, ფიქრები, სურვილები, ინტელექტი, ხასიათი, ზნეობრივი შეგნება, პოლიტიკური და სხვადასხვა შეხედულებები, განათლება, გამოცდილება, ბიოგრაფია, ეროვნება, სქესი, ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობა, სოციალური სტატუსი და, ბოლოს, „მე“, „მე ვარ“-ი.

ცვალებადია სხეული და მისი მდგომარეობა. შემიძლია დავაკვირდე მას როგორც სუბიექტი ობიექტს და აღვნუსხო ცვლილებები. ასევე შემიძლია დაგაკვირდე როგორ ენაცვლება ჩემში ერთმანეთს სხვადასხვა გრძნობები, ფიქრები და სურვილები. შემიძლია დავაკვირდე და განვიხილო ჩემი ხასიათიც, ზნეობრივი შეგნებაც, სქესიც, ეროვნებაც, ბიოგრაფიაც... მაგრამ რაც შეეხება „მე“-ს, მას კი ვეღარ განვუდგები და ვეღარ შევხედავ როგორც სუბიექტი ობიექტს, რადგან ვინც უნდა განვუდგე და ვისაც უნდა განვუდგე – ორივე ერთი და იგივე „მე“-ა ანუ თავად მე ვარ!

8 წლის რომ ვიყავი და განვიცდილი „მე“-ს ან „მე ვარ“-ს, ეს იგივე უცვლელი „მე“ და „მე ვარ“-ია, რაც დღეს. თითქოს, „მე“ არც არის დროის ღერძზე მყოფი.

მაშ, ვინ ვარ მე როგორც ის წმინდა სუბიექტი, ის მაყურებელი, ის მოწმე, რომელიც მოწმობს ცვლილებებს, ყველაფერს, თავად კი უცვლელია?

იქნებ, ეს გამეგოუშუალო გაცხადებით, ყურადღების მოცილებით ყოველგვარი „არა-მე“-სგან და „მე“-ში დაუნჯებით, გარინდებით, ოლონდ, არა ჩაძინებით, „მე“-ში სიფხიზლით. ან, იქნებ, საერთოდ შეუძლებელია ამ „მე“-ს როგორც ობიექტის შემეცნება და მხოლოდ „მე“-დ ყოფნაა შესაძლებელი!.. და, აკი, ვარ!

## „მე ვარ“

ბალახი რომ მწვანეა, ამას დასაბუთება  
კი არა, დანახვა სჭირდება.

ვინ ან რა განიცდის და რა იგულისხმება, როდესაც ითქმება: „მე ვარ“?

„მე ვარ“ გულისხმობს „მე“-ს არსებობას და „მე“-სვე მიერ ამ ფაქტის განცდას.

„მე“-ში და „მე“-თი ვიგებ თავად არსებობას და ცნობიერებას როგორც ასეთს... და „მე“-შივე ვიგებ, რომ არსებობა და ცნობიერება ერთი და იგივე რამის („მე“-ს) ორი ასპექტია, ერთი და იგივე რამეა, როგორც აღმართი და დაღმართია ერთი და იგივე ფერდობი.

„მე ვარ“-ში არსებობა – თავად არსებულობის და ცნობიერების არსებობაა, ცნობიერება კი – თავად ცნობიერების და არსებულობის გაცნობიერებულობა.

„მე ვარ“-ის შინაარსი, სწორედ, თავად არსებობა და მისი თვითცნობიერებაა... ან თავად ცნობიერება და მისი არსებობა.

„მე ვარ“-ში „მე“ – არის განცდაც, განმცდელიც და განცდილიც! თუ, პირობითად, განცდა მონაკვეთია, მაშინ განმცდელი და განცდილი მისი ბოლოებია.

„მე ვარ“-ს განიცდის თავად არსებობა-ცნობიერება (ა.ც.) კონკრეტულ ადამიანში.

## „ნამდვილი მე“ და „მეორადი მე-პიროვნება“

ზღვის თითოეულ ტალღას თავისი მეობა აქვს,  
მაგრამ ზღვის „მე“-ა ტალღების ნამდვილი მე.

„ნამდვილი მე“ არ არის „მე“ კონტექსტიდან „მე, შენ, ის“!.. ამიტომ შეიძლებოდა მისთვის არც გვეწოდებინა „მე“, და მხოლოდ „არსებობა“ ან „ცნობიერება“ გვეხსენებინა... თუმცა, მაინც სრულიად

ბუნებრივია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელის გამოყენება. ეს „მე“ საერთო, ერთიანი, მთლიანი არსებობის მეა, რომლისთვისაც არც „სხვა“ და არც ცალკერძად მყოფი „მე“ არ არსებობს. ამიტომ აქ ეგოიზმზე და ამპარტავნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ეგოისტური და ამპარტავნული შეიძლება იყოს „მე“ კონტექსტში „მე, შენ, ის“, რომელიც, ასე ვთქვათ, მხოლოდ „მეორადი მე“-ა ერთიანი არსებობის „მე“-სთან მიმართებაში. „მეორადი მე“ სხეულთან და გონებასთან გაიგივებული მეა. მას იაზრებს გონება, რომელიც თავად არის მეორადი, „ნამდვილი მე“-ს – ა.ც.-ს მიმართ. მეორადი, გონებისმიერი მე ანუ „მე-ფიქრი“ დაახლოებით ისევე განსხვავდება ნამდვილი, ერთიანი მესგან ანუ ამ მედ ყოფნისგან, როგორც სიყვარულზე ფიქრი თავად სიყვარულისგან.

მოჩვენებითი „მეორადი მე“-ც, სინამდვილეში, „ნამდვილი მე“-ა, ოღონდ, ამ „მეორადი მე“-ნილბით შემოსილი... როგორც, მაგალითად, ლორისნილბიანი კაცი... თუმცა ლორის სახეს ვუყურებთ, სინამდვილეში, კაცია, ოღონდ, ლორის ნილბით.

სარკეშიც ჩანს როგორც ლორი... და თუ ლორის-ნილბიან კაცს თავი ლორი ჰერნია, ლორულადაც მოიქცევა; ხოლო, თუ იცის, რომ კაცია, კაცურად იცხოვრებს.

### **არსებობა – ცნობიერება – თავისუფლება**

სიზმარში ნანახი ქვა, მცენარე, ცხოველი და ადამიანი, მიუხედავად მათი განსხვავებული ბუნებისა, მაინც ერთი და იგივე, ფიქრის და წარმოსახვის მსგავსი რამაა.

როგორც შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მრავალი საგანი, და მთელი სამყარო მრავალ საგანთა და მოვლენათა ერთობლიობაა, ასევე შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ერთადერთი რამ – ა.ც. მრავალი საგნისა და მოვლენის სახით, და მთელი სამყარო – ეს არის ერთადერთი ა.ც. მრავალი ფორმით!..

თვითცნობიერი ა.ც. თავისუფლად, თავისი ნებით და ძალით ახ-დენს გამოვლენას კერძოდ ასეთ და ასეთ ფორმებში, სტრუქტურებ-ში, ლოგიკურ კანონებში ანუ გონიერების ენაში – ლოგოსში, რო-მელშიც არსებობს და რომლითაც არსებობს ყოველივე. ამ ენაშივე სუფეს თავად ნება, ძალა, გამოვლენა, თავისუფლება, თავად არსე-ბობა და ცნობიერება, თავად ენა!

ყველაფერი, მთელი სამყარო – ეს არის მთელ სამყაროდ გამოვ-ლენილი არსებობა-ცნობიერება-თავისუფლება ანუ ა.ც.თ. გარკვეუ-ლი ენით.

ადამიანის სხეული, გრძნობები, ინტელექტი და ა.შ. „ძევს“ ა.ც.თ.-ს ენაში, ხოლო, ადამიანის „მე“ არის თავად ა.ც.თ, ოღონდ, თითქოსდა, „შემოფარგლული“ კონკრეტული სხეულით, ემოციებით, ინტელექ-ტით და ა.შ.

„მე“, „მე ვარ“-ი – თავად არსებობა-ცნობიერება-თავისუფლებაა, მისი ხატი და გამოვლინებაა ყოველ კონკრეტულ ადამიანში.

პანთეიზმი და „პან-მე-იზმი“ ადვილად გადადიან ერთიმეორები.

ვთვათ, სიზმარში ლელვის ხის ძირას ვზივარ... რა მიმართებაშია ჩემი როგორც ხის ძირას მჯდომის ცნობიერება ჩემს როგორც მძინ-არე ადამიანის ცნობიერებასთან – რომელშიცაა მთელი ეს სიზმრი-სურათი თავისი ლელვის ხით და მის ძირას მჯდომით?


რას ვიტყოდით დროის შესახებ ჩვენი ცხოვრება თავისი წარსუ-ლით და მომავლით ორიოდე წუთის წინ დაწყებული სიზმარი რომ აღმოჩენილიყო!?

სიზმარში მყოფნი სამყაროს წარმოშობაზე რომ დავფიქრებული-ყავით, საიდან დავიწყებდით ისტორიის და სამყაროს დასაწყისის გახ-სენებას? – იქნებ ჩაძინებიდან?

სიზმარში რომელ სიზმრისულ ბილიკს მიყავხარ გამოფხიზლები-სკენ?

სიზმრიდან რომ გამოერკვე, ამისათვის ან ვინმე გამოფხიზლე-ბულმა უნდა შეგანჯლრიოს, ან თავად სიზმარში უნდა ხდებოდეს რაიმე შემანჯლრეველი.

## „TABULA RASA“



როცა სურათს ვუყურებთ, მხოლოდ დახატულს ვაქცევთ ყურადღებას და არა ფურცელს. ამის მსგავსად, უფრო საგნები, მოვლენები და იდეები გვიტაცებს... და მხედველობიდან გვრჩება ყველაზე ძვირფასი – თავად ცნობიერება, რომელშიც ჩნდება ეს ყოველივე.

### თანაგრძნობის საფუძველი

გრძნობენ თუ არა ტალღები,  
რომ ერთ ზღვას წარმოადგენენ?

ჩვენი „მე“-ებით არათუ ერთნაირები, არამედ, სწორედაც რომ ერთნი ვართ როგორც ერთიანი ა.ც.! ამიტომაც, თანაგრძნობა, გულშემატკივრობა და ზრუნვა „სხვაზე“ როგორც საკუთარ თავზე სავსე-

ბით ბუნებრივია. ინდივიდუალურ-პიროვნული „მე“-ების განსხვავებულობა კი დამატებითი საფუძველი შეიძლება იყოს ურთიერთით დაინტერესებისა და ურთერთსიყვარულისა.

## ინდივიდუალური პიროვნება

შენ ის ხარ, რაც გიგრძენია, გიფიქრია,  
გითქვამს და გიკეთებია.

„მე“ თითოეულ ადამიანში სხვებისგან განსხვავებულად ახორციელებს თავისუფლებას და ქმნის საკუთარ ბიოგრაფიას. სწორედ ამ საკუთარი ბიოგრაფიის შემცველი „მე“-ა, კონკრეტულ სხეულთან და ხასიათთან ერთად, ადამიანის ინდივიდუალური პიროვნება.

ქვეყნად მცხოვრები ადამიანი არ არის მხოლოდ „მე“, „მე ვარ“-ი, ეს ინდივიდუალურ-პიროვნული „მე“, თითქოსდა, „შემოსილია“ გარევეული შინაგანი უნართვისებებით და გარეგანი გარემოებებით – ხასიათი, ინტელექტი, ტემპერამენტი, სხეული, გარეგნობა, ოჯახური გარემო, ცხოვრებისეული პირობები... პიროვნებაზე როგორც დინამიურ, ცვალებად, ჩამოყალიბებად არსებაზე გავლენას ახდენს მექავიდრეობითობაც და ათასგვარი გარეშე პირობებიც, რომლებიც განსაზღვრავენ მის ქცევებს.... მაგრამ პიროვნების უმთავრესი ლირსება, მაინც, მისი პირადი შინაგანი მისწრაფებით თუ არჩევანით განისაზღვრება, არჩევანით კეთილსა და ბოროტს შორის.

ჩვენი პიროვნული „მე“-ებით ერთდროულად ერთნაირებიც ვართ და განსხვავებულნიც, უცვლელნიც და ცვალებადნიც, უპირობოდ ყველაფერზე ძვირფასი და პატივისცემის ლირსნიც და, ამავე დროს, თავისუფლების ამა თუ იმ გამოვლინებების მიხედვით, ან ლირსეულნი და ანდაც უღირსნიც!

ყოველი კონკრეტული ადამიანი ინდივიდუალური პიროვნებაა როგორც საზოგადოების ერთ-ერთი წევრი სხვა წევრებთან მიმართებაში, მათგან ყველასგან გამორჩეული, უნიკალური და განუმეორებელი.

ესა თუ ის კონკრეტული პიროვნება შეგვიძლია ვიცნოთ, შეიძლება გვიყვარდეს ან არ გვიყვარდეს... მაგრამ ვერანაირად ვერ განვსაზღვრავთ მას, შეგვიძლია მხოლოდ რაიმე სახელით და გვარით მოვიხსენიოთ.

ზოგჯერ პიროვნებად მხოლოდ ზნეობრივ პიროვნებას მიიჩნევენ და მასზე ამბობენ, რომ ის არის „ნამდვილი პიროვნება“, ხოლო უზნეოს საერთოდ არ თვლიან პიროვნებად.

ზოგიერთი პიროვნებად მიიჩნევენ მხოლოდ მათ, ვისშიც განხორციელდა განწმენდა-გამოსწორება, გაღვთიურება... ანუ წმინდანებს.

ზოგჯერაც პიროვნებას უწოდებენ ძლიერი ნებისყოფის, ძლიერი მისწრაფების, მეყაფიოდ გამოხატული მიზნების მქონე ადამიანს, თუნდაც ეს მისწრაფებები და მიზნები არცთუ ზნეობრივი იყოს და მხოლოდ მოთავისე ადამიანის კერძო, ეგოისტურ მიზნებს ემსახურებოდეს. არადა, პიროვნება უფრო ვექტორს ჰგავს, იგი ხასიათდება არა მარტო სიდიდით, არამედ მიმართულებითაც.

ეტიმოლოგიურად კი „პიროვნება“, „პერსონა“ ნიშნავს ნიღაბს, პირისახეს, ხოლო „ინდივიდი“ – განუყოფელ ერთს. ამ გაგებით ყოველი კონკრეტული ადამიანი არის ინდივიდუმი გამოხატული როგორც პიროვნება ანუ ის არის განუყოფელი ერთი წარმოდგენილი გარკვეული ნიღაბით, პირისახით.

„პიროვნებას“ უმთავრესად მაინც ხასიათს ვუკავშირებთ, როგორც ადამიანის ქცევის ძირითად საფუძველს... ის არის პიროვნების „ასეთობა“. ხშირად, ხასიათი როგორც „ანაბეჭდი“ გარეგნობაშიც გამოსჭვივის, რომ არაფერი ვთქვათ თავისუფალ მისწრაფებებზე.

## ხასიათის თავისუფლება თუ ხასიათისგან თავისუფლება?

არჩევანს პიროვნება და გარემოება განსაზღვრავს, პიროვნებას და გარემოებას – მანამდელი არჩევანი.

შეიძლება თუ არა იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი საკუ-

თარი ხასიათისგან? ან შეგიძლია თუ არა ესწრაფოდე ხასიათის გა-  
მოსწორებას, თუ ეს სწრაფვა შენივე ხასიათიდან არ გამომდინარე-  
ობს? შეიძლება თუ არა გენოდოს თავისუფალი, თუკი არ შეგიძლია  
იყო ისეთი, როგორიც გინდა, რომ იყო?

რაიმე თვისება ხასიათისა ადამიანმა შეიძლება განიხილოს, მოი-  
ნონოს ან დაინუნოს, ზოგჯერ შეუძლია გააძლიეროს ან სულაც გან-  
აქარვოს, მაგრამ, ხშირად, ხასიათის მიღრეკილებათა არა თუ მოსპო-  
ბა, მნიშვნელოვნად შესუსტებაც კი თითქმის შეუძლებელია. თუმცა,  
„რაც შეუძლებელია კაცთათვის, შესაძლებელია ღმერთისთვის“.

თუ ადამიანი პასიურად მიჰყება თავის ხასიათს, მის მიღრეკილე-  
ბებს, ყოველგვარი თვითშეფასებისა და შინაგანი კონტროლის გა-  
რეშე, ასეთ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ ის შინაგანად თავისუფა-  
ლი და თავისი თავის ბატონ-პატრონია, ასე „გიურიც თავისუფალია“!

არა მარტო ადამიანის ხასიათი განაპირობებს ქცევას, ქცევაც  
აყალიბებს ხასიათს. ჯერ თავად ეწევიან თამბაქოს, მერე კი თამბ-  
აქო თვითონ აწევინებს თავს.

### ჭადრაკის ანალოგია

გადახტები თუ არა ფანჯრიდან – ეს შენი ნებაა,  
მაგრამ თუ გადახტი, მერე უკვე შენი ნება აღარაა  
– დაენარცხები ძირს თუ არა.

თამაშის დასაწყისში არჩევანი ჩენი სვლებისა თავისუფალია, მაგ-  
რამ შემდგომში შეიძლება იძულებითი სვლების გაკეთებაც მოგვიხ-  
დეს, როდესაც არჩევანის უნარი კი შენარჩუნებულია, მაგრამ შეზ-  
ღუდულია ასარჩევი სასურველი ვარიანტები, და ბოლოს შეიძლება  
მხოლოდ არასასურველი ვარიანტი დარჩეს! მაგრამ ამ იძულებითო-  
ბამდე, ხომ, თავიდან ჩვენივე თავისუფალი სვლებით მივედით!

## თავისუფლების დიალექტიკური ნიუანსი

თავისი თავის უფალი – თავისი თავის მონაა.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ „მე“-ს თავისუფლება და „თავისუფლება მთლიანად ადამიანისა“. „მე“-თავისთავად უპირობოდ თავისუფლალია, მაგრამ ადამიანი მხოლოდ ფარდობითადაა თავისუფლი – საკუთარი უნართვისებებისა და გარემოებების ფარგლებში.

თავისთავადი „მე“-ს გაიგივება ადამიანურ ბუნებასთან – არის თავისუფლების უნებური (ან, იქნებ, ნებაყოფლობითი?!) დაქვეითება ფარდობით თავისუფლებამდე.

შეიძლება ასეთი რამ ხდება: თავისუფლება ჯერ თავად იზღუდავს თავს და შემდეგ თავადვე ისწრაფვის გათავისუფლდეს და თავის თავს დაუბრუნდეს.

თავისუფლება – ეს არის გარედან შეუზღუდველობა, საკუთარი თავის გამოხატვა-განხორციელება დამოუკიდებლად, არა გარეშე ძალდატანებით, არამედ შეინიდან, საკუთარი ნებით. მაგრამ „თავისი თავის უფალი“, იმავდროულად, „თავისივე თავის მონაც“ გამოდის! გარდა ამისა, თავად ადამიანში შეიძლება გამოვყოთ „შიგა“ და „გარე“, „უფალი“ და „მონა“...

როცა სხეულებრივ მოთხოვნილებებს ვიკმაყოფილებ, ამ დროს ბატონი ვარ თუ სხეულის მსახური? მე მაქვს თავისუფლების შეგრძნება თუკეთ ჩემი შეგნების, ჩემი შეხედულებისამებრ ვიქცევი და იმას ვაკეთებ, რაც მინდა. მაგრამ რაც მინდა – ეს განსაზღვრულია უკვე მოცემული და არა არჩეული სხეულებრივი თუ სხვა მოთხოვნილებებით!.. ასე რომ მაშინაც კი, როცა ვახერხებ და იმას ვაკეთებ, რაც მინდა – ეს მაინც უკვე განსაზღვრულობის, ე.ი. არათავისუფლების განხორციელებაა და არა თავისუფლების განხორციელება!.. ანუ პარადოქსულად: ეს არის „არათავისუფლების თავისუფლება“.

რომელი თავისუფლებაა ნამდვილი თავისუფლება: „მინდა“-ს თავისუფლება თუ „მინდა“-სგან თავისუფლება?.. არჩევანის თავისუფლება თუ არჩევანისგან თავისუფლება?

თუ თავისუფალი ხარ, არაფერიც არ გინდა; თუ არაფერი არ გინდა, მაშინ ხარ თავისუფალი. ნამდვილ „მე“-ს არაფერი არ უნდა, არაფერი არ სჭირდება, ის თავისუფალია, ის თავად თავისუფლებაა.

### ორიენტირის დაკარგვა

თავისუფალია თუ არა კაცი, რომელსაც ეჩვენება, რომ ღორია და ფიქრობს: ტყლაპოში ჩაწვეს თუ ჯერ სალაფავი შეთქვლიფოს, მდედრ ღორს გაეკიდოს თუ მამრს ეჩხუბოს?


მიწიერ ცხოვრებაში, როცა „მე“ ვლინდება როგოც „მე-პიროვნება“ – სხეულში, გრძნობებში, ინტელექტში და ა.შ., ამ დროს იგი თავის თავს აიგივებს მათთან და ადამიანის ამ გამოვლინებებად აღიქვამს თავს. ივიწყებს კიდეც თავის ნამდვილ მეობას. რასთანაც აიგივებს თავს, იმის ბუნებას და მოთხოვნილებებს საკუთარ ბუნებად და მოთხოვნილებებად მიიჩნევს, იწყებს მათი ცხოვრებით ცხვრებას. ასე იხლართება მცდარ შეხედულებებში და კარგავს სწორ ორიენტაციას საკუთარი თავის, სხვა ადამიანების და გარემოს მიმართ.

ადამიანი მე-ს ცალკე, სხვებისგან და გარემოსგან იზოლირებულად მყოფ მედ აღიქვამს... და ამ დროს „მე“-ს სავსებით რეალური ძვირფასობის და მნიშვნელოვნების ბუნებრივი განცდა ხდება ამპარტაციული, ხოლო, „მე-პიროვნებაზე“ ზრუნვა და ფიქრიც ეგოიზმად გადაიქცევა! პიროვნებების განსხვავებულობაც ხშირად ურთიერთ-განზიდვას და ანტიპათიას იწვევს! აღარც ადამიანთა ერთობაა ყოველთვის ღირებული, ის დანაშაულებრივიც შეიძლება იყოს!

### „ვარ“

ვარ – უცხადესი ჭეშმარიტება!..  
უეჭველი და უცვალებელი!..  
არცთუ ჯეროვნად დაფასებული,  
უგულისყუროდ მიტოვებული....

მაგრამ, „მე-ფიქრი“, ფიქრი მტანჯველი,  
მთავარი ფიქრი, ფიქრი წყეული...  
თავკერძობის და განკერძოების  
სისხლმდენ ჭრილიბად გადაქცეული!



### „ვ-არ“

„ვ“ – „ვარ“-ში პირველი პირის ნიშანია, „მე“-ს ნიშნავს.  
„არ“ – „ვარ“-ში ნიშნავს: „არის“, „არსებობს“.  
ამავე დროს, ზოგადად, „არ“ უარყოფის გამომხატველია: „არ არის“, „არ არსებობს“.  
ანუ (ცოტას თუ წავითამაშებთ): მე ვარ... და არც ვარ! არ ვარ რო-  
გორც “რაიმე”!.. მხოლოდ „ვარ“-ობა ვარ, უფრო სწორად, უბრალ-  
ოდ, მხოლოდ ვარ!

## იდუმალი ყვავილი მკერდში

თითქოს მკერდში რაღაც ყვავილივით გაიშალაო... აქამდე უცნობი, ძალიან ფაქიზი და მსუბუქი განცდა იყო... ბუნდოვანებიდან გამოფხილებასაც გავდა... იმასაც, რომ გგონია გლვიძავს და მერე კიდევ რომ გაგელვიძება.

მერე გამახსენდა ერთი-ორი დღის წინანდელი შემთხვევა და გავიფიქრე: რა ცუდად მოვქცეულვარ-მეთქი. არადა, მაშინ სულაც არ ვფიქრობდი ასე! მეზობელ ბავშვთან უთანხმოება მომივიდა და ვუთხარი: ალარ გეთამაშები-მეთქი. ორივენი შვიდი წლისანი ვიყავით. ის მეხვეწებოდა, მეთამაშეო, მე კი არ ვურიგდებოდი. თან, ისიც მაღიზიანებდა, რომ მეხვეწებოდა... რა უთავმოყვარეოა, მე ხომ ასე არ-ავითარ შემთხვევაში არ დავიმცირებდი-მეთქი თავს!

მერე, თავიდან რომ მომეშორებინა, იქვე პატარა გუბეზე მივუ-თითე: აქ თუ ჩაჯდები, შეგირიგდები-მეთქი.

მართლა შემირიგდები და მეთამაშებინ?

გავიფიქრე: ნუთუ მართლა ჩაჯდება?!..

და როცა მართლა ჩაჯდა, გადავირიე, უფრო გავბრაზდი და არ შევურიგდი! – ჭკუა უნდა ვასწავლო, ასეთი დებილი როა-მეთქი! – ასე ვფიქრობდი მაშინ...

ახლა კი აიგანზე მარტო მდგომი, მკერდში რაღაც იდუმალი ყვავილის გაშლის და რაღაცნარი გამოფხიზლების ფონზე სრულიად ცხადად ვხედავდი, რომ ეს ცუდი საქციელი იყო: დავპირდი და დაპირებული არ შევასრულე... მოტყუებული, იმედგაცრუებული და დათრგუნული დაგტოვე!.. არავითარი ვითომ ჭკუის სწავლება და რაღაც გაკვეთილის ჩატარება არ ამართლებდა ამას! – ახლა ეს იყო ცხადი და უეჭველი!.. უშუალოდ, ყოველგვარი გონივრული მსჯელობების, უფროსების ავტორიტეტული შეგონებების ან, თუნდაც, საზოგადოდ მიღებული მორალური ნორმების გარეშე!

ეს იყო სინდისის თავისთავადი ყვავილობა, რაც გარედან ჩარევით ვერც მოხდებოდა.

## ეგოიზმი, სინდისი და პატიოსნება

ეგოიზმში იგულისხმება საკუთარი თავის როგორც სხვებისგან ცალკერძად მყოფის დაყენება ყველაზე და ყველაფერზე მაღლა... და ზრუნვა მხოლოდ „საკუთარ თავზე“, თუნდაც უზნეოდ და უსამართლოდ.

საკუთარ თავზე ზრუნვა არაეგოისტურადაც, ბუნებრივადაც შეიძლება და საჭიროცაა, აუცილებლობიდან გამომდინარე... სამართლიანობიდან, სხვებზე ზრუნვიდან გამომდინარე და მათთან შეთანხმებით!

თუ საკუთარ თავში ღრმად ჩაიხედავ, ნახავ, რომ მარტო ხარ... მაგრამ თუ კიდევ უფრო ღრმად ჩაიხედავ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საერთოდ არ ხარ როგორც ცალკე მყოფი „მეორადი მე“... და არის მხოლოდ ერთადერთი, ერთიანი ა.ც.თ.

ეგოისტური შეიძლება იყოს ცალკე აღებულ სხეულთან, გრძნობებთან, გონებასთან და მათთან დაკავშირებულ ნება-სურვილებთან გაიგივებული, გონების მიერ მოაზრებული „მეორადი მე“... და არა მე თავისთავად, რომელიც ერთიან ა.ც.თ.-დ სუფექს.

ცალკერძად მყოფობის განცდაში შეიძლება დაიბადოს ეგოიზმი მთელი თავისი საბედისწერო შედეგებით. ამპარტავნება, მომხვეჭელობა, დიდებისმოყვარება, სხვებზე გაბატონების სურვილი და ათას-გვარი ცოდვა აზიანებს ირგვლივ მყოფთაც და თავად ეგოისტ ადამიანსაც. ეგოიზმი ყოვლისშთანმთქმელი კერპი ხდება.

ეგოიზმს შეუძლია საკვებად გამოიყენოს ნებისმიერი რამ, თვით ეგოიზმის საწინააღმდეგო ქადაგებაც კი!

იყავი ბუნებრივი, ოღონდ, არა ცოდვითდაცემულბუნებრივი!

ნამდვილი ეგოისტები მაშინ ვიქენებოდით, ნამდვილ „მე“-ს – ღვთის ხატებას და მსგავსებას რომ ვავლენდეთ მუდამუამ... და ღმერთის ნების აღმსრულებელნი მხ-ლოდ სიკეთეს ვიქმოდეთ! ახლა კი ჩვენ, სინამდვილეში, ეგოისტები კი არა, ცრუ-ეგო-ისტები ვართ!

რატომ უნდა იყო პატიოსანი? – ეს მხოლოდ პატიოსნების მეშვეობით შეიძლება იცოდე!

პატიოსნებაზე მოწმობს სინდისი – თავად ა.ც.თ.-დან მომავალი იმპულსი (რომელიც მეცნიერების სფეროში ვლინდება როგორც ინტიუცია, ხოლო რელიგიაში – როგორც რწმენა).

სხეულთან და მასთან დაკავშირებულ გრძნობა-გონებასთან გაიგივებულმა ადამიანმა, „მეორადმა მე“-მ არ უნყის საკუთარი თავი წმინდა სახით. ჩვეულებრივ, ადამიანი თავის თავს, სხვებს და საერთოდ ყველაფერს აღიქვამს სხეულთან დაკავშირებული გრძნობა-გონების გავლით. სინდისი მას შეიძლება მის გარეთ არსებულ თავს მოხვეულ რამედ ეჩვენებოდეს, რომელსაც შეიძლება დაემორჩილოს ან არა... ხოლო, მისთვის, ვინც ა.ც.თ.-ს სიწმინდეშია, დასამორჩილებელიც არაფერია, რადგან არავინა ვიღაც ცალკე მყოფი, ვინც თავისგან განსხვავებულს უნდა დაემორჩილოს.

სინდისის ხმა – დინამიური, ა.ც.თ.-ს ამწუთიერი შემოქმედების უწყებაა და არა რაღაც გახევებული დოგმატური სწავლება, მშობლების შეგონება ან საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მხოლოდ ზოგადი მითითებებია და გარკვეულწილად გარედან არეგულირებს ადამიანების ერთობლივ ცხოვრებას. ყოვლისმომცველმა ა.ც.თ.-მ იურიდიულ კანონებზე და საზოგადოებაში მიღებულ მორალურ ნორმებზე უკეთ იცის რა სჯობს მოცემულ მომენტში, მოცემულ განუმეორებელ სიტუაციაში.

უმთავრესი თავისუფლება არის თავისუფლება ცრუ-ეგოიზმის-გან... და სინდისიერებაში დამკვიდრება. სინდისში სინთეზირდება, სწორედ, თავისუფლება და მოვალეობა-პასუხისმგებლობა... აგრეთვე, უანგარო სიკეთე და ბუნებრივი, ჯანსალი ზრუნვა საკუთარ თავზე!

ამ უმთავრესი თავისუფლების წიაღში ვლინდება სიყვარული როგორც შემოქმედების მამოძრავებელი ძალა. ეს არის თავისუფლება-სიყვარული-შემოქმედება... და ეს არის ადამიანის ნამდვილი არსი, ნამდვილი ადამიანის რაობა – ყოვლისმომცველ ერთიან ა.ც.თ.-სთან შეგნებული თანაარსობა.

## თავისუფლება და კანონი

ადამიანის თავისუფლება მხოლოდ განსაზღვრული აუცილებელი კანონების და მკაცრი მიზეზშედეგობრივი კავშირების პირობებშია შესაძლებელი. თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოდგენაც არ გვექნებოდა ჩვენი „თავისუფალი“ ქმედებების შედეგებზე. არანაირი გარანტია არ გვექნებოდა იმის თაობაზე, რომ ჩვენს ამა და ამ მოქმედებას სწორედ ესა და ეს შედეგი მოჰყვებდა და არა სხვა. სრულ გაურკვევლობაში და ქაოსში აღმოვჩნდებოდით. არაფერი არ იქნებოდა ჩვენს ხელთ, ჩვენს ნებაზე!.. თუმცა, ეს ეხება უფრო ბუნების საყოველთაო კანონებს, და არა ადამიანის ბუნებით და ქვეყნის იურიდიულ კანონებს!.. – აქ საქმე არც ისე ცალსახად და ერთმნიშვნელოვნადაა, ბევრი რამეა დამოკიდებული ცალკეულ ინდივიდუალურ პიროვნებაზე, ცალკეულ საზოგადოებებზე...

პიროვნებისთვის თავისუფლება და მოვალეობა-პასუხისმგებლობა ერთიანდება მის სინდისში, შინაგან გულის ხმაში, რომელშიც ერთ-მანეთთანაა შერწყმული: მოვალეობა და პირადი მიდრეკილება, მცნება და პირადი სწრაფვა, ჯერარსობა და თავისუფალი არჩევანი.

## პიროვნების თავისუფლების ზოგიერთი სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი

პიროვნება ყოველთვის საზოგადოებაში მოიაზრება და მისი თავისუფლებაც მთელი საზოგადოების მდგომარეობასთან არის დაკავშირებული.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითოეული პიროვნებისთვის შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი ასპექტი: ერთი მხრივ, სოციალური გრძობა, საზოგადოებასთან და მთელ კაცობრიობასთან თანაზიარობა, ერთობის განცდის გარკვეული დონე; საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობა, პირადი წვლილის შეტანა და შრომის ნაყოფით სარგებლობა... მეორე მხრივ, ბრძოლა პირადი ძალაუფლებისთვის, სხვებზე

უპირატესობის მოპოვებისთვის და გაბატონებისთვის, თვითგანდი-დებისთვის, განსაკუთრებული გამორჩეულობისთვის...

საზოგადოება, ერი, ქვეყანა, მთელი მსოფლიო შეიძლება წარ-მოადგენდეს ჰარმონიაში მყოფ ერთიან ჯანსაღ ორგანიზმს, სადაც წანილი ერთდროულად ემსახურება კიდეც მთელს და სარგებლობს კიდეც მისით. ანუ, შეიძლება ხორციელდებოდეს პრინციპი: თითოეუ-ლი მთელისთვის და მთელი თითოეულისთვის.

ჩვეულებრივი, მიწიერი საზოგადოების ცხოვრებაში პიროვნებე-ბი თუმცა კი ეხმარებიან ერთმანეთს და არც შეუძლიათ უერთმან-ეთოდ, მაგრამ, იმავდროს ერთმანეთის კონკურენტებიც არიან! თუ თანამშრომლობა მაქსიმალურია, ხოლო კონკურენცია – მინიმალური, მაშინ ასეთ საზოგადოებას მეგობრულიც შეიძლება ეწოდოს, ხოლო თუ ბალანსი კონკურენციის სასარგებლოდ დაირღვა, მაშინ საზოგა-დოების ერთი ნაწილი ყოველთვის იჩაგრება მეორე ნაწილის მიერ! თუ ჰარმონია დარღვეულია, იწყება ბრძოლა – ბრძოლა არსებობისთ-ვის და თვითდამკვიდრებისთვის, რომელსაც ახლავს არაჯანსაღი სწრაფვა სხვის ხარჯზე გამდიდრებისკენ, სხვებზე გაბატონებისკენ... ხშირად ამ ბრძოლაში არა თუ სამართლიანობა, თავად ეგოისტური ინტერესებიც კი უაზრო აგრესის და სისასტიკის ფეხქვეშ ითელე-ბა, თითქოსდა, ყველაფერი ეწირება „ბოროტებას ბოროტებისთვის“. ცალკეული პიროვნება თავად, შეიძლება, არ სჩადის უსამართლო-ბას, მაგრამ, სამაგიეროდ, არც თუ ვერც ეპრძვის მას. არაჯანსაღი გარემოს პირობებში პატიოსან კაცსაც უხდება არჩევანი ერთმანეთ-თან წინააღმდეგობაში მოსულ ღირებულებებს შორის გააკეთოს, და მისი სინდისი ხშირად „იჭყლიტება“.

\*

პიროვნების თავისუფლების სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი გულისხმობს იმას, თუ რა უფლებების, უფრო კი, რა შესაძლებლო-ბების მფლობელია პიროვნება. არ არის საკმარისი გქონდეს უფლება, აუცილებელია გქონდეს შესაძლებლობა!

ათიდან თუ მხოლოდ ერთს აქვს საშუალება გახდეს წარმატებუ-60

ლი, ვითომ რა დიდად სანუგეშოა, რომ ამ ათთაგან ნებისმიერს აქვს უფლება გახდეს ის ერთადერთი?! კარგი – ათივეს რომ შეძლებოდა, ის იქნებოდა!

ვითომ, თავისუფლებაა, როცა „თავისუფალი ნების“ მქონე, იძულებული ხარ აკეთო ის, რაც სულაც არ გსიამოვნებს?!

ბატონყმობისგან გათავისუფლებული ყმები იძულებული შეიქნენ მოჯამაგირედ დადგომოდნენ ბატონებს; მუშები – ფაბრიკა-ქარხების მეპატრონებს; უქონებლი – მქონებლებს...

ვითომ, თავისუფალია „თავისუფალი ნების“ მქონე უფულო, რომელიც საკუთარ ქალაქსაც ვერ გასცდენია... მაშინ, როცა მისი ფულიანი მეზობლები იმაზე მსჯელობენ თუ რომელ უცხო ქვეყანაში იმოგზაურონ?!

\*

თავისუფლება – რაიმესგან ან ვინმესგან თავისუფლებაც შეიძლება იყოს: „სკოლა დამიმთავრდა, თავისუფალი ვარ“, „ცოლს გავეყარე, თავისუფალი ვარ“... ზოგი იმასაც ამბობს, რომ ყველაზე მაგარი თავისუფლება – „საკუთარი თავისგან“ თავისუფლებაა.

\*

ადამიანებს აქვთ იმის თავისუფლებაც, რომ ერთმანეთის თავისუფლება შეზღუდონ!

თავისუფლება გონიერებისა და ზნეობის გარეშე დამაზიანებელი და დამღუპველიც კი შეიძლება აღმოჩნდეს!

„დემონიკატიად“ ქცეული დემოკრატიის მთავარი „უპირატესობა“ იმაშია, რომ ადამიანები ვერაფრით ხვდებიან, კონკრეტულად ვინ ჩაგრავს მათ.

მონის ხილული ბორკილების გარდა არსებობს ვითომ-თავისუფალთა უხილავი ბორკილებიც.

წინათ მონათმფლობელები ირჩევდნენ თავიანთ მონებს, ახლა „ამო-მრჩევლები“ თავად ირჩევენ თავიანთ ბატონებს; ძველი მონათმფლო-ბელები ვალდებული იყვნენ ეზრუნათ თავიანთ მონებზე, ახლანდე-ლი ვაჟბატონები თვისუფალი არიან ამ მოვალეობისგან.

წარმომადგენლობითი დემოკრატია სინამდვილეში იგივე არის-ტოკრატიაა („საუკეთესოთა ძალაუფლება“)... უბრალოდ, ამ ვითომ-არისტოკრატიას ვითომ-დემოკრატიულად ირჩევენ.

\*

თუ ქვეყანამ „დამოუკიდებლობა“ მოიპოვა, ვიტყვით, რომ გავთა-ვისუფლდით. მაგრამ თუ ცალკეული პიროვნების უფლება-შესაძ-ლებლობები იგივე დარჩა ან კიდევ უფრო შეიზღუდა, თუ ახლა საკუ-თარი ხალხის წარმომადგენლები გჩაგრავენ, მაშინ?!.. თუმცა, „ზოგს ერთი ბატონის შეცვლა მეორეთი – მართლა გათავისუფლება ჰგო-ნია!“

\*

რამდენიმე წელიწადში ერთხელ ხალხს ვითომ რაღაც არჩევანის გაკეთების საშუალება ეძლევა... და ეს საკმარისია, რომ ამას „ხალ-ხის ძალაუფლება“ – დემოკრატია ვუწოდოთ?!

დემოკრატია როგორც „ხალხის ძალაუფლება“ იმაზე წაკლები ილუზია როდია, ვიდრე ე.წ. „მუშათა კლასის დიქტატურა“ საბჭო-თა კავშირში.

პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ხალხი დებილია!.. სამწუხაროდ, ისინი ამაში არ ცდებიან... ხელსაც უწყობენ... სინამდვილეში, ხალხი მანიპულირებული უფროა, ვიდრე დებილი.

საარჩევნო უბნებში ირჩევენ არა კონკრეტულ სასურველ რამეებს, არამედ წაკლებად წაცნობ და წაკლებად სანდო ვინმეებს, რომლებ-მაც ეს რამეები უნდა მოუტანონ, ვითომ, ხალხს!

ნორმალურ მთავრობას, იქნებ, იმიტომ ვერ ირჩევენ, რომ თავად ხალხის უმრავლესობაა არანორმალური?

\*

ჩვენი დასკვნები გამომდინარეობს იმ გამოცდილებიდან, ცოდნიდან თუ ინფორმაციიდან, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, და რომელიც, შეიძლება, სულაც არ იყოს საკმარისი სწორი დასკვნების გამოსატანად!..

\*

ადამიანებში კეთილი მხარეებიცაა და ბოროტიც... და სახელმწიფო წყობასთან ერთად, ქვეყნის მმართველობის სათავეებში მყოფ პირებზეცაა დიდი წილი პასუხისმგებლობისა იმაზე თუ რა თვისებებს გამოავლენს ხალხი.

რევოლუციების, დაე, უწესო და ბოროტ მმართველებს ეშინოდეთ, და არა მათ მიერ ჩაგრულ ხალხს, რომელსაც აშანტაჟებენ: იცოდეთ, უარესი იქნებაო!

თუ პარმონია ირლვევა, განა, ბუნებრივი არ იქნება აღიძრას ძალები დამრღვევის გამოსასწორებლად, ან თუ არ სწორდება, მაშინ მის გასანადგურებლად?! ეს ეხება ცალკეულ პიროვნებასაც, საზოგადოებასაც და მთელ კაცობრიობასაც.

\*

არ არსებობს პიროვნება საზოგადოების გარეშე, ის ხეს მოწყვეტილი ტოტივით იქნებოდა. მაგრამ უმთავრესია ჭეშმარიტებას და სინდისიერებას ეკუთვნოდე უპირველეს ყოვლისა, და მხოლოდ ამის შემდეგ და ამის საფუძველზე – ამა თუ იმ საზოგადოებას, ერს თუ ქვეყანას.

## დიადი ჰარმონია

### 1.

ერთხელ, ბავშვობაში, ფეხბურთის თამაშის დროს ბურთი შემთხვევით ხელზე მომხვდა, ისე, რომ ვერავინ შენიშნა. ბურთი ძირს დაშვებული არ იყო, რომ დავარტყო და გოლიც გავიტანე. მაგრამ მიუხედავად თანაგუნდელების სიხარულის ყიჯინისა, მაშინვე ვაღიარე: ჩემზე ხელი იყო და გოლი არ ითვლება-მეთქი.

გულახდილობის ასეთმა გამოხდომამ მოწინააღმდეგების გაკვირვება, ხოლო, თანაგუნდელების იმედგაცრუება და წყრომაც გამოიწვია... მაგრამ იმ მომენტში ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს, ასე რომ არ მოვქცეულიყავი, დაირღვეოდა რაღაც „დიადი ჰარმონია“... უხილავი და ბუნდოვანი, მაგრამ სრულიად რეალურად არსებული დიადი ჰარმონია, რომელშიც, რაღაც იდუმალი სახით, წილი მეც მქონდა!.. და ყველას გვაქვს!

სამწუხაროდ, ეს შემთხვევა არ გამხდარა იმის გრანტია, რომ შემდგომშიც ყოველთვის ასევე პატიოსნად მოვქცეულიყავი! არადა, რა ბედნიერებაა იყო „დიად ჰარმონიასთან“ შესაბამისობაში ანუ, უბრალოდ, იყო მართალი!

### 2.

ჩვენს უბანში ბევრი ბავშვი თამაშობდა ფეხბურთს კარგად. ერთხელაც, თამაშით უკვე დაღლილებმა ახალი მატჩი წამოვიწყეთ, ოლონდ, არა მოგების ჟინით შეპყრობილებმა, არამედ, უბრალოდ, გასართობად, დაუძაბავად... უფრო მეტად პასებით... არავინ ცდილობდა ბურთის ეგოისტურად ფლობას და გოლის მაინცდამაინც თავად გატანას... ის უფრო გვისიამოგნებდა სხვას თუ გავატანინებდით... მთავარი ლამაზი გოლის გატანა იყო.

მერე კი „უარესი“ რამ მოხდა!.. ახლა უკვე ისიც გვახალისებდა თუკი მოწინააღმდეგე გუნდი გაიტანდა გოლს, ოლონდაც კი ლამაზი

კომბინაცია გამოსვლოდათ!.. ასე თამაშობდა ორივე გუნდი. ყველანი ერთად ვცდილობდით რაც შეიძლება ლამაზი გამოგვსვლოდა სპექტაკლი სახელად „ფეხბურთი“... ან, იქნებ, ეს თავად ფეხბურთი თამაშობდა ჩვენი მეშვეობით?!!.. ასეც იყო... ჩვენ ვიყავით ფეხბურთი... და თავად სიცოცხლე!..

ეს იყო, სწორედ, სიცოცხლის ნავარდი, ნამდვილი ზეიმი, აღტაცება და სიხარული.

არ ვიცი სხვებიც იგივეს განიცდიდნენ თუ არა... ისიც მესმის, რომ მეხსიერებას თავისი ონები აქვს... მაგრამ მერედა რა!.. პირადად მე ამ ამბამდეც და მას შემდეგაც ბევრჯერ მიფიქრია თუ მიოცნებია მსგავს ცხოვრებაზე: როცა თითოეული ადამიანი სხვისი სიხარულით, სხვისთვის სიხარულის და სიამოვნების მინიჭებით და საერთო კეთილდღეობაზე ზრუნვით დატკბებოდა!.. და ასე იქნებოდნენ არა მარტო შეყვარებულები, ერთი ოჯახის წევრები, მეგობრები და თანამშრომლები, არამედ ერები და სახელმწიფოებიც... მაშინ მთელი კაცობრიობა ერთ მთლიან ბედნიერ ოჯახად ვიცხოვრებდით! და რატომაც არა!

### **მოკლედ ადამიანის თავისუფლების შესახებ**

თავისუფლება – საკუთარი თავის საკუთარი ნებით, დამოუკიდებლად და გარედან შეუზღუდველად გამოხატვა-განხორციელებაა.

თავისუფლება არის თავისუფლება რაღაცისგან და თავისუფლება რაღაცისთვის; თავისუფლება როგორც თავისუფლება სხვადასხვა ტვირთისგან, როცა არაფერი გამძიმებს... და თავისუფლება როგორც საწყისი პირობა სამოქმედოდ, სხვადასხვა მიზნის მისაღწევად, როცა შეგიძლია განახორციელონ რასაც ჩაიფიქრებ... და მაშინ, მნიშვნელოვანია სხეულებრივი, გონებრივი, ფინანსური და უფლებრივი შესაძლებლობები.

ჩვეულებრივ, თავისუფალია თუ არა ვინმე, ამას განსაზღვრავენ პირობითად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული კონ-

ტექსტიდან გამომდინარე... და გულისხმობენ რაღაც კონკრეტულს, პირობითად შეთანხმებულს.

უმნიშვნელოვანესია ის, თუ რად მიიჩნევს თავს თავად ადამიანი: სხეულად, გრძნობებად, გონებად, ხასიათად, სინდისად, მე-პიროვნებად, ა.ც.-დ თუ რად?.. ვინ ან რა არის თავისუფალი ან არა-თავისუფალი? რა არის და როგორია მისი ბუნება?.. რადგან თავისუფლება – საკუთარი ბუნების მიხედვით ყოფნა და ცხოვრებაა!

არსებობს ერთადერთი რამ – ა.ც. მრავალი საგნისა და მოვლენის სახით, და მთელი სამყარო – ეს არის ერთადერთი ა.ც. მრავალი ფორმით. ამქვეყნად მცხოვრები ადამიანიც ამ „მე“-თი ერთდროულად „ადამის ძე“-ც არის და „მე ვარ, რომელი ვარ“-იც.

ვარ – ეს ერთადერთი ეჭვმიუტანელი და უცვლელი ფაქტი, უფრო ხშირად, ყურადღებამიუქცეველი და დაუფასებელია!.. ის თავად არსებობა-ცნობიერება- თავისუფლებაა, მისი ხატი და გამოვლინებაა ყოველ კონკრეტულ ადამიანში!..

მაგრამ სხეულთან და ცალკერძად-მყოფობასთან გაიგივებული „მე“-ფიქრი – დასაბამია ეგოიზმისა როგორც მოუშუშებელი, სისხლმდინარე ჭრილობისა.

ჩვეულებრივი ადამიანი ერთდროულად თავისუფალიც არის და არათავისუფალიც: ნამდვილ თავისუფლებას აღწევს, თუკი საკუთარ ნებას უფლის ნებას უსადაგებს, თუკი განინდნება, შეიცნობს განწმენდილ საკუთარ თავს და ხდება ღმერთის თანაარსი; თუკი თავად ხდება ჭეშმარიტება და თავისუფლება; თუკი თავად როგორც კერძო პიროვნება („მეორადი მე“), „ქრება“ და მხოლოდ ერთიანი ა.ც.თ. რჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი თავისუფლება ყოველთვის შეზღუდულია გარკვეული შინაგანი და გარეგანი პირობებით.

თავისუფალია ერთიანი მთელი ა.ც.თ. და, ის ადამიანი, რომელ-შიც ამ ერთიანმა მთელმა ა.ც.თ.-მ გაიღვიძა. თავისუფალია ის, ვის-შიც ღმერთს ღვიძავს.

მოკლედ, ადამიანს როგორც ცალკერძად მყოფ პიროვნებას აქვს

მხოლოდ რაღაც ფარდობითი, მოჩვენებითი თავისუფლება და შანსი: გახდეს ნამდვილად თავისუფალი.

სინამდვილეში, ადამიანის ნამდვილი რაობაც და მისი თავისუფლებაც, გონიერისთვის ბოლომდე, მაინც, შეუცნობელი და იდუმალებით მოცულია, თავად იდუმალებაა... და სასწაული!.. ისევე, როგორც თავად არსებობა და სიცოცხლე!.. და ეს შეუცნობლობა რაღაც უარყოფითი და მტკიცნეული კი არ არის, არამედ იწვევს კრძალვით აღსავსე აღფრთოვანებას: „რა მაგარია!“

ცოდნა ამ სფეროში ყოველთვის ფარდობითია და უფრო მუშა ჰიპოთეზას და მითითებას ჰგავს ყოველი ცალკეული პიროვნებისთვის, მისი პირადი, უშუალო განცდიდან თუ გამოცდილებიდან გამომდინარე. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და განსხვავებულია მათი თავისუფლების ხარისხიც და ღირებულებაც.

მეტნაკლები თავისუფლების პირობებში ვახორციელებთ ჩვენს ქმედებებს და ვქმნით საკუთარ სამყაროს. მეტი თავისუფლებაც იმისთვის გვინდა, რათა მოქმედების და შემოქმედების მეტი შესაძლებლობა გვქონდეს.

უმთავრესი შემოქმედება კი ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში და პირადი ცხოვრების წარმართვაშია; აგრეთვე, სამართლიანი, კეთილი და ღირსეული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, სადაც ყველას შეეძლება ჯანსაღი მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების დაკმაყოფილება, საკუთარი ნიჭებისა და საუკეთესო მხარეების მაქსიმალურად გამოვლენა და განხორციელება.

სიცოცხლე – ღვთაებრივი სიყვარულის ცეცხლად მოგიზგიზე შემოქმედებაა... და შეგვიძლია ვეცადოთ საკუთარი ქმედებები ჰარმონიულად შევუთავსოთ მთელს, ის ხომ ჩვენი საერთო შემოქმედებაა, ერთიან, ღვთაებრივ სიმფონიად რომ უნდა ჟღერდეს!

## დამატება

### ზოგიერთი ფსიქოლოგიური, ეთიკური, თეოლოგიური და მისტიკური ხედვა

რა იცის ვანომ, რომ გაიძახის, ხოხბის ჩახოხბილი ყველაზე გემრიელიაო? – ბიძამისს უთქვამს, თურმე: „როცა ჩემი ბატონი მიირთმევდა, სიამოვნებისგან სულ ტუჩებს აცმაცუნებდა და თან იმეორებდა: ყველაზე გემრიელი, მინც, ეს ხოხბის ჩახოხბილიაო!“

### „თავისუფალი ნების“ ფსიქოლოგიური გაგება

იმპულსური და ნებელობითი მოქმედებები იმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ იმპულსური მოქმედება უშუალო და უნებლიერ ხასიათისაა, გამოწვეულია ინსტინქტებით, არაცნობიერი მიზეზებით. ხოლო ნებელობითი მოქმედება სუბიექტის მიერ განზრახული, მიზანდასახული, გაცნობიერებული მოქმედებაა. ნებისყოფა საკუთარი ქცევის დაუფლების უნარია. არსებობს ერთგვარი ავადმყოფობა – უნებისყოფობა, როდესაც სიტუაციისა და იმპულსების მონად შეიძლება იქცეს ადამიანი, როდესაც ვერ ფლობს საკუთარ თავს, თავისი ნებით პიჯაკის ღილის შეკვრაც კი არ შეუძლია, თუმცა, ფიზიკურად ამას ადვილად შეძლებს თუ შესცივდა, ოღონდ, ეს იქნება არა ნებელობითი, შეგნებული, არამედ სიცივისგან დაცვის ინსტინქტური, ავტომატური, გაუაზრებელი ქმედება.

მოტივი არის ის ფსიქოლოგიური საფუძველი, რომლის ნიადაგზეც ასრულებს ადამიანი გარკვეულ ნებელობით მოქმედებას.

ნებელობითი მოქმედებების პერიოდებია:

– სიტუაციის და შესაძლო მოქმედებათა გაცნობიერება და მათი შეფასება. აქ მონაწილეობს გონიერება, განსჯის უნარი, რომელიც შეიძლება სხვადასხვა დონეზე ჰქონდეს განვითარებული ამა თუ იმ პირონებას;

– გადაწყვეტილების მიღება. აქ არის სწორედ თავისუფალი ნება. ზოგჯერ შეიძლება მეტნაკლებად იჩინოს თავი „აბულია“-მ, ავადმყოფობამ, როდესაც გადაწყვეტილებას ვერ იღებენ, არჩევანს ვერ აკეთებენ;

– მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება. აქ არის საჭირო ნებისყოფა. მეტნაკლები უნდაისყოფობა მეტნაკლები ავადმყოფობაა.

ცოცხალი არსების აქტივობის საფუძველია მოთხოვნილებები, ხოლო, ნებელობითი მოქმედების საფუძველია მოტივი. გასაჭირი ანუ საჭიროება, მოთხოვნილება მოუსვენრობას ბადებს სულში. მოუსვენრობა აღძრავს მისწრაფებას ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისკენ. ნება კი არის სულის არჩევანი და გადაწყვეტილება იმოძრაოს გარკვეულად. ნება, ნებელობა არის ერთგვარი შინაგანი სანქცია, დასტური გარკვეულ მოქმედებაზე... აგრეთვე, გარკვეულ გრძნობით მდგომარეობაში ყოფნაზე.

თავისუფლების ცნება აუცილებლად გულისხმობს გონებას და, აგრეთვე, გარკვეული მოქმედების ძალას და შესძლებლობას. თავისუფალი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ გონიერ არსებას, რომელიც აცნობიერებს თავის მოქმედებებს, განასხვავებს ცუდს კარგისგან, უკეთესს უარესისაგან და მიისწრაფვის კარგისკენ ანუ უკეთესისკენ. გონების გარეშე ნება თავისთავად ვერ გაიაზრებდა და ვერც განსაზღვრავდა თუ რა მიაჩნია უკეთესად, და ვერც აღიძვრებოდა ამ უკეთესის აღსასრულებლად. განსჯა და გადაწყვეტილების მიღება მთლიანად სულის საქმეა, და არა ცალკე, აბსტრაგირებულად აღებული ნების.

მეორე მხრივ, გონების მქონე ადამიანს რომ არ ჰქონოდა ნებელობა, მაშინ მას კი შეძლებოდა კარგის ცუდისგან გარჩევა, მაგრამ ვერ აირჩევდა მათგან ერთ-ერთს, ე.ი. ვერ იმოქმედებდა თავისი შეგნების საფუძველზე, იმოქმედებდა ისევ ინსტინქტების და გაუცნობიერებელი იმპულსების თუ მისწრაფებების მიხედვით.

თავისუფლება აუცილებლობით გულისხმობს ძალას და მოქმედების შესაძლებლობას. იქ სადაც არ არის მოქმედების შესაძლებლობა, არც თავისუფლებაა. ადამიანის თავისუფლება ვრცელდება მხ-

ოლოდ იმ საზღვრებამდე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძალებს. ციხეში მოხვდრილს არ აქვს იმის თავისუფლება, რომ გამოვიდეს იქიდან. სიმაღლიდან ვარდნილს არ ძალუდს შეაჩეროს ვარდნა შუა გზაზე, არ აქვს ამის თავისუფლება. ამიტომ ამბობენ, რომ ადამიანის თავისუფლება შემოსაზღვრულია.

ადამიანის თავისუფლება დამოკიდებულია მოქმედების იმ საშუალებებსა თუ იარაღებზე, რომლებიც მას აქვს. ჩვენ გვაქვს ფეხები და შეგვიძლია ვიაროთ, მაგრამ არ შეგვიძლია ვიფრინოთ. ჩვენი გონიერაც ერთგვარი საშუალება და იარაღია, და ჩვენი თავისუფლებაც მის სიძლიერეზე თუ სრულყოფილების დონეზეა დამოკიდებული. სხვაა კარგი ინტელექტის ძრონე ადამიანის აზროვნება და მისი თავისუფლება, და სხვა – ჭკუასუსტისა. ასე რომ, თავისუფლებისკენ სწრაფვა გონიერის განვითარებასაც გულისხმობს და სამოქმედო ძალების გაფართოება-გაძლიერებასაც.

## მოქმედების მოტივები

(გაბრიელ ეპისკოპოსის მიხედვით)

ნება უმეტესწილად მოქმედებს წმინდა გრძნობადი მოტივების, ე.ი. სიამოვნების ან უსიამოვნების წარმოდგენათა ზეგავლენით. ასე-თია, მაგალითად, ნება ბავშვებისა, რომლებიც ყოველგვარი სხვა მოსაზრებების გარეშე მიისწრაფიან მხოლოდ იმისკენ, რაც მათ სასიამოვნოდ ეჩვენებათ. ასეთივეა ნება ბევრი მოზრდილი ადამიანისაც, რომელიც თავისი მოქმედების არჩევისას მუდამ გრძნობათა მაამებლობით ხელმძღვანელობს.

თუ ნება, თუმცა, დაბალი გრძნობადი ლტოლვების ზეგავლენით, მაგრამ მაინც ცნობიერად, განაზრების საფუძველზე აკეთებს არჩევანს და გონება გრძნობების იარაღია – ეხმარება არჩევანს, მაშინ უნდა ვცნოთ, რომ მოქმედება სავსებით თავისუფალია, ნებისეულია. სხვა საქმეა, რა ღირებულებით შეფასებას იმსახურებს ის, რამდენად მოსაწონია. მაგალითად, დავუშვათ, რომ ვინმე შეპყრობილია რაიმე ანგარებით. როცა ამ მდგომარეობაში მყოფი ძაბავს გონებას,

ყველა სულიერ ძალას, რათა მიზანს მიაღწიოს, ის თუმცა მდაბალი გრძნობების საამებლად მოქმედებს, მაინც თავისუფლად მოქმედებს. და თუკი ამბობენ, ხოლმე, რომ ვნებები თავისუფლებას გვართმევს, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ძნელია ვნებისგან გათავისუფლება, როცა ადამიანი უკვე ემონება მათ. მაგრამ ამ დამონებამდე საჭირო იყო თავიდან ვნებისთვის ნების დამორჩილება, საკუთარი ნებითვე. ამავე დროს, ზოგი ადამიანი ნების სიმტკიცით ამარცხებს თავის მავნე ჩვევებს, ზოგჯერ კი თავიდან იშორებს უძლიერეს ვნებასაც კი. მაშასადამე, აქაც რჩება არჩევანის შესაძლებლობა.

ნება ზოგჯერ მოქმედებს წმინდა გონებისეული მოტივების მიხედვით და მოქმედებს უშუალო გრძნობათა მისწრაფებების საპირისპიროდაც. ზოგჯერ სული მოქმედებათა არჩევისას უყურებს არა იმას, რაც გრძნობებისთვისაა სასიამოვნო, არამედ უფრო მეტად იმას, რაც შეესატყვისება წესიერებას, გონების მრნამსა. მაგალითად, ნებაყოფლობით უმორჩილებენ ნებას კანონის ავტორიტეტს, მიისწრაფვიან კეთილი ქცევისკენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს წუთიერი გრძნობებისათვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა ამის საპირისპირო მოქმედება. ამიტომ ყველა ამ შემთხვევაში არ შეიძლება თავისუფლების უარყოფა.

## განსჯის და ნების კავშირი. შინაგანი ბრძოლა

(გაბრიელ ეპისკოპოსის მიხედვით)

თავისუფალია თუ არა ნება თავის მოქმედებებში, ე.ი. თავისუფლად, იძულების გარეშე გადაწყვეტს თუ არა ის იმოქმედოს ასე ან სხვაგვარად, თუ ნებამ ყოველთვის აუცილებლობით უნდა ისურვოს და იმოქმედოს ასე და არა სხვაგვარად?

მოტივებს არ ძალუდთ წაართვან ადამიანს თავისუფლება. ეს წაართმევა შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კავშირი მოტივსა და მოქმედებას შორის მკაცრად დაემრჩილებოდა აუცილებლობას, ე.ი. თუ გარკვეული მოტივი გარდაუვალად და უსათუოდ წაიყვან-

და ნებას აი ამ და არა სხვა მოქმედებისაკენ. მოტივები ყოველთვისაა, მაგრამ მათი კავშირი მოქმედებასთან არ არის აუცილებელი. ადამიანს შეუძლია გონებით კი დაეთანხმოს მოტივებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ მისდომოს მათ. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას შემდეგნაირად ედავებიან: ყოველი სურვილი და ნება არის გონების საბოლოო განსაზღვრება, გონების ბოლო მსჯავრი. გონებამ კი აუცილებლობით უნდა აღიაროს ზოგი წინადადება ჭეშმარიტებად, ზოგი კი მცდარად, ზოგი რამ მოსაწონად, ზოგი რამ არამოსაწონად. მაშასადამე, ნება, რომელიც ყოველთვის მისდევს გონების მსჯავრს, არ არის თავისუფალი.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას: გონების მსჯავრი შეიძლება ყოველთვის აუცილებელია, მაგრამ ნება არ არის აუცილებელ კავშირში ამ მსჯავრთან, რადგან ის მუდამ როდი მისდევს მას! ჭეშმრიტება და ცდომილება გონებისთვის იგივეა, რაც თვალისთვის სინათლე. ჩვენ არ ძალგვიძს არ დავინახოთ, როცა თვალები ღია გვაქვს, არ შეგვიძლია არ ვალიაროთ ჭეშმარიტება, როცა გონება ჯანმრთელია. მაგრამ ერთია განსჯა და სხვაა მოქმედება, ისევე, როგორც განსხვავებულია გზის ხილვა და თავად გზაზე სიარული. არ შეიძლება იმის თქმა, რომ გზაზე სიარულს აუცილებლობით იწვევს გზის ხილვა. ასევე, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ნების გადაწყვეტილება არის აუცილებელი შედეგი გონების მსჯავრისა. ხშირად, გონება გვარწმუნებს ამა თუ იმ მოქმედების მიზანშეწონილობაში, მაგრამ ნება არ მისდევს მის შეგონებას. ნება თავადაც ერევა გონების მსჯელობის პროცესში. განსჯის პროცესში ნება და გონება დიალექტიკურ ერთობაშია. ერთი მეორის გარეშე ვერც იმოქმედებს.

ზოგჯერ სხვადასხვა მოტივები იბრძვიან ადამიანში, მაგრამ ნება ამ მოტივთა უბრალო ტოლქმედი როდია! ადამიანს შეუძლია მოტივთა ბრძოლის პროცესში ჩაერიოს, ზოგი მოტივი გააძლიეროს, ზოგი შეასუსტოს ან სულაც უგულებელყოს.

გრძნობათა ჭიდილი გონებასთან, შინაგანი გაორება, აგრეთვე, ასაბუთებს ადამიანის ნების თავისუფლებას. ნება რომ გარდაუვა-ლად წარიმართებოდეს აუცილებლობის კანონის მიხედვით, მას აღარ შეეძლებოდა მერყეობა, არჩევანის გაკეთება, არამედ იმოქმედებდა გადაწყვეტილების მიღების გარეშეც. სადაც არსებობს არჩევანი მოქმედებასა და უმოქმედობას შორის, აგრეთვე, სხვადასხვა მოქმედებებს შორის, უსაფუძვლოა ვივარაუდოთ თავისუფალი ნების არარსებობა. შინაგანი გამოცდილება გვარჩმუნებს რომ თვით იმ წუთებშიც კი, როდესაც რაღაც ვნება დაუოკებლად მიგვაქანებს რაიმესაკენ, მაინც შეგვიძლია შევჩერდეთ და დავიდანაშაულოთ კიდეც თავი ჩვენს მოქმედებაში. სინდისი გვკიცხავს ცუდი საქციელისათვის. გრძნობათა შეკავებით, ვნებებზე გამარჯვებით გამოწვეული შინაგანი კმაყოფილება გვიჩვენებს, რომ გამარჯვა სწორედ ნებამ, რომ იგი იბრძოდა და არ დაუკარგავს თავისუფლება, არ ქცეულა მონად. ყოველი განვითარებული ადამიანისთვის აუცილებელია ასეთი შინაგანი ბრძოლა. იგი ზოგ შემთხვევაში შეიძლება გაქრეს ან შესუსტდეს. მაგალითად, როდესაც გრძნობები და ვნებები ისე დაეუფლებიან ადამიანს, რომ მისი ნება ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ემორჩილება მათ. მაშინ ქვენა ზრახვათა დაკმაყოფილებისაკენ მისწრაფება მისთვის უკვე ნორმალური, ჩვეულებრივი ვითარებაა. სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობაში იმყოფება ბევრი, ვინც მხოლოდ მდაბალ, ხორციელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ცხოვრობს.

შინაგანი ბრძოლა შეიძლება შესუსტდეს (მაგრამ არ გაქრება) მაშინაც, როდესაც განსჯა და კეთილი ზრახვა იმარჯვებს გრძნობებზე, ხოლო ნება კი ისე სრულებრივი ვითარებაა. სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობაში იმყოფება ბევრი, ვინც მხოლოდ მდაბალ, ხორციელ ზნეობრივი კანონის შთაგონებით.

## ქრისტიანული თავისუფლების შესახებ

(გაბრიელ ეპისკოპოსის მიხედვით)

ჭეშმარიტი ქრისტიანის სურვილები თავისუფლად შეგნებულ მრნამს ეფუძნება. ის ირჩევს სიკეთეს და განუდგება ბოროტებას ბუნებრივად, გულის კარნაბით. ჭეშმარიტ ქრისტიანად ყოფნა ნიშნავს სიკეთისკენ შინაგანად მიღრეკილებას. ასეთი ადამიანი კმაყოფილებას პოულობს სათნოებაში, მაგრამ რა დიდი ბრძოლა და ძალისხმევაა საჭირო, რომ მიიყვანო თავი ამ მდგომარეობამდე! ვინც მიაღწია ამას, მოიპოვა ჭეშმარიტი ქრისტიანული თავისუფლება.

შეიძლება გვითხრან: იმ ადამიანის მდგომარეობაც, ვინც ვნებებსაა აყოლილი, ხომ, ისეთივეა, როგორც აღწერილი მდგომარეობაო: აქაც ადამიანი მოქმედებს შინაგანი ლტოლვების მიხედვით და მოქმედებს სიამოვნებით და სიყვარულით! მართლაც, გვაქვს აქ მსგავსება კეთილმოქმედ ადამიანთან, აქაც მოქმედება თავისუფალია (ამიტომაც ისჯება ცოდვა), მაგრამ როგორი დიდია განსხვავებაც! ბრმა ვნებების დაკმაყოფილებას უმძიმესი გავლენა აქვს სულის შინაგან ცხოვრებაზე. ვნება იმონებს ნებას, იწვევს შინაგან განხეთქილებას, უკმაყოფილებას, მოყირჭებას, სასონარკვეთას. ვნების დაკმაყოფილება, ხშირად, კი არ აწყნარებს, პირიქით, აღელვებს ადამიანს, ხშირად, იმედგაცრუებასაც იწვევს. უზნეო ცხოვრება წარმოადგენს სულის არანორმალურ მდგომარეობას, მის მოშლილობას. მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანი ატარებს თავის სულში ღვთიურ თავისუფლებას.

### ხასიათი

ხასიათი ადამიანის ქცევის ძირითადი საფუძველია. ის არის ადამიანის ნებელობის, ნებისყოფის საფუძველი. ის არის ადამიანის სულიერ უნართა ძირითადი გარკვეულობა, ამა თუ იმ ადამიანის „ასე-

თობა“, მისი სპეციფიკური ინდივიდუალურობა. ზოგჯერ, ხასიათის ცნება „პიროვნების“ სინონიმადაც იხმარება.

ხასიათის ცნებაში იგულისხმება ადამიანის მოთხოვნილებების, ინტრესების, მისწრაფებების გარკვეულობა; აგრეთვე, შეხედულებების, შეგნების, ინტელექტის, განათლების, გემოვნებისა და მოქმედების გარკვეულობა; და, რაც მთავარია, ზნეობრივი სფერო: მიმართება სხვა ადამიანებისადმი, საზოგადოებისადმი, გარემომცველ პიროვნებათა ინტერესებისა და უფლებებისადმი.

ხასიათს მრავალი თვალსაზრისით იხილავენ. ძირითადად ასახელებენ ეგოისტურ, ალტრუისტურ და კოლექტივისტურ ხასიათებს. გარდა ამისა, სხვა მრავალ ასპექტსაც გამოყოფენ, მაგალითად: პრინციპულობა და უპრინციპობა; გამბედაობა და გაუბედაობა; თავდაჯერებულობა და დაურწმუნებლობა; ინიციატივიანობა და პასიურობა; კეთილსინდისიერება, შრომისმოყვარეობა, სიზარმაცე, თავშეკავებულობა, გულწრფელობა, გულჩათხრობილობა, გულღიობა, მოკრძალებულობა, მკვეხარობა, თავმდაბლობა, სიამაყე, გულჩვილობა, უნდობლობა, დაუდევრობა, პუნქტუალობა, სიდინჯე და სხვა.

ხასიათის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს სულის ყველა ძალა და უნარი, მაგრამ არა ერთი და იგივე ზომით. შეიმჩნევა ზოგი უნარის მომეტებული გავლენა. ამაშია საფუძველი ხასიათების სხვადასხვაობისა, ყოველ ადამიანს, ასე ვთქვათ, საკუთარი ხასიათი აქვს.

### გარემოს და აღზრდის გავლენა ხასიათის ჩამოყალიბებაზე

(გაბრიელ ეპისკოპოსის მიხედვით)

კლიმატის გავლენა ხასიათის ჩამოყალიბებაზე საყოველთაოდ ცნობილია. ამ მიზეზითაც განსხვავდება ცალკეული ქვეყნის თუ ტომის ხალხთა ხასიათები. ცხადია, რომ კეთილშეზავებული, თბილი კლიმატის პირობებში, სუფთა და ჯანსაღი ჰაერის შემთხვევაში, ბარაქიან და ნაყოფიერ ნიადაგზე ხასიათიც სხვაგვარად ვითარდება,

ვიდრე არაჯანსაღი, მკაცრი კლიმატის პირობებში. ბარში მცხოვრებს სხვა ხასიათი აქვს, მთაში მცხოვრებს – სხვა. ხასიათზე კლიმატის გავლენაში გვარწმუნებს იმ ხალხების ისტირიული ბედიც, რომლებიც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლდნენ.

აღზრდის, თვითაღზრდის და განათლების გავლენა ხასიათზე კიდევ უფრო თვალსაჩინოა. აღზრდა სწორედ იმისთვისაა, რომ შეცვალოს ცუდი და განავითაროს და დაადგინოს ადამიანის ზნეობრივი ხასიათი. ყველა ადამიანური მოქმედება ატარებს აღზრდის განსაკუთრებულ დაღს. განუწყვეტელი თვითაღზრდა და განათლება ყოველი ადამიანის უპირველეს მოვალეობადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

რელიგიის გავლენა ხასიათზე იქიდანაც ჩანს, რომ სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევრები თითქოს რაღაც განსაკუთრებული, სარწმუნოებიდან გამომდინარე სულით არიან აღბეჭდილნი და არანაკლებად განსხვავდებიან სხვა სარწმუნოების აღმსარებელთაგან, ვიდრე სხვა ეთნოსის წარმომადგენელთაგან.

ქვეყნის მართვის წესის და სამოქალაქო წყობის გავლენა არანაკლებად შესამჩნევი და მნიშვნელოვანია მთელი ერის თუ ცალკეული ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაში. სხვანაირია ეს გავლენა შედარებით თავისუფალ, დემოკრატიულ, ეკონომიკურად მძლავრ და სოციალურად კეთილმოწყობილ ქვეყნებში, და სულ სხვანაირი გარეშე თუ შიგა ტირანიის, დამონების, ეკონომიკური სიდუხტირის და უძლეურების პირობებში. ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური გაჯანსაღებისთვის ზრუნვა ყველა მოქალაქის საერთო საქმეა.

## ხასიათის თანდაყოლილობა და შეძენილობა

(გაბრიელ ეპისკოპოსის მიხედვით)

პიროვნების ხასიათი შეიძლება ჩაითვალოს თანდაყოლილად იმდენად, რამდენადაც მისი განმსაზღვრელი მიზეზები წინ უსწრებენ და ხელს უწყობენ მის ჩამოყალიბებას. ადამიანი იბადება გარკვეულ კლიმატურ პირობებში, იზრდება გარკვეულ რელიგიურ გარემოში და

განიცდის გარკვეული ზნეობრივი და პოლიტიკური წესების გავლენას, განსაკუთრებით კი – აქვს გარკვეული მშობლებისგან მიღებული ორგანიზმი. ხოლო, რამდენადაც ხასიათი ყალიბდება, აგრეთვე, თავისუფალი მოქმედებების გზითაც, ამდენად იგი უნდა ჩავთვალოთ შეძენილადაც. პიროვნება თავისი მშობლებისგან სხეულებრივი ნიშანთვისებების გარდა სულიერ ნიშანთვისებებსაც იღებს. მაგრამ მასში მხოლოდ იმის პირობა და შესაძლებლობაა, რომ შეითვისოს ზოგი თვისება უფრო მეტად და უფრო ადვილად, ვიდრე სხვა. მშობლებს მიმსგავსებას კი ისიც უწყობს ხელს, რომ ჩვილი ითვისებს პირველ შთაბეჭდილებებს და აზრებს იმ ადამიანებისგან, ვინც მას არტყია გარს. გარემომცველთა მაგალითი უცილობლად მოქმედებს მასზე.

### ტემპერამენტი

ტემპერამენტი პიროვნების ემოციური ცხოვრების საფუძველია (როგორც ინტელექტი – აზროვნების საფუძველი). გრძნობების თავისებურებებთან ერთად, ტემპერამენტი ვლინდება ადამიანის ქცევებში, მოქმედებათა თავისებურებებში, მოძრაობათა სიცხოველეში, სიჩქარეში თუ სიდინჯვეში.

ტემპერამენტი წარმოადგენს სულის საერთო განწყობას, მისი მგრძნობელობის მუდმივ სახეს, რომელიც ორგანული სისტემების გავლენიდან მომდინარეობს. იგი წარმოადგენს ადამიანის თავისუფალი მოღვაწეობისაგან, გონიერ მოსაზრებათაგან დამოუკიდებელ, არანებისეულ, ბუნებრივ მოვლენას, საპირისპიროდ ხასიათისა, რომელიც ნების საერთო განწყობას უფრო ნიშნავს. ტემპერამენტში ადამიანის სხეულებრივი მხარეა უფრო გამოხატული, ხასიათში – სულიერი. ტემპერამენტი ყველას თავისებური აქვს და იშვიათად თუ ვინმე გაითავისუფლებს თავს მისგან. მაგრამ როგორც კი ნების ძალითა და სულის ენერგიით ვინმე გამოიმუშავებს გარკვეულ ხასიათს, მისთვის ტემპერამენტის მოქმედება კი რჩება, მაგრამ თანდათან იჩრდილება პიროვნების კულტურულობის საერთო ფონზე. თუმცა, ტემპერამენტს მაინც დიდი ზეგავლენა აქვს ჩვენს საერთო

სულიერ მდგომარეობაზე და, აქედან გამომდინარე, ჩვენს ქცევებზე. ტემპერამენტი საკუთრივ სულის თვისებაა, მაგრამ უშუალო კავშირშია სხეულის სხვადასხვა ორგანულ სისტემებთან: კუნთოვან, სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მონელების, სასუნთქ, ლიმფურ, გამოყოფის სისტემებთან.

## ნების თავისუფლება და სინდისი ეთიკაში

ზნეობრივი ხასიათის განმსაზღვრელი ფაქტორებია:

- ზნეობრივი შეგნების დონე;
- ზნეობრივი გრძნობის ინტენსივობა (რამდენად კეთილია ნება, სიკეთისკენ თუა მიმართული);
- ნებისყოფის სიძლიერე (სიმტკიცე, სულის ძალა).

სამივე ეს ფაქტორი აუცილებელია ზნეობრივი ქცევის განხორციელებისათვის, და რაც უფრო სუსტია თითოეული მათგანი, მით უფრო ადვილად ემორჩილება პიროვნება არაზნეობრივ მოტივებს. პიროვნების პასუხისმგებლობა კი იმას ეფუძნება, რომ მას აქვს უნარი და შესაძლებლობა თვითონვე იზრუნოს როგორც ზნეობრივი შეგნების დონის ამაღლებისთვის, ისე ზნეობრივი გრძნობისა და ნებისყოფის განმტკიცებისთვის.

შეგნებისა და ნებელობის ნორმალური ფუნქციონირების პირობებში ადამიანს ყოველთვის შეუძლია შეიკავოს თავი რაიმე ბოროტებისაგან და განახორციელოს სიკეთე, ამიტომ იგი პასუხისმგებელია თავის ქცევებზე. უზნეობის ფაქტი აიხსნება ან იმით, რომ ადამიანი დაუკავირვებელია (ან უგნური, დაბალი შეგნების დონით) და ვერ ითვალისწინებს თავისი ქცევის შედეგებს; ან იმით, რომ ნებისყოფის სისუსტის გამო ვერ იმორჩილებს წმინდად ეგოსტურ ვნებებსა და მოთხოვნილებებს; დაბოლოს, ან იმით, რომ ზნეობრივი გრძნობა მასში ჩამქრალია და მის მაგივრად ბოროტი ნება მოქმედებს.

პირველი და მეორე მიზეზი, „შეიძლება, „უნებლიე“ ხასიათისაა და ძნელია ზუსტი ზღვრის გავლება, სად მთავრდება შეგნებისა და ნებისყოფის სუბიექტური სისუსტე და სად იწყება პათოლოგიურობა.

ამის გამო ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებასთან. ხოლო, რაც შეეხება ზნეობრივი გრძნობის ინტენ-სივობის ფაქტორს, ანუ ადამიანის სუბიექტური ნების გარკვეულობას, ეს არის ის ძირითადი ელემენტი, რასაც ეფუძნება პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე. პიროვნების ზნეობრივი საზომი სწორედ ის არის, თუ რა ამოძრავებს მას – კეთილი ნება თუ ბოროტი ნება, სუბიექტურად სიკეთეს ირჩევს თუ ბოროტებას. არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის არავითარ გარეშე ფაქტორზე აღარაა დამოკიდებული და სუბიექტური ნების ასეთ თვითგანსაზღვრულობაშია როგორც ზნეობრივი, ისე უზნეო ქცევის შესაძლებლობა.

ზნეობრივი გრძნობის გამოვლენა (სუბიექტური ნების თვითგან-საზღვრულობის ანუ ნების თავისუფლების პირობებში) არის სინდი-სი. ზნეობრივი გრძნობა სინდისის სუბსტანცია და საფუძველია. რამ-დენადაც სინდისი ზნეობრივი გრძნობის ფუნქციაა, იგი თვითონაც გრძნობაა, გრძნობისეული ფენომენია; მაგრამ რამდენადაც იგი თვითკონტროლია, ამდენად სინდისი გონებისეული ფენომენია, შეგ-ნებაა. მაშასადამე, სინდისი ერთდროულად შეგნებაცაა და გრძნობაც. ასეთივე ხასიათისაა თვით ზნეობრივი გრძნობაც ანუ კეთილი ნება.

სინდისის გრძნობა, სინდისიერების განცდა ყოველთვის თან ახ-ლავს ჩვენს საქმიანობას და ეს გვაძლევს შინაგანი თავდაჯერებულობის, კმაყოფილების და ლირსების განცდას ზნეობრივი ქცევების განხორციელების დროს, ანდაც სინდისის ქენჯნის განცდას უღირ-სი ქცევების ჩადენისას.

### ქრისტიანული რელიგიის მიხედვით

რელიგია არის კავშირი, ურთიერთობა ღმერთთან.


ერთი მხრივ, ეს არის მოძღვრება ღმერთზე, ადამიანზე და მათ შორის ურთიერთობაზე: რას წარმოადგენს ადამიანი, როგორი ცხოვ-რებისთვის მოავლინა იგი ღმერთმა, რა კანონი დაუწესა მას და რა მიზანი დაუსახა; როგორ განვითარდა მოვლენები შემდგომ: ცოდ-ვით დაცემა, გამოსყიდვა მაცხოვრის მიერ; როგორია ადამიანის ამ-

ჟამინდელი მდგომარეობა; რას მოუწოდებს ადამიანს ეკლესია და რა მფარველობას და შემწეობას სთავაზობს...

მეორე მხრივ, რელიგია არის თავად რელიგიურობა:

ადამიანის სწრაფვა და მცდელობა ღმერთთან დაკავშირებისა, მასთან გაერთიანებისა და ლვთაებრივი ნეტარების გაზიარებისა; ზრუნვა სულის ცხონებისთვის; სულიერი ზრდა-განვითარება, რომელიც იწყება მონანიებით და, შემდგომ, გონიერებისა და ზნეობის ამაღლებით, ეკლესის შემწეობით, სრულყოფა წმინდა სიყვარულში; სულიერი განწმენდით და ეგოიზმზე ხელის აღებით უანგარო მოღვაწეობა საზოგადო კეთილდღეობისთვის, მოღვაწეობა თავად ღმერთისთვის, რომლის წმინდა მიზანია ლვთაებრიობის დამყარება, ადამიანთა გაღვთიურება; საღმრთო რჯულის მიხედვით ცხოვრება: რწმენა ღმერთისა და ლვთივგამოცხადებული სწავლებისა, უფლის მცნებების დაცვა, ცოცხალი კავშირი წმინდა ეკლესიასთან, სულიწმინდის მაღლის მოხვეჭა ლოცვით, მარხვით, ეკლესიურ საიდუმლოებებში მონაწილეობით, ისევ და ისევ, მცნებების დაცვით, სინდისისმიერი, წმინდა ცხოვრებით...

რელიგია – ეს არის ერთობის აღდგენა მთლიანთან, ეს არის გზა ადამიანისა ღმერთისკენ.



## ლვთის ხატებისა და მსგავსების შესახებ თეოლოგიაში

(მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით)

ლვთის ხატება ადამიანში არის უკვდავი სული, ხოლო მსგავსება-ში იგულისხმება თავისუფალი სწრაფვა ლვთაბრივი სისრულისკენ, ღმერთს მიმსგავსებისკენ.

ღმერთი თვითცნობიერი, ყოვლისმომცველი არსია: „მე ვარ, რომე-ლიც ვარ“. ადამიანსაც აქვს თვითცნობიერება, მასაც შეუძლია გააც-ნობიეროს „მე ვარ“. სულის ამ თვითცნობიერებას ფესვი და საფუძ-ველი ღმერთის ყოვლისმომცველ თვითცნობიერ არსში აქვს.

ღმერთი უხილავია, მაგრამ მთელ სამყაროს განჭოლავს, ყოვე-ლივე მისით არსებობს. ამავე დროს, იგი დამოუკიდებელია სამყარო-საგან. ადამიანის სულიც განჭოლავს და აცოცხლებს სხეულს და, თუმცა, გარკვეულნილად დამოკიდებულია სხეულზე, „სიკვდილის“ შემდეგაც განაგრძობს არსებობას.

ღმერთი მარადიულია, ადამიანის სული – უკვდავი.

ღმერთი ყოვლადბრძენი და ყოვლისმცოდნეა. ადამიანი იმეცნებს სამყაროს, საკუთარ თავს, ანმყოს, წარსულს, ზოგჯერ მომავალსაც განჭვრეტს.

ღმერთი მოსიყვარულე, კეთილი და მოწყალეა. ადამიანსაც შეუ-ძლია სიყვარული და საკუთარი სიცოცხლის მსხვრეპლად გაღება.

ღმერთი ყოვლისშემძლეა, მთელი სამყაროს შემომქმედია. ადამი-ანსაც ძალუძს იაზროვნოს, იღვანოს, შექმნას... ადამიანის უმთავრეს და უმაღლეს შემოქმედებას წარმოადგენს საკუთარი თავის სრულ-ქმნა და ცხოვრების წარმართვა ცხონების გზით.

ღმერთი აბსოლუტურად თავისუფალია. ადამიანის როგორც ერ-თი ცალკე მყოფი არსების თავისუფლება, თუმცა, ყოველთვის შეზ-ღუდულია, ვინაიდან ადამიანი მხოლოდ ნაწილია სამყაროსი, და სამ-ყაროს ძალები ყოველთვის მოქმედებენ და გავლენას ახდენენ მასზე გარედანაც და შიგნიდანაც, მაგრამ ადამიანის სულს აქვს თავისუ-ფალი ნება, თავისუფლება არჩევანის გაკეთებაში: ადამიანს შეუძლია

უნდოდეს და ირჩევდეს, მაგრამ ასევე შეუძლია არც უნდოდეს და არც ირჩევდეს იყოს ღმერთის მსგავსი; შეუძლია ირჩევდეს კეთილსაც და ბოროტსაც, ეს დამოკიდებულია მის ნებაზე, და ეს არის სწორედ უმთავრესი თავისუფლება.

ლვთის მსგავსება, კეთილობა დამოკიდებულია თავად ადამიანზე, მის მუშაობაზე საკუთარ თავზე. თუ ადამიანი ისწორაფვის ჭეშმარიტებისკენ, სიკეთისკენ, მაშინ იგი ასრულებს ლვთისგან მონადებულ, ნაკურთხ დანიშნულებას და ხდება ლვთის მსგავსი. მაგრამ, თუკი, ადამიანი ზრუნავს მხოლოდ მიწიურ კეთილდღეობაზე და არ ცხოვრობს სულიერი ცხოვრებით, მაშინ ის უკვე აღარ არის ლვთის მსგავსი.

## სხეული, სამშვინველი, სული

(მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით)

ადამიანი ერთიანი, მთლიანი არსებაა, მაგრამ მის დასახასიათებლად პირობითად შეიძლება გამოიყოს: სხეული, სამშვინველი და სული. შესაბამისად, ადამიანის ცხოვრებაც შეიძლება დახასიათდეს როგორც სხეულებრივი, სამშვინველისეული და სულიერი ცხოვრება.

სხეულებრივი ცხოვრება მდგომარეობს სხეულებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. ეს მოთხოვნილებები მრავალგვარია, მაგრამ დაიყვანება ორ ძირითად ინსტინქტზე: თვითშენახვისა და გვარის გაგრძელების ინსტინქტზე.

სულის სხეულისკენ და მიწიურობისკენ მიმართულ ასპექტში ანუ სამშვინველში გამოიყოფა სხეულებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული მიწიური ფიქრები, გრძნობა-ემოციები და ვნება-სურვილები. და სამშვინველისეული ცხოვრებაც მათ დაკმაყოფილებაში მიმდინარეობს: სამშვინველი ესწრაფვის მიიღოს მიწიური, „ამა სოფლის“ ცოდნა თუ ინფორმაცია და გამოსცადოს ესა თუ ის სხეულებრივი თუ მიწიური განცდა.

სული ადამიანში ვლინდება ძირითადად როგორც ლვთისმოშიშობა, სინდისი და წყურვილი ლვთისა. ლვთისმოშიშობა არის მონინე-

ბა, კრძალვა წინაშე ღმერთისა როგორც ჭეშმარიტად არსებულისა, შემომქმედისა, განმგებელისა, მაცხოვარისა და მართლმსაჯულისა. სინდისი არის ადამიანის შინაგანი მსაჯული, „უფლის ხმა“, რომელიც მიუთითებს: რა არის მართებული და რა არა, რა უნდა ვაკეთოთ და რა არ უნდა ვაკეთოთ. სინდისი არა მარტო მიუთითებს, არამედ მოითხოვს კიდეც მითითებულის შესრულებას, და, თანაც, შესრულების ან არშესრულების შემთხვევაში, შესაბამისად, ან ასაჩუქრებს მშვიდი კმაყოფილებითა და ნუგეშისცემით, ან სჯის სინდისის ქერჯით. წყურვიდი ღვთისა – ესაა სწრაფვა ღმერთთან შეერთებისა, ღმერთან გაერთიანებისა.

თუ პიროვნული სულია ადამიანის შინაგანი, უმაღლესი არსი, მაშინ ადამიანის თავისუფლება უნდა მდგომარეობდეს სულის შეუზღუდველ და დამოუკიდებელ გამოვლენა-განხორციელებაში. სული კი ესწრაფვის ღმერთის შემეცნებას, ცოცხალ ურთიერთობას მასთან, ღვთის მცნებების აღსრულებას და ყოფნას ღმერთის სიყვარულში. სულის მთავარი მისწრაფება ის არის, რომ სათონ ეყოს ღმერთს, და გონება, გრძნობა და სხეულიც ღვთის სამსახურში ჩააყენოს. სულისთვის ღმერთია უფალი! და მისი თავისუფლება ღმერთისადმი თავისუფალ, ძალდაუტანებელ ერთგულებაში მდგომარეობს! და ეს იმიტომაც, რომ ღმერთში სულს თავისი წილი უდევს, ღმერთშია სულის ფესვი, სულის ნამდვილი სამშობლო. სულის პირადი სწრაფვა იმავდროს არაპირადულია, უანგაროა, ისევე, როგორც ნება ღვთისა, თავად ღმერთი, რომელიც სიყვარულია, რომელიც თავად ემსახურება, დღენიადაგ ზრუნავს ადამიანზე და „მარად დაიკვლის განწმენდად მიმღებელთა მისთა“!

რაც უფრო ღვთისნიერია ადამიანი, რაც უფრო მტკიცედ და მუდმივად ასრულებს ღვთის ნებას და იცავს ღვთის მცნებებს, მით უფრო მეტად ავლენს და ახორციელებს იგი თავის ნამდვილ არსს – სულიერებას. საკუთარი ნების ღვთის ნებასთან გაიგივებით იგი მჭიდროდ უკავშირდება და უერთდება ღმერთს, რითაც ხდება თანაზიარი მისი სიყვარულისა, ნეტარებისა და ნამდვილი, ღვთაებრივი თავისუფლებისა!.. რადგან ნამდვილად თავისუფალი მხოლოდ ღმერთია!

## ბიბლიიდან

“მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება”.  
(ანუ: ვარ – გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება.)

„მე ვარ, რომელიც ვარ“.

„მე და მამა ერთი ვართ“. „მე მამაში ვარ და მამა ჩემში“. „მე მა-  
მაში ვარ, და თქვენ ჩემში ხართ, ხოლო მე თქვენში“.

„ცათა სასუფეველი თქვენშია“.

„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს  
მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ“.

„მე ვარ ვაზი, თქვენ კი – ლერნები. ვინც ჩემში რჩება და მე მას-  
ში, იგი ბევრ ნაყოფს ისხამს, რადგან უჩემოდ არაფრის კეთება არ  
შეგიძლიათ“.

„თუ ჩემს სიტყვაში დამკვიდრდებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეე-  
ბი ხართ. შეიცნობთ ჭეშმარიტებას, და ჭეშმარიტება გაგათავისუფ-  
ლებთ თქვენ“.

„ვისაც ვუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს და მამაჩემიც შეიყ-  
ვარებს მას, ჩვენც მივალთ და მასთან დავიდებთ სავანეს“.

„თუ მიწაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი არ მოკვდა, მარტო  
დარჩება. და თუ მოკვდა, ბევრ ნაყოფს გამოიღებს“.

**წინასწარცნობა და წინასწარგანსაზღვრულობა.**

**სალვოო მადლთან თავისუფალი თანამშრომლობა**

(მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით)

ლმერთმა ყოველივე წინასწარ უწყის, მაგრამ წინდაწინ როდი გან-  
საზღვრავს ყველაფერს. იგი კი არ განსაზღვრავს ჩვენს არჩევანს,  
არამედ, როგორც ყოველივეს წინასწარმცოდნე, ჭვრეტს მას, და ეს  
არ აუქმებს და არ ზღუდავს ადამიანის თავისუფალ ნებას. სხვაა  
წინასწარცნობა და სხვაა წინასწარგანსაზღვრა. ზოგჯერ ჩვენც კი  
განვჭვრეტთ, ხოლმე, წინასწარ თუ რას მოიმოქმედებს ესა თუ ის

პიროვნება ამა თუ იმ სიტუაციაში, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ განვსაზღვრავთ და ჩვენ ვამოქმედებთ მას ამგვარად!

ღმერთის მიერ ადამიანის წინასწარ არ-განსაზღვრულობას სხვა ასპექტიც აქვს: ღმერთისგან ბუნებით ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს სათნოების შეძენის უნარი, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამით სათნოება უკვე დაბადებითვე გვაქვს მომადლებული. ის ჩვენ თვითონ, ჩვენი ნებით და მცდელობით უნდა შევითვისოთ.

წმ. იოანე დამბაჟიშვილი: ღმერთი არის დასაბამი და საფუძველი ყოველი სიკეთისა. და მისი თანადგომისა და შეწევნის გარეშე ჩვენთვის შეუძლებელია მოსურვებაც და ასრულებაც რაიმე კეთილი საქმისა.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი: ჯეროვანი მოსურვებისთვისაც ღმერთის შეწევნაა საჭირო.

წმ. იოანე ოქროპირი: ქრისტეს რწმენა ადამიანური განსჯის ნაყოფი როდია, იგი ზენაარი გამოცხადების გზით მიღებული მადლია.

ამ გამონათქვამებში აღიარებულია წინამსწრობელი მადლის აუცილებლობა. ჯერ მადლი მოდის ადამიანთან და მერე ირჩევს ადამიანი მის მიღება-შეწყნარებას. და თუკი წმ. იოანე ოქროპირი ერთგან ამბობს: არც ღმერთი, არც სულინინდის მადლი არ დაასწრებენო ჩვენს თავისუფალ ნებას, მას აქ მხედველობაში აქვს არა წინამსწრობელი საღვთო მადლი, არამედ ის მადლი, რომელიც შეეწევა ადამიანს შემდგომ, სრულყოფილ რწმენამდე ამაღლებაში. ვინც ჯეროვნად შეიწყნარებს წინამსწრობელ მადლს, იმას სხვა მადლიც მიენიჭება, რომლითაც თვით ნებელობა ადამიანისა ქმედითად აღიძვრება და განმტკიცდება სიკეთისადმი სწრაფუაში.

წმ. იოანე ოქროპირი: თუკი შენ ისურვებ, მაშინ ღმერთი ისე იქმს, რომ ნამდვილად გინდოდეს, და თვითონვე მოგცემს გულმოდგინებასა და ქმედების უნარს, რადგან მადლი არამხოლოდ შეგვაგონებს ბილწ ვნებათაგან თავშეკავებას, არამედ ძალასაც აკარგვინებს ჩვენში ამ ვნებებს და უზენაესი ცხოვრებისაკენ აგვამაღლებს.

ღვთის განგებულება არის ღმერთის ზრუნვა ყოველი სულიერისთ-

ვის. ის რაც საღვთო განგებულებას ექვემდებარება სრულდება ან ღმერთის ნებით, ან მისი დაშვებით. ღვთის განგებულება არ ეხება ადამიანის თავისუფალ ნებას და მის თავისუფალ ქმედებებს. საქმე-თა არჩევანი ჩვენს ხელთაა, ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული, ხოლო მათი ბოლო ანუ აღსრულება და შედეგი დამოკიდებულია ღმერთის ნებაზე, ღვთის განგებულებაზე.

ღმერთს თავისი წინამსწრობელი ნებით სურს ჩვენი კეთილი საქ-მეები და სწყალობს მათ. ბოროტი საქმეები მას არ სურს არც წინამს-წრობელი და არც შემდგომი ნებით, მაგრამ ღმერთი მიუშვებს ხოლმე ჩვენს თავისუფალ ნებას ბოროტის ქმნადაც, რადგან ის არ ძალ-ადობს მასზე.

### **ასტროლოგის ხედვა ადამიანის თავისუფლებაზე**

„დათესავ ჩვევას – მოიმკი ხასიათს;  
დათესავ ხასიათს – მოიმკი ბედ-იღბალს“.

ასტროლოგის მიხედვით, ადამიანის თავისუფალი ნება – არის თავისუფალი არჩევანის უნარი იმ დეტერმინირებული გარემოს და უნართვისებების პირობებში, რომელიც გადმოეცა მას წინა ცხ-ოვრებიდან, დამსახურებისამებრ (აյ ძალაშია მიზეზ-შედეგობრიო-ბის კანონი ანუ „კარმის კანონი“ – „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“).

წინა ცხოვრებით განსაზღვრულია შინაგანიც (უნართვისებები და მიღრეკილებები, ფსიქოტიპი, ხასიათი) და გარეგანიც (ცხოვრებისეუ-ლი პირობები, ბედიღბალი). და ეს შინაგანი და გარეგანი შეესაბამება ერთმანეთს. ამ შინაგან ხასიათს და გარეგან ბედიღბალს ადამიანმა უნდა შეხედოს როგორც წინა ცხოვრებიდან მიღებულ მემკვიდრეო-ბას და მიხედოს და მოუკაროს მას როგორც თავისუფალი არჩევანის უნარის მქონე პიროვნებამ. ანუ, ერთი მხრივ, დახვეწოს ხასიათის სხ-ვადასხვა მხარეები, შეასუსტოს ცუდი და გამოიმუშაოს კარგი თვისე-ბები; მეორე მხრივ კი – უდრტვინველად შეხვდეს მის მიერვე წინა ცხოვრებაში დათესილის გამო მოწეულ ცხოვრებისეულ გარემოე-

ბებს, შეეგულს მათ ან წუნუნის გარეშე გადაჭრას მის წინაშე წამოჭრილი პრობლემები.

ე.წ. „ასტროლოგიური რუკა“, რომელიც იგება ადამიანის დაბადების მომენტის მიხედვით, ესება ზემოთ აღნიშნულ „მემკვიდრეობას“! სული ქვეყნად დაბადებისას თითქოსდა როგორც სამოსს „იცვამს“ თავის „ხასიათ-ბედილბალს“. ხასიათიც უფრო ნიღაბია მისთვის ვიდრე ნამდვილი „მე“.

ასტროლოგ შეუძლია დაუხსასიათოს ადამიანს მისი „მემკვიდრეობა“ და მიეხმაროს მას საკუთარი თავის შეცნობაში. აგრეთვე, იმის გარკვევაშიც, თუ რა პროფესია სჯობს აირჩიოს, რა საქმიანობით დაკავდეს და სხვა. მაგრამ აქაც ადამიანი თავისუფალი რჩება თავის არჩევანში, თუკი ირჩევს ფხიზელი, თავისუფალი სული!

არსებობს გარდაუვალი ბედისწერა მათთვის, ვინც არ ავლენს ნებას; არსებობს ფარდობითი თავისუფლება მათთვის, ვინც რამდენ-ადმე განავითარა ნებისყოფა; და არსებობს ნამდვილი თავისუფლება მისთვის, ვინც შეიცნო ჭეშმარიტება და შეგნებულად ცხოვრობს კანონის მიხედვით ანუ ღმერთის ნების შესაბამისად.

### **წმ. ბერი სილუანი ადამიანის თავისუფლების, ღვთის ნებისადმი მინდობის და სიყვარულის შესახებ**

„ადამიანის თავისუფლება რეალურია და იმდენად დიდი, რომ მაცხოვრის მიერ გაღებულ მსხვერპლსაც კი არ ძალუძს ჩვენი ხსნა ჩვენივე თანხმობის გარეშე“.

სადაც არის უფლის სული, იქ არის თავისუფლება. აბსოლუტური თავისუფლების არსი საკუთარი არსების საკუთარი თავითვე განსაზღვრულობაა, გარე დამოკიდებულობის გარეშე. ეს ღმერთის თავისუფლებაა, ადამიანი ასეთ თავისუფლებას არ ფლობს. ცდუნება ქმნილი თავისუფლებისა (რომელიც ღვთის ხატს წარმოადგენს) იმაშია, რომ თავად შექმნას თავისი ყოფიერება, თავად განსაზღვროს ის ყოველმხრივ, არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმით, რაც ეძლევა,

რადგან ამაში არის გრძნობა დამოკიდებულობისა. მაგრამ ეს ცდუნებაც გადაილახება ღმერთის რწმენით ისევე, როგორც სხვა ცდუნებები. რწმენა მოწყალე ღმერთისა – რომ ის არის ყოველგვარ სრულყოფილებაზე უმაღლესი – გარდამოავლენს ადამიანის სულზე მადლს, და მაშინ აღარ არსებობს დამოკიდებულობის დამამძიმებელი გრძნობა, არამედ სულს უყვარს ღმერთი როგორც მშობელი მამა და ცხოვრობს მისით. დიდი მადლია – მიენდო ღმერთის ნებას. მაშინ მხოლოდ ღმერთია სულში და არ არის სხვა რამ ფიქრი, და სული სუფთა გრძნობით ლოცულობს ღმერთზე და გრძნობს ღვთის სიყვარულს, თუნდაც იტანჯებოდეს სხეულით. როდესაც სული მთლიანად მიენდობა ღვთის ნებას, მაშინ თვით უფალი იწყებს მის მართვას. და სული უშუალოდ სწავლობს ღმერთისგან.

ამპარტავანს არ სურს ღვთის ნებით ცხოვრება, მას უნდა თვითონ მართავდეს საკუთარ თავს და არ ესმის, რომ ადამიანს არ ყოფნის გონება ღვთის გარეშე მართოს თავი. მეც ასეთი ვიყავი ერში... მაგრამ როცა სულინმინდით შევიცანი უფალი იესო ქრისტე, ქე ღვთისა, ჩემი სული მიენდო ღმერთს. ვინც ღვთის ნებას მიენდობა, მისთვის ადვილია ცხოვრება ნებისმიერ გასაჭირშიც. ყველაზე ძვირფასია – იცოდე ღმერთი და იცოდე (ნაწილობრივ მაინც) მისი ნება.

როცა მადლია ჩვენთან – ძლიერი ვართ სულით. მაგრამ, როცა ვკარგავთ მას – ვხედავთ ჩვენს უსუსურობას. ვხედავთ, რომ ღმერთის გარეშე კარგის გაფიქრებაც კი არ შეგვიძლია. თუ სწუხარ რაიმე საგანზე, ე.ი. არასრულად ხარ ღმერთს მინდობილი. ღვთის ნებისამებრ მცხოვრები არაფერზე წუხს, არ ეშინია... და ასე ინარჩუნებს მშვიდობას სულში და სხეულში.

ღვთისმშობლის მსგავსად რომ ვამბობდეთ: „აჲა, მონა ღვთისა; მეყავნ მე შენი სიტყვისამებრ“, მაშინ სულინმინდით დაწერილი სახარებისეული სიტყვები ჩვენს სულში იცხოვრებდა და ღვთის სიყვარული მთელ ქვეყანაზე გავრცელდებოდა; რა მშვენიერი ცხოვრება იქნებოდა მაშინ მთელ დედამინაზე! ვწვალობთ ჩვენ ქვეყნად და

ვეძებთ თავისუფლებას, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის – რაშია თავისუფლება, სად არის ის. ის ღმერთანაა და ღმერთისგან ეძლევათ თავმდაბალთ გულით, რომლებმაც მოინანიეს და მოკვეთეს საკუთარი ნება ღვთის წინაშე. მონანიეთ აძლევს ღმერთი თავის მშვიდობას და თავისუფლებას – უყვარდეთ ღმერთი. და არაფერია ქვეყნად უკეთესი, ვიდრე ღმერთი და ღმერთის სიყვარული. ყველა რომ გიყვარდეს და ყველასთან ერთობაში რომ იყო, როგორც ამას უფალი ამბობს: „რათა იყვნენ ყველანი ერთნი“, ამისთვის არაფრის გამოგონება არ არის საჭირო, ყველანი ერთიანი ბუნებისა ვართ, და ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა ყველა გვყვარებოდა. ხოლო, სიყვარულის ძალას სულინმინდა იძლევა. როდესაც სულინმინდა შეგვინდობს ცოდვებს, მაშინ იღებს სული თავისუფლებას – ილოცოს ღმერთზე სუფთა გონებით; მაშინ ის თავისუფლად ჭვრეტს ღმერთს და მასში ივანებს სიმშვიდით და სიხარულით. და ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლება. ხოლო, ღვთის გარეშე შეუძლებელია თავისუფლება. ითხოვე და შეგინდობს ღმერთი. ხოლო, როცა მიიღებ ცოდვების შენდობას, სულში გექნება სიხარული და მხიარულება, და მთელი მადლი სულინმინდისა შემოვა შენს სულში, და იტყვი: აი, ჭეშმარიტი თავისუფლება, ის ღმერთშია და ღმერთისგანაა.

უფალს უნდა, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, ამაშია თავისუფლება – ღვთისა და მოყვასის სიყვარულში. ამაშია თავისუფლებაც და თანასწორობაც. ამქვეყნიურ წოდებებში კი თანასწორობა არ შეიძლება იყოს, მაგრამ ეს არ არის სულისთვის მთავარი... ყველა წოდებაში მყოფს შეუძლია უყვარდეს ღმერთი და სათნო ეყოს მას, და ესაა მხოლოდ მთავარი. და ვისაც მეტად უყვარს ღმერთი დედამინაზე, მეტად ისწრაფვის ღვთისკენ, ის იქნება უფრო ახლოს მასთან. ყველა განდიდება თავისი სიყვარულის მიხედვით. და გავიგე, რომ სიყვარული სხვადასხვა შეიძლება იყოს თავისი სიძლიერით: ვიღაცას ეშინია ღმერთის, შიშობს არაფრით შეურაცხყოს – ეს პირველი სიყვარულია; ვიღაცას გონება აქვს სუფთა ზრახვებისგან – ეს მეორე, უფრო მე-

ტი სიყვარულია; ვიღაცას შეგრძნებითად აქვს მადლი თავის სულ-ში – ეს მესამე სიყვარულია, კიდევ უფრო მეტი; მეოთხე, სრულყოფილი სიყვარული ლვთისა – ესაა, როცა სულინმინდის მადლი არის სულშიც და სხეულშიც. მაშინ იკურთხება სხეული... ამ დონეზე მყოფს ვერ ეხება ხორციელი სიყვარული... ლვთისადმი სრული სიყვარულის დროს სული არ ეხება ქვეყანას, თუმცა ცხოვრობს ქვეყნად.

ჩვენი უბედურება იმაშია, რომ გონიერის ამპარტავნების გამო არ ვდგავართ ამ მადლში, და ის ტოვებს სულს, და სული ეძებს მას ტირილით და მოთქმით, და ამბობს: მოწყენილია სული ჩემი გარეშე უფლისა.

### ჰო თპონოპონო

(ჰავაურ ენაზე – განწმენდა-გამოსწორება)

მშვიდობა ქვეყნად ჩემით იწყება,  
სამყარო ჩემთვის – მხოლოდ ჩემშია,  
მე პასუხს ვაგებ სულ ყველაფერზე,  
ჩემს გარეშე ხომ მხოლოდ ღმერთია.

ჩემშია რაღაც, რაღაც მიზეზი,  
რაღაც ისეთი, ეს რომ შემემთხვა...  
ვწუხვარ და ვნანობ, გთხოვ, რომ შემინდო,  
მე შენ მიყვარხარ, მადლობელი ვარ.

შენ იცი, ღმერთო, მხოლოდ შენ იცი,  
რა არის კარგი, რა არის ცუდი...  
მომეცი სიბრძნე, რომ შენ მოგენდო...  
მომბეზრდა ჩემი ფიქრები მრუდი...

დღემდე მე მსურდა, ახლა კი ვხედავ:  
ჩემს სურვილებში სულ არ ვვარგივარ...  
ვწუხვარ და ვნანობ, გთხოვ, რომ შემინდო,  
მე შენ მიყვარხარ, მადლობელი ვარ.

მე შენ მიყვარხარ, მადლობელი ვარ...  
მე შენ მიყვარხარ, მადლობელი ვარ...

### ცოტაოდენი რამ შრი რამანა მაჟარშის გზავნილიდან

„საკუთარი თავის ჭეშმარიტი არსის  
შეცნობა – არის გათავისუფლება“.

ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება არის აბსოლუტი, წმინდა წყლის ყო-  
ფიერება, მე (ყოველგვარი ატრიბუტების და გონითი კონცეფციების  
გარეშე) ანუ „მე ვარ“.

ადამიანის ამ ჭეშმარიტი ბუნებიდან გადახვევის მიზეზი არის  
ეგო – „მოჩვენებითი მე“, ერთგვარი „კვანძი“, რომელიც წარმოიშო-  
ბა წმინდა ცნობიერებასა და ადამიანის სხეულს შორის. ეგო – ეს არის  
ფიქრი: „მე ვარ სხეული“, ეს არის მე როგორც ფიქრი-„მე“. ის არის  
პირველი, ძირითადი ფიქრი. მისგან როგორც ფესვისგან ამოიზრდე-  
ბა გონების მთელი ხე. გონებაც სხვა არაფერია თუ არა ფიქრები.

ეგო „გარბის“, როცა იწყებნ მის ძებნას პირდაპირი გამოკვლევ-  
ით: „ვინ ვარ მე?“ ეგოს წყარო არის წმინდა ცნობიერება, წმინდა  
ყოფიერება. სწორედ ამ წყაროსკენ მიდის „ვინ ვარ მე“ შეკითხვით  
დევნილი ეგო... და როცა იგი ამ წყაროში იძირება და უჩინარდება,  
მაშინ უშუალოდ შეიგრძნობა და ცხადდება, რომ რეალურია მხოლოდ  
ჭეშმარიტი მე (ატმანი), ხოლო ყველაფერი დანარჩენი – „სამყარო“,  
„ლმერთი“, „ადამიანი“ – მოჩვენებითია...

ატმანი არის ის, სადაც აბსოლუტურად არ არის ფიქრი, სადაც

„დიადი სიჩუმეა“. ატმანი თავად არის სამყარო, თავად არის ინდი-  
ვიდუალური სული, თავად არის ღმერთი. ყველაფერი არის ატმანი  
(აბსოლუტური მე).

როგორც სიზმარში ნანახი მოვლენები ჩანს რეალური, სანამ სიზ-  
მარი მიმდინარეობს, ასევე „ცხადში“ ნანახი მოვლენებიც რეალურია  
მხოლოდ ამ მდგომარეობაში ყოფნისას. ატმანში მყოფისთვის ე.ნ.  
„ცხადიც“ სიზმარივითაა, უბრალოდ, უფრო დიდ ხანს გრძელდება.  
ნამდვილი ცხადში ყოფნა კი ატმანში, ატმანად ყოფნაა.

არსებობს ეგოს გაქრობის ორი გზა: ან მთლიანად ჩაბარდით  
ღმერთს და მიენდეთ მას ყოველგვარი პირადი სურვილების გარეშე,  
ან გამოიკვლიეთ და შეიცანით თქვენი ჭეშმარიტი მეობა. შეიცანით,  
რომ სინამდვილეში თქვენ ხართ უსასრულო, სუფთა ყოფიერება, აბ-  
სოლუტური მე. სინამდვილეში თქვენ ყოველთვის ეს მე ხართ და სხ-  
ვა არაფერი. ნეტარება და ბედნიერება კი არ ემატება თქვენს ბუნე-  
ბას, არამედ ის ცხადდება როგორც თქვენი ნამდვილი, ბუნებრივი  
მდგომარეობა, მარადიული და წარუდინებელი.

ერთადერთი გზა მწუხარებისგან თავის დახსნისა არის შეცნობა  
და ყოფნა იმად, ვინც სინამდვილეში ხართ.

### ამონარიდები კაბალისტური ტექსტებიდან

„არავინაა გამჩენის გარდა“.

ადამიანი არის სურვილი. სხეული არის მიღების, სიამოვნების  
მიღების სურვილი; ხოლო, სული არის გაცემის, სიამოვნების სხვისთ-  
ვის მინიჭების სურვილი.

მიღების სურვილი ეგოისტურია, გაცემის სურვილი – ალტრუის-  
ტული, კეთილი. შემოქმედის სურვილი მხოლოდ გაცემაა, მას სურს  
სიამოვნება, ნეტარება მიანიჭოს მიღების სურვილად შექმნილ ადა-  
მიანს. მაგრამ თუ ადამიანი მხოლოდ მიმღებია და იღებს მხოლოდ

თავისი სიამოვნებისთვის, მაშინ ის ეგოისტურია და სულ არ ჰგავს შემოქმედს, მისი ანტიპოდია. არადა, მისი და შემოქმედის სურვილიცაა, რომ ადამიანი შემოქმედს დაემსგავსოს, მისი მსგავსი გახდეს! აქედან გამოსავალი ისაა, თუკი ადამიანი კი მიიღებს შემოქმედისგან მონიჭებულს, ოლონდ, თავად შემოქმედისთვის სიამოვნების მინიჭების განზრახვით... ანუ, მიიღებს მხოლოდ იმ მოტივით, რომ შემოქმედს ასიამოვნოს. ეს არის მიღება გაცემის განზრახვით, და ამ შემთხვევაში ადამიანიც ალტრუისტი და კეთილია. ანალოგია: სტუმარი სიამოვნებით შეექცევა მასპინძლის მიერ შემოთავაზებულ კერძს იმ განზრახვით, რომ მასპინძელს ასიამოვნოს.

უურნალისტის შეკითხვა კაბალისტ მიხაილ ლაიტმანს: „სად არის ჩემი ნამდვილი მე?“

ლაიტმანის პასუხი: „შენი ნამდვილი მე სხვებშია.“

ადამიანი, მისი მოქმედებები, ფიქრები და გრძნობა-განცდებიც კი მთლიანად განსაზღვრულია მისი ბიოლოგიური თუ სულიერი გენებით. ადამიანის მთელი ცხოვრებაც სწორედ ამ გენების გამოვლენა-განხორციელებაა. მაგრამ „ლმერთს სურს“, რომ ადამიანს ეგონოს, თითქოს ის თავისუფალია, ესეც მის გენშია.

ე.ნ. „თავისუფალი ნება“ ჩნდება მაშინ, როცა ადამიანი ვერ შეიგრძნობს შემოქმედს... და თან შეუძლია იმოქმედოს სხეულებრივი მოთხოვნილებებისგან დამოუკიდებლად. ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ მიწიერი ცხოვრების პირობებში გვაქვს.


ადამიანის რაღაც „საკუთარი, დამოუკიდებელი მე“ მომდინარეობს მის შეგრძნებაში შექმნილი ეგოიზმიდან. ხოლო, რომ გათავისუფლებულიყო ამ ეგოიზმისგან, ადამიანი კვლავ გახდებოდა შემოქმედის, ღმერთის ნაწილი.

პიროვნული განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადამიანი ალმოაჩენს, რომ ის სრული ეგოისტია; ამით შეძრნუნებულს უნდება შეცვალოს ეს გარემოება; მთელი ძალით იწყებს ამისთვის ბრძოლას;

მაგრამ მრავალი წარუმატებელი ძალისხმევის შემდეგ ხედავს, რომ ეს მას არ ძალუქს, რომ მისი ძალისხმევა – ეს ისევ ეგოისტის ძალისხმევაა; გაწილებული, გატანჯული და ღონემიხდილი, „პირქვე დამხობილი“ ნებდება ღმერთს (თვითონ კი არ ნებდება, დანებება თავისთავად ხდება!)... და მაშინ შემოქმედი თავისი ნათლით აღავსებს მას.

სინამდვილეში, არავინ და არაფერია, გარდა შემოქმედისა... ჩვენი, ადამიანების ცხოვრებაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენად, ადამიანებად გამოვლენილი ერთიანი სიცოცხლე, ერთიანი არსებობა, თავად შემოქმედია... ეს ყველაფერი – მისი არსებობა, მისი ცხოვრებაა.





MWVANE ZRAPARI

იგავები და მოთხრობები



## კონცერტის შეაძეგ

– რა დიდებულია ეს ბახის საორდანო მუსიკა! რა საოცრად სულ-ში ჩამწვდომი!.. და ლამაზი! – აღტაცებით ამბობდა მრგვალსაყურიანი ქალი.

– მართლაც რომ ღვთაებრივი მუსიკა! – მხარს უბამდა ჩიბუხიანი მამაკაცი.

„ვერ გამიგია რა მოსწონთ!.. კლავიშებზე თითების დაჭურებია და მეტი არაფერი“ – ფიქრობდა ჰალსტუხანი ყრუ.



## მგელი და ცხვარი

მგელმა ცხვარი დაიჭირა და შეჭმა დაუპირა.

– რას სჩადით, რას! – გაცხარდა ცხვარი. – ეს, ხომ, უსამართლო და, პირდაპირ, ამორალური საქციელია თქვენი მხრივ!.. ამას ყოველი ბატკანიც კი გეტყვით! ეს, ხომ, არამზადობაა, ბანდიტიზმი, უსინდისობა!


– სწორი ბრძანდებით – თქვა მგელმა. მერე ცხვარს ეცა და წამში გადასანსლა...

შემდეგ კი სხვა ცხვრის საძებრად გასწია.

## პეპელა და კუ

პეპელა ერთ ვარდის ბუჩქთან დაფრინდა. ბუჩქის ძირას კუ მი-  
ფოფხავდა.

- გამარჯობა, ძმობილო! – მხიარულად შესძახა პეპელამ.
  - გაგიმარჯოს – მიუგო კუმ. – გახარებული ჩანხარ.
  - ჰო! გუშინ დავიბადე და უკვე იმდენი რამ ვნახე!.. რა კარგია ცხ-  
ოვრება! რა ლამაზია ეს ცა, ეს მზე, ბალახი, ყვავილები!.. ო, როგორ  
მიყვარს ყვავილები! ბევრი ბალნარი მოვიარე, დავფრინავ ყველგან,  
ვუცქერ და ვტკბები ამ მშვენიერებით!.. და რა კარგია, რომ რამდენ-  
იმე დღე კიდევ შემიძლია ვიცხოვრო ამქვეყნად!
  - მხოლოდ რამდენიმე დღე? – გაიკირვა კუმ – ჰმ, მე კი, აი, უკვე  
ასი წელია რაც გავჩნდი ამ ბალში... და კიდევ დიდხანს ვიცოცხლებ.
  - ოჟ, რა ბედნიერი ხარ! ალბათ, რამდენი რამ ნახე და გაიგე ამ  
ხნის განმეობაში!.. და რამდენი რამ გელის კიდევ წინ!
  - რა გითხრა... – ჩაფიქრდა კუ – ამ ბალს ჯერ არ გავცდენილვარ...
  - როგორ?! – გაოცდა პეპელა.
  - აბა, რა ვიცი... მართალი გითხრა, მაინცდამაინც არც ყვავილები-  
სთვის მიმიქცევია დიდი ყურადღება, შენ რომ, თურმე, ასე ძალიან  
გიყვარს...
- გაკვირვებული პეპელა ერთ ხანს გაუნდრევლად შესცემოდა კუს.  
მერე მხრები აიჩეჩა, ფრთები გაშალა და გაფრინდა.



## ტყეში და ლრეში

ტყე-ლრეში ბევრი ხეტიალის შემდეგ კაცი ქოხს წააწყდა.

– გისმენ – შეეგება მას იქ მყოფი.

– ცუდად ვარ, მოძლვარო.

– შენი საქმეა ღმერთს ემსახურო. უერთგულე მას! წადი და ნუ-დარ ინალვლებ საკუთარ თავზე.

კაცი ჩაფიქრდა: „სხვა ვინ ინალვლებს ჩემზე, თუ არა მე?“

– უფალიც ზრუნავს მსახურზე. – თითქოს მისი ფიქრები გაიგოო... ან, იქნებ, მართლა კითხულობდა ფიქრებს?!?

– რა უნდა ღმერთს რომ ვაკეთო?.. საიდან უნდა ვიცოდე?.. – აფორიაქდა კაცი.

– ნუ შფოთავ, იგულე თავი ღვთის მორჩილად და გულდამშვი-დებულს, საკუთარ თავზე ზრუნვის უბედურებისგან თავისუფალს, გეცოდინება კიდეც საკეთებელი.

კაცმა გაიფიქრა: „მე მინდა გავიგო, როგორ არ ვიყო ცუდად და როგორ ვიყო კარგად, ეს კი მეუბნება, ნუ გინდა კარგად ყოფნა, სა-ერთოდ ნუ გალელვებს შენი თავი, ღმერთს ემსახურეო!“ – მერე წაილულლუდა:

– ბოდიში... მაინც ეჭვები მიპყრობს... არ გავუბედურდე!..

– რა არის ეჭვი ან უბედურება მისთვის, ვინც არ ნალვლობს და საერთოდ არ ფიქრობს საკუთარ თავზე?! როგორ იხილავს იგი თავს უბედურს?! ის, ხომ, უბრალოდ, მორჩილია, თავისუფალი და მოსიყვა-რულე მორჩილი ღვთისა!

კაცი ერთ ხანს დუმდა, ფიქრობდა. მერე ნერვული სიცილი აუტყ-და, მაგრამ მალევე შეწყვიტა. შეცბუნებული იღიმებოდა: „იქნებ, სინამდვილეში, არც ღმერთი არსებობს და არც... იქნებ, ეს ყველა-ფერი... მაშინ?..“

– შენ ისევ შენს თავზე ზრუნავ! – შესძახა მოძლვარმა. სწვდა კაცს ქეჩიოში და პანდურის კვრით გააგდო გარეთ... თანაც, ისე სწრაფად, რომ, მართალი გითხრათ, ვერც გავარჩიე, ფეხი ამოჰკრა თუ ჩლიქი...

ზოგჯერ, ხე მხოლოდ იმ შემთხვევაში იცნობა ნაყოფით, თუ ზუსტად იცი, ნაყოფი როგორი უნდა იყოს.

## მცვალე ზღაპარი

ნაშუადღევი იყო. ქალი მარტოდმარტო მისეირნობდა ტყეში.

ერთი ხის ძირას ბაყაყი შენიშნა. მიუახლოვდა და ფრთხილად დაიხარა მისკენ.

— შენც მარტო ხარ, ბაყაყო?

ბაყაყი არ განძრეულა. სულ მთლად მწვანე იყო და ქალს რაღაც უცნაური გამომეტყველებით უმზერდა. უცებ ხმა ამოილო:

— მაკოცე და ბედს ეწევი!

ქალი გაშრა მოულოდნელობისაგან. გაფართოებული თვალებით ბაყაყს მიშტერებული ადგილიდან ვერ იძვროდა.

— ნუ გეშინია, ჩემო კარგო!.. ნურაფრის გეშინია! — ხმა ნამდვილად ბაყაყისგან მოდიოდა.

— განა, ბაყაყები ლაპარაკობენ?! — ენის ბორძიკით წაილულლუ- და ქალმა.

— ყველა არა, — მიუგო ბაყაყმა, — მაგრამ მე მოჯაადოებული ბაყაყი ვარ. — მაკოცე და ბედს ეწევი!

— რა ბედს!.. შენ, ხომ, არა ხარ ჩემი ბედი?!

— დიახ, ძვირფასო.

— ჰმ... მე ჩემი საოცნებო უფლისნულის მოლოდინში კიდეც დავბერდი და...

— რას ბრძანებთ, რა სიბერე!.. თქვენ მშვენიერი ხართ! დანახვისთანავე მომეწონეთ და შემიყვარდით! გთხოვთ მაკოცოთ!.. და ორთავე გავბედნიერდებით!

— ბაყაყს ვაკოცო?!. მე ჩემს სიცოცხლეში ჯერ ერთი მამაკაცისთვისაც არ მიკოცნია... თუმცა ასეთი რამეები დღეს ბევრისთვის სასაცილოდ უღერს...

— პირიქით, მე აღფრთოვანებული ვარ... და ძალზე ვაფასებ... ამიტომაც ასხივებთ ასე — საოცარ სიწმინდეს და სისუფთავეს!

ქალს სევდიანად გაეღიმა.

– უნდა გამოგიტყდეთ, – განაგრძო ბაყაყმა – რომ არც მე მყოლია ვინმე... და ვერც შევძლებ, სანამ ასე ვარ, მოჯადოებული!.. ჯადოს კი მხოლოდ კოცნა მომხსნიდა... კოცნა ქალწულისა, რომელსაც მანამდე არც ერთი მამაკაცისთვის არ უკოცნია! აი, ხომ, ხედავთ, თქვენ ჩემი ბედი ხართ, მე კი – თქვენი!

ქალმა ალარ იცოდა რა ეფიქრა.

– არა, ეს შეუძლებელია! ასე, ხომ, მხოლოდ ზღაპრებში ხდება!

– განა, ჩვენი ცხოვრებაც ზღაპარი არ არის?! რამდენი რამაა ჩვენს ირგვლივ იდუმალი, აუხსნელი! არ გენისნებათ, რომ აქ, ტყეში ერთი-ერთზე, პირისპირ შევხვდით ერთმანეთს... თან, თქვენ თვითონ მოხვედით ჩემთან, პირველმა სწორედ თქვენ მომმართეთ... ან, სულაც, მოლაპარაკე ბაყაყზე რაღას იტყვით?!.. დამიჯერეთ... ყველაფერს დაწვრილებით ვერ აგიხსნით, ეს საიდუმლოა, რომელიც არ უნდა გავამხილო... მაკოცეთ, და არ ინანებთ!

ქალი ერთ ხანს ყოყმანობდა. მერე ბაყაყი ხელში აიყვანა და ტუჩებთან მიიტანა. ღელავდა რაღაც უცნაურის მოლოდინში. თვალები დახუჭა და... ბაყაყს ფრთხილად აკოცა.

რაც მოხდა შემდეგ, ალბათ, ხვდებით... თუ ვერ ხვდებით?.. მოკლედ, ქალი უცებ გამწვანდა, დაპატარავდა და ბაყაყად იქცა. მაშინვე დაქორწინდნენ... არ მკითხოთ, როგორ!


ახლაც იმ ტყეში ცხოვრობენ. შეილებიც ჰყავთ. კარგად არიან, არა უჭირთ რა. არც არაფერს ნანობენ.

### მინანძერი:

მეგობრის ბავშვმა მკითხა: ქალს რომ თვალდახუჭულს კი არა, თვალიას ეკოცნა, მაშინ, იქნებ, ბაყაყი გადაქცეულიყო საოცნებო უფლისწულადო. ძალიან უნდოდა ასე მომხდარიყო.

ჩემმა მეგობარმა კი განაცხადა: ქალიშვილი არ იქნებოდაო. მაგრამ მას კატეგორიულად არ დაეთანხმა მისი ცოლი: ნამდვილად ქალიშვილი იყოო.

ასეა თუ ისე, ახლა ჩვენ ამას ვეღარ შევამოწმებთ!.. თანაც, ნუ და-გვავიწყდება, რომ ჩვენ ყოველთვის ყველაფერს მხოლოდ ადამიანური პოზიციიდან ვუდგებით, ხოლმე.



## პუნქულზე

ვაჟი გულალმა იწვა. გვერდით ქალი იყო. თავით ვაჟის მკლავზე დაყრდნობილს ცალი ხელი მის მკერდზე დაესვენებინა. მზის სხივები ნაზად ელამუნებოდა მათ შიშველ სხეულებს. მარცხვნივ ზღვა იყო. მარჯვნივ მწვანე მთები ცას უერთდებოდა.

ცა იყო ლურჯი. აქა-იქ გაფანტული რამდენიმე თეთრი ღრუბელი მის სილრმეს და უსასრულობას კიდევ უფრო ამძაფრებდა.

ვაჟი უსმენდა ზღვის ხმაურს, შესცქეროდა მწვანე მთებს, ცის სილაუვარდეს... შეიგრძნობდა გვერდით მყოფ ქალს... და აკვირდებოდა, როგორ მოდიოდა სიმშვიდე.

ყოველგვარი სურვილი გამქრალიყო...

ყოველგვარი სურვილი?

უწინდელივით აღარ აწუხებდა ფიქრთა ხმაური... თუმცა, ზოგიერთი მაინც ჩნდებოდა... გაიქროლებდა, როგორც თოლია ან მტრედი ცის კამარაზე.

„რა კარგია, როცა არაფერი არ გინდა“...

პაუზა.

„ამაზე კარგი არაფერია ქვეყნად“...

სიმშვიდე... ციის უსასრულობა.

„მაგრამ, ნუთუ, ასე მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ყველაფერი გაქვს, რაც გინდა?“...

ისევ პაუზა.

„რას გაიგებ!“

რაზე ფიქრობდა ქალი?

ქალს მზერა ვაჟისთვის მიეპყრო და გარინდებულიყო. სახეზე ოდნავშესამჩნევი ღიმილი გადაჰქონდა. მერე საკოცნელად გაიწია.

## განძი

გარეთ წვიმს. ჭერში გაჩენილი ბზარიდან წვეთები უონავს და იატაკზე დადგმულ თასში ვარდება. ოთახში ორნი არიან: ახალგაზრდა ქალი, რომელიც თეთრეულს აუთოებს, და ექვსიოდე წლის ბავშვი. იგი სამთვლიანი ველოსიპედით მაგიდას გარს უვლის, თან თავისთვის რაღაცას სასაცილოდ ღილინებს. ველოსიპედის თვლები დაუზეთავია და მისი ჭრიალი მართლაც გულისგამანყალებელია, მითუმეტეს, რომ ზედ კიდევ ბავშვის უნიჭო სიმღერა ერთვის.

– გეყოფა, ეხლა სხვა რამე ითამაშე – უუბნება მოთმინებადაკარგული ქალი შვილს, რომელიც ყურს არ იბერტყავს და თავისას განაგრძობს. – ლევანიკო, გეყოფა, ხო?

– ხო – და ველოსიპეტიდან გადმოდის. – აბა, რა გავაკეთო?

– სხვა რამე... აი, დახატე. ფანჯრის რაფაზეა რვეული და ფანჯრებიც.

ლევანიკოც იქითკენ მიდის. ფანჯარასთან, კედელზე მისი ხუთიოდე ნახატია გაკრული, რომელიც თვითონ მას და დედამისსაც ძალიან მოსწონთ. იქვეა მათი ოჯახის სურათი, სამნი არიან: ლევანიკო და მისი ახალგაზრდა მშობლები – ნანი და გურამი.

გურამი სამსახურშია. სამუშაოს დამთავრებას ცოტალა აკლია და ის და მისი ამხანაგი დომინოს თამაშის დამთავრებას ველარ ასწრებენ.

— დამნებდი ეხლა, რაღას უყურებ! — აბრაზებს გურამს მოწინაალმ-დეგე, მას თამაზი ჰქვია.

- რა უნდა დაგნებდე, მოგებული მაქვა!
- რა გაქვს, ბიჭო, მოგებული, ასით წინა ვარ!
- წინ იქნები, აბა, რა!.. ქვები ისე მოგდის...
- ქვები რა შუაშია, თამაში უნდა იცოდე!
- კარგი, გვეყოფა, წავიდეთ.
- სამით ერთი მოგიგე დღეს, იცოდე!..
- წავედით, წავედით!

ინსტიტუტიდან რომ გამოვიდნენ, თამაზს გაახსენდა:

- მართლა, ხომ, იცი, სამოცდაათი მანეთი მოვიგე ლატარეაში.
- ვა, ყოჩალ! მაშინ რომ მოგვაჩიჩეს, იმით?
- ჰო.
- ჩემი კი არ მინახავს... რომელ გაზეთშია ცხრილი?
- კომუნისტში – და ჯიბიდან გაზეთი ამოილო. – მაჩვენე, აბა, შე-ნი ბილეთი!
- აქ არა მაქვს, სახლშია... ერთი პიჯაკის უბის ჯიბეში, მგონი...  
მართლა, წამოდი ჩვენთან, რამდენი ხანია არ ყოფილხარ!
- ქუჩა გადაჭრეს და ტროლეიბუსში ავიდნენ.
- წვიმა ოდნავადაც არ შენელებულა.

ლევანიკო კარებშივე შეეგება მოსულთ.

- გაუმარჯოს ვაუკაცს! – გაუცინა თამაზმა და ხელი ჩამოართვა.  
ნანის თეთრეული დაეუთოებინა და ახლა სამზარეულოში იყო  
გასული.

გურამი პირდაპირ კარადას ეცა, იქ დაკიდებული ლურჯი ფერის  
პიჯაკი ჩამოხსნა და უბის ჯიბიდან ლატარეის ბილეთი ამოაძვრინა.

- მაჩვენე გაზეთი... დაჯექი!
- თამაზი მაგიდასთან დაჯდა და გაზეთი გაშალეს. ამ დროს ნანიც  
გამოვიდა სამზარეულოდან:

– ამას ვის ვხედავ!.. – მერე გურამს გადახედა: – რა არის... მოიგე რამე?

– კი.

– რა? – გაუბრწყინდა ნანის სახე.

– ბუს კვერცხები.

– ეე! მეც სპორტლოტო მქონდა ნაყიდი, ორი ცალი.

– მერე?

– ერთში ერთი ნომერი დაემთხვა მარტო, მეორეში – არც ერთი! ტყუილად ვყრით ფულს... როდესმე არ უნდა გაგვიმართლოს რამე-ში?!

– არ იცით თამაში – გაიღიმა თამაზმა.

– რა თამაში უნდა იცოდე... ბედი უნდა გქონდეს!

– მაგან სამოცდაათი მანეთი მოიგო.

– მართლა? ყოჩალ, შენ!

– თამაში უნდა იცოდეთ! – შეიფერა თამაზმა.

– ისე, სულელებს სწყალობთ ბედი! – ნანი სკამზე ჩამოჯდა. – ცოლი როდის უნდა მოიყვანო, შენ, ერთი, ეგა თქვი!

– ცოლი? – თამაზმა საათს დახედა – დღეს ვეღარ მოვასწრებ და, აი, ხვალ ნამდვილად მოვიყვან.

– მოიყვანე, ბიჭო, მოიყვანე, სანამ კიდევ შეგრჩენია ორი ლერი თმა! – და ნახევრადგამელოტებულ თავზე საგულდაგულოდ დალ-აგებული თმები აუწენა.

– რას შვრები, ნანი! – აბუზლუნდა თამაზი. – ცოლის მოსაყვანად საჭიროა ქალი... და რწმენა, რომ კარგად იქნებით ერთად... – თმებს ივარცხნიდა. – თანაც მე ცოლი კი არ მინდა... მე მინდა ქალი, რომელიც სარეცხს გარეცხავს, დააუთოვბს, სახლს დაალაგებს, საჭმელს მოამზდებს... ოღონდ, საყვარელი და მეგობარიც რომ იყოს, რომლ-თანაც არ მომბეზრდება ერთად ყოფნა.

– ჰმ... ჰოდა, ცოლი გნდომებია!

– მაგრამ ცოლები არასოდეს არიან ასეთები!.. შენს გარდა, რა თქმა უნდა.

ნანის ირონიულად გაელიმა.

– ინსტიტუტში არავინ არის კარგი გოგო, ჰა, გურამ?

– ინსტიტუტში მაგას გოგოებისთვის არ სცალია... დომინოს თა-მაშობს.

– ისე, რამეს თუ აკეთებთ, თამაშის გარდა, იმ თქვენს სამსახურში?!

– რას ამბობ, ჩვენზე მეტს ვინ მუშაობს!.. არა, გურამ?!

– აბა, რა!

– უსინდისოები ხართ ორივე! უკვე რამდენი ხნის წინ უნდა დაგეცვათ დისერტაცია!.. იმას რა ქვია?.. ვალერი!.. იმაზე ნაკლები ხართ შენ და გურამი?! რას წარმოადგენდა ვალერი უნივერსიტეტში, ერთი ვიცოდე!

– ვალერამ რომ დაიცვა, ვალერას ისა ჰყავს... მე და გურამს ვინ გვყავს?!

– კაი, კაცო, თქვენ თამაშზე და ქეიფზე რომ ნაკლები იფიქროთ... ვალერი არც თქვენსავით დომინოს თამაშობს და არც ქეიფებში კარგავს დროს, სამაგიეროდ საკანდიდატოც დაიცვა და ახლა სადოქტოროზეც მუშაობს!

– ჩვენ კი არც საკანდიდატო დაგვიცვია და არც სადოქტორო, სამაგიეროდ ვთამაშობთ და ვქეიფობთ!.. არა, გურამ?

– მაგარი ხარ!

– ჰოდა, იყავით, მაშინ, მაგ თქვენს ხელფასზე!.. რამდენს იქეიფებთ მაგ ფულით, ვნახავთ!

– ფული რა მოსატანია, ჩვენ ჭეშმარიტებას ვეძებთ!

– ჭეშმარიტებას ეძებთ, არა!.. – ნანის თანდათან მართლა მოუვიდა ბრაზი. – სამათხოვროდ რომ დასხდებით ხელგაწვდილი, და ფუნთუშას რომ ჩაგიგდებენ იმ ხელში, აი, ის ფუნთუშა იქნება ჭეშმარიტება!

– ვა, რა მაგარია: ჭეშმარიტება როგორც სამათხოვროდ გაწვდილ ხელში ჩაგდებული ფუნთუშა! გენიალურია! – აღფრთოვანდა თამაზი.

– კარგი, ერთი, თუ კაცი ხარ! – ნანიმ სამზარეულოსკენ გასწია.

- კარგი, ეხლა, რა მოგივიდა! – შეაჩერა გურამმა.
- არ მოგიტანოთ კარტოფილი?!?
- მოგიტანე, მოიტანე... არ დაგეწვებოდა აქამდე?
- შენ შენს თავს მიხედე! – ნანი გავიდა.

კარტოფილი მართლაც მეტისმეტად შეპრანულიყო, მაგრამ ამ-ით უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდა. ნანიმ ერბოკვერცხი, ცო-ტაოდენი ძეხვი და თავისი ხელით დამზადებული საწებელიც მოი-ტანა. ვახშამს შეექცნენ.

– რაც შეეხება ჭეშმარიტების მაძიებლობას, თქვენ როგორ მოგ-დით, იცი? როგორც როდენის „მოაზროვნებე“ თქვა ელენემ, ჩემმა დისშვილმა.

– რა თქვა? – დაინტერესდა თამაზი.

– უთხარი, გურამ!

– შენ უთხარი, შენ უკეთ გამოგივა!

ნანი შეეცადა რაც შეიძლება ზუსტად განესახიერებინა „მოაზ-როვნე“-ს პოზა და მერე არტისტულად წარმოთქვა: – აი, უკვე რამ-დენი ხანია „მოაზროვნე“ ვარ... და ვერაფერი მომიფიქრებია!

– ვა, რა მაგარია! – ტაში დაუკრა თამაზმა. – ეს მართლა თქვენ-მა ელენემ მოიფიქრა? და რომელ კლასშია?

– მესამეში... ძალიან მაგარი ვინმეა... ხომ გინახავს ჩვენთან?.. ბევრი ალბომი აქვთ მხატვრების... მაგათან რომ მივდივართ, ხში-რად ვათვალიერებთ, ვსაუბრობთ, ხოლმე... და რომ ვკითხე როდე-ნის „მოაზროვნე“-ზე, ნეტა რაზე ჩაფიქრებულა-მეთქი, სულ ცოტა სანში მოიფიქრა!

– საოცარია!

– ძალიან თბილი და გულისხმიერი ბავშვია... დიდი ვერ იქნება მაგეთი... ლევანიკოს ისე ეთამაშება და ისე ზრუნავს მასზე!.. ამა-საც ძალიან უყვარს...

– ყოჩალ! – თამაზი ალფროვანებული იყო. მერე ლიმილით იკითხა: – შეყვარებულიც ხომ არ ყავს სკოლაში?

– სხვათა შორის, ერთხელ მითხრა: ჩემი კლასელი ბიჭი მიყვარდა, მაგრამ სხვა სკოლაში გადავიდა... და ახლა სხვა ვინმე უნდა შევიყვარო. მე ვკითხე: „უნდა“ რას ნიშნავს, ვალდებული ხარ, მაგრამ კანონია-მეთქი? და რა მითხრა, იცი? – არა კანონი არ არის, მაგრამ ჩემი გულის კანონია! – გესმის?!

– ეგ ბავშვი ბრძენია!.. და ასეთი გახსნილი და თამამი ბავშვების თაობაა ახლა?.. რა ბედნიერებაა!

– თაობა რა შუაშია! – ჩაერთო გურამი. – იქნებ, ელენე ერთად-ერთია და განუმეორებელი! – მერე განაგრძო: – ისე, რა უცნაურია, მაინც: ერთი მხრივ, ყველას უნდა გამორჩეული და ინდივიდუალური იყოს, არ იყოს რაიმე ჯგუფის უბრალო, ტიპიური წარმომადგენელი... გამორჩეულობა ყველას ყველაზე მეტად ეძვირდასება!.. მეორე მხრივ, რატომლაც, მაინც არ ვენდობით, არ ვაღიარებთ ვინმეს ინდივიდუალობას... სულ გვინდა, რომ განვაზოგადოთ, რაღაც ზოგ-ადი საფუძველი მოვუძებნოთ და იარღიყო მივაწებოთ: ის იმიტომაა ასეთი, რომ ქართველია; ამას რუსი დედა ყავს და ამიტომ; ეს ვაკელია, ის კი ნახალოვკელი და, აბა, რა იქნება!.. მოკლედ, სტერეოტიპები გვჭირდება!

– მართალი ხარ, ხომ იცი! – დაეთანხმა თამაზი.

– ან რომ ამბობენ, ხოლმე, რომ ყველა ბავშვი კარგია... სკოლაში არ უვლიათ?! მე როგორც მახსოვს, ნამდვილად კარგი იყო, შეიძლება, ათი-ოთხუთმეტი პროცენტი... ამდენივე იყო ყოვლად აუტანელი და საზიზღარი... დანარჩენი კი – ამათ შორის...

– ეგეც სტერეოტიპი არ არის?!.. თუ სტატისტიკაა?.. – დაფიქრდა თამაზი – უფრო, აკადემიური მოსწრების სტატისტიკაა!.. სტერეოტიპებს მაინც აქვს აზრი!.. – მერე გაახსენა – ან შენც რომ გითქვამს, ქართველებს არ ვენდობიო, ეგ რა არის?!

– ზოგადად, ხალხს! – დააზუსტა გურამმა. – ქართველებს იმ მხრივაც, რომ უთავბოლოები არიან... და უზნეოები!.. ოღონდ, არ ვიცი, უზნეობის გამო არიან უთავბოლოები თუ პირიქით!.. ის გულთბილო-

ბაც და არამეწვრილმანეობაც – ფამილიარობაში, უზრდელობაში და უნესრიგობაში გადასდით!.. უმეტესობას!.. მოკლედ, მეც სტერეოტიპებში ვარ! – დასძინა ბოლოს ღიმილით. – და თუ არ ვბრაზობ, მაშინ: “ქართველებზე კარგი და ნიჭიერი არავინაა!”

– ჭამე, შვილო, ჭამე! აი, ასეთი უჭმელია – ამოიოხრა ნანიმ. – საბავშვო ბალის მასწავლებელიც ამბობს, ყველაფრით კარგი ბავშვია, ჭამა რომ იცოდესო!

– საბავშვო ბალში, მახსოვს, ხორციანი მაკარონი მიყვარდა... და გუფთა... ტოლმაც... პრინციპში, სუპების და რძის გარდა ყველაფერსაც სიამოვნებით მივირთმევდი. ახლა საბავშვო ბალის სუნი გამახსენდა, ხომ იცი!.. ისე, რა მაგარია, ზოგიერთი რამ არ გავიწყდება კაცს!.. რა გამახსენდა, იცი... სახელებიც კი მახსოვს... ერთი ბიჭი იყო, ჯუმბერი... და უყვარდა ერთი გოგო, ია... და ერთხელ ეზოში ვართ, ვთამაშობთ, დავრბივართ, დავხტივართ... ეს ჯუმბერი კი ერთ ადგილზე დგას, არ ინძრევა. რას შვრები, ერთ ადგილას რატომ დგახარ-მეთქი და... – აქ, ამ ადგილას ია იდგაო!

– რა საყვარლობაა! – ნანის თვალები აუკიაფდა. – და შენ არავინ გიყვარდა?

– რა ვიცი... ერთი გოგო იყო... სახელი არ მახსოვს... მომწონდა... საქანელაზეც ვაქანავებდი... მაგრამ იმ ჯუმბერივით მაინც არ ვყოფილვარ. არც მესმოდა, რატომ გიუდებოდა იმ იაზე... სულაც არ იყო ლამაზი... მე ასე მეჩვენებოდა.

– და შენ ვინც მოგწონდა, ის ლამაზი იყო?

– ახლა რომ ვიხსენებ, რა ვიცი, აბა... მაშინ მელამაზებოდა... რუსი იყო, თუმცა ქართულ ჯგუფში ვიყავით.

– ესე იგი, სლავური გარეგნობის გოგონები ბავშვობიდანვე გიზიდავენ? – გაელიმა გურამს.

– ქართველებიც მიზიდავენ!.. არაქართველებიც...

ლევანიკომ ცოტა მაინც შეჭამა. მერე სუფრიდან ადგა.

— ეს კი გულჩათხრობილია ვერაფერს ათქმევინებ. რომ მიკითხავს, ბაღში ვინ გიყვარს-მეტქი — შენ მიყვარხარო.

— სკოლაში როდის მიდის? ასწავლით რამეს, ასოებს, თვლას?

— თვლა კი არა, მიმატებაც იცის! — ნანიმ შვილს, რომელიც უკვე თავის სათამაშოებში იყო ჩაფლული, გასძახა: — ლევან, აბა, რამდენია ერთს მივუმატოთ ერთი?

— არც ერთი! — მოუჭრა ლევანმა.

— ჰმ! — გაეცინა თამაზს — ისე, სადღაც ეწერა, ნუ დააძალებთ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს მეცადინეობასო. ელენე კარგად სწავლობს? ისე, როგორი ცოცხალი გოგოა, როგორი დაკვირვებული მზერა აქვს... ძალიან ლამაზი ბავშვია. ლევანიკო სულ სხვა ტიპა-ჟია, მაგრამ მაინც ეტყობათ, რომ ახლო ნათესავები არიან.

— ელენემ კი, მაშინ რომ იყავით აქ, შენ და გურამი მიგამსგავსათ ერთმანეთს. რომ უუთხარი გარეგნულად სულ არ გვანან-მეტქი, — არა, შინაგანადო.

— გაიგე, გურამ, „мы с тобой одной крови“!

— „ხარი ხართან დააბი...“ ისე, ერთი სისხლის შენ და ნანი ხართ... „პირველი დადებითი...“ არ გახსოვს, რომ მშობიარობდა... შენი სისხლი რომ უნდა გადაესხათ?..

— აბა, ბიჭო, რა დღეში ვიყავით!.. იმდენი შოკოლადი რომ იყიდე დიდის ამბით!

— ფერი არ გედო შიშისგან, მაგრამ, სისხლი ჩქარა ამილეთო, იძახდი.

— კიდევ კარგი, ალარ გახდა საჭირო! და ის შოკოლადებიც მე დამრჩა — დაამატა ნანიმ. — არადა, პატარაობისას კი არ მიყვარდა... გულს მიმსუყებდა... უბრალოდ, ლალი რომ მიირთმევდა, სახეზე ის-ეთი ნეტარება ეხატებოდა... თან, უფროსი და, ხომ, იცი... მაშინ ყველაფერში ვბაძავდი... — ნანი ჩაფიქრდა — ერთადერთი, ლენინი არ შემყვარებია მისი წამხედურობით...

— რაა?.. ეს რა მესმის!.. ლალის, ამ რელიგიურ და ეკლესიურ ქალბატონს ლენინი უყვარდა?! ეგ არ ვიცოდი! — გაიკვირვა გურამმა.

– მესამე თუ მეოთხე კლასში, რუსულში რაღაც ლექსს თუ მოთხ-რობას სწავლობდა ლენინზე... მისი პორტრეტი რომ მიჩვენა, საერთოდ არ მომენტონა... ან რა მოსაწონი იყო... რა ეწერა მასზე იქ, არ მესმოდა...

– სინამდვილეში, ლალის ლენინი კი არა, ის მითი და იდეალური ადამიანის ხატი მოსწონდა, რომელსაც, უბრალოდ, ერქვა ლენინი – გაამართლა თამაზმა. – ახლა კი რელიგიური და ეკლესიური იდეალები აქავს. კარგია, ბავშვობაში იდეალი რომ ჰყავდა.

– ე, ეს ნახე!.. დიდი ხანია, რაც დაბრძენდი?!!.. აბა, მაშინ რა იყო, სტალინის გამო გორელებს რომ, კინალამ, მოაკვლევინე ჩვენი თავი!

– რაო?.. არ ვიცი!.. – დაინტერესდა ნანი – მოყევით, აბა!

– არაფერი... ადრე, სტუდენტობის დროს იყო... სულელი ვიყავი... ექსკურსიაზე... მოკლედ, სტალინის სადღეგრძელო დალია ვი-ღაცამ და ძალიან შეიცხადა ჩვენც რომ არ ავყევით.

– არ ავყევით კი არა, რომ გითხრა ორმოცდათექვსმეტ წელს სტალინის სახელის დასაცავად იმდენი ხალხი გამოვიდა და იმდენი დახვრიტესო, შენ უთხარი: ღირსები ყოფილან თუ მაგეთი დებილები იყვნენ!

– მართლა მასე უთხარი?!

– რა ვიცი, აბა! – დაირცხვინა თამაზმა – თავი რომ არ გამიხ-ეთქეს, გურამის დამსახურებაა.

– მე ვერ გიშველიდი... კიდევ კარგი, დროზე გაგვაშველეს...

– სხვათა შორის, იმ ტიპმა, ყველაზე მეტად რომ აქტიურობდა, მა-ნამდე რაღაც იდიოტური ამბავი მოყვა: ვიღაც კაცმა თავის სარდაფ-ში შვიდი ოქროს მონეტა იპოვაო... მილიციაში განაცხადა, ოლონდ, ვითომ ოთხი მონეტა იპოვაო. მაგრამ მილიციამ რაღაცნაირად დაად-გინა, რომ ოთხზე მეტი იყოო... დაუწყეს ცემა და წამება და ის სა-მი მონეტაც მოატანინესო... მერე კიდევ ურტყამდნენ, კიდევ იქნე-ბოდაო... თან, ისეთი ამაზრზენი ხითხითით ყვებოდა!.. იმ კაცს კი არ თანაუგრძნობდა, კი არ ეცოდებოდა!

– ჰმ! – ჩაფიქრდა ნანი. მერე ლიმილით დაამატა – ესე იგი, თუ ოქროს მონეტებს ვიპოვით, მილიციას არ უნდა ვაცნობოთ!

– ისე, ვაღიარებ, რომ საბჭოთა კავშირი მარტო სტალინის ეპოქა არ არის... რომ ახლა მაინც სხვა დროა... რამაზი მეუბნებოდა ამას წინათ: თამარ მეფის დროინდელ ვინძე ქართველს რომ ვენახეთ 70-იან ან ახლა, 80-იან წლებში, გვეტყოდა, ოქროს საუკუნეში თქვენ ცხოვრობთ, ღმერთებივით ხართო!.. არავინ არავის ყმა და მონა არ არისო!.. მაშინ, იმ „ოქროს საუკუნეში“, არც მანქანები ენახათ, არც ტელევიზორი... საერთოდ ელექტრობა არ იყო... სახლში აბაზანა და ტუალეტიც არ ჰქონდათ...

– ეგ რა შედარებაა!.. – შეიცხადა ნანიმ – მასე ამერიკას და ევროპას შეედარე-თქო!.. ეგ ის რამაზია, პარტიაში რომ შევიდა?

– ჰო – დაუდასტურა თამაზმა. – ეგ არის იმ სულელური ლექსის ავტორიც და ერთ-ერთი პერსონაჟიც... არ გახსოვს? –

აგერ მოდის „კამაზი“, მაქნქანაა ლამაზი...

საჭეს უზის თამაზი, გვერდითაა რამაზი...

– მახსოვს... დებილობაა... მასე, ჩემო რამაზ...

– რამაზი არა ვარ, თამაზი ვარ!

– თამაზი, რამაზი... ერთ ასოს არ გაპატიებენ!

– ასოს გააჩნია! – თითო ასწია თამაზმა. – რას მეუბნებოდი?

– ჰო, ელენეს კლასში გადმოსულა ერთი გოგო, გვარად წინილაშვილი... და ელენემ რომ გაიგო მისი გვარი, თურმე, ეგრევე შეთხზა:

ცოლად მამალაძემ შეირთო ქათამაძე.

შეეძინათ შვილი – წინილაშვილი.

– ჰმ! – გაეცინა თამაზს. – და, ისე, საინტერესოა, ბავშვის გაჩენაზე რამე იციან მესამე კლასში? როგორ ჩნდებოდა ბავშვი, მე მეხუთე კლასში გავიგე. ჯერ, მეორე კლასში ვიყავი, როცა ერთმა თანაკლასელმა ამიხსნა ქართული, მამაპაპური გინების შინაარსი. ჩვენში „სექსუალური აღზრდა“, ხომ, ქართული გინების მოსმენით იწყება,

სამწუხაროდ!.. ჰოდა, არა თუ არ მომხილა და მადის აღმძვრელად არ მეჩვენა, საერთოდ უაზრობად მივიჩნიე... ვუთხარი, რა სისულე-ლეა, მაგეთი რამ, ხომ, შეუძლებელია მოხდეს-მეთქი! – არა, ერთხელ სადღაც მართლა მომხდარაო!

– ერთხელ მომხდარაო, არა! – ელიმება გურამს.

– და მერეც, მეხუთე კლასშიც, რომ გავიგე მეშვიდე კლასელები-სგან, რის შედეგად ჩნდებიან ბავშვები, მასშიც, მაშინაც დიდი სტრესი იყო... ერთმა ჩემმა კლასელმა კი წამოიძახა: ესე იგი, ჩვენ ყველანი დედამოტყუნულები ვართო?!

– არა უშავს – ეცინება ნანის.

– თუმცა, საკმაოდ მაღე გამოვედი სტრესიდან, დიდხანს არ გაგრძელებულა.

ცოტა ხნის შემდეგ ლევანიკომ ისევ ააჭრიალა ველოსიპედის დაუზეთავი თვლები.

– ნანი უთხარი რამე!

– ისე, რომ დაუზეთავდე, არაფერი მოგივა! ეგ კი არა, ჭერია გა-საკეთებელი! რამდენი ხანია, ასე ჩამოგვდის წყალი!

თამაზმა ჭერს ახედა:

– რატომ ჩამოდის?

– კრამიტებია გაფუჭებული... ასვლა უნდა და ქილებიდან წყლის გადასხმა... ცოტა ხნით უშველიდა.

– ისე, რა ძველი სახლია, არა?

– უუჰ, ნიკოლოზის დროინდელი! – ხელი აიქნია ნანიმ.

– ამ სახლის ძველი პატრონი ჯერ კიდევ, წითლები რომ შემოვ-იდნენ, მაშინ გაიქცა... ხომ მომიყოლია?..

– საერთოდ დასანგრევია.

– როდის უნდა მიიღოთ ბინა?

– რა ვიცი, რიგში კი ვდგავართ, მაგრამ როდის მოგვიწევს, ღმერთ-მა უწყის! ჩვენი მეზობლები რომ იყვნენ, უკვე ორი წელია, რაც გა-დავიდნენ. – მერე გურამზე მიუთითა: – ამას რომ კითხო, მენანება ამ სახლიდან წასვლა, მიყვარსო! მეც მიყვარს, მაგრამ ერთ მშვენი-

ერ დღეს სანამ არ ჩამოგვენგრევა ჭერი და არ მოვყვებით ქვეშ, იმას, ხომ არ მოვუცდით?! ნახე, როგორ ჩამოიწია კიდევ!

— ისე, ჯობს, შენ თვითონ ჩამოანგრიო და მერე ბიაზი გააკრა. თან, კრამიტებსაც მიხედავ. გესმის, გურამ? იშოვე ბიაზი, მეც მოვალ ერთ დღეს და გავაკეთოთ.

— სად ვიშოვო მერე? — საქმისგან თავის არიდება მოინდომა გურამმა.

— ამას, ხომ, ხელს ვერ გაანძრევინებ... სახლისთვის რომ რამე გააკეთოს, არ შეუძლია!

— ონკანი ვინ გააკეთა!?

— მერე არ უნდა გაგეკეთებინა?! მთელი თვე ვწვალობდი მაგის გამო!

— ჰო, კაი — უკან დაიხია გურამმა.

— ისე, — წამოიწყო თამაზმა — მაშინ, შენ კი არ გესიამოვნა, მაგრამ ერთი მაგარი რამე კი გითხრა ლალიმ... მეც შიგ კაკალ გულში მომხვდა!

— რას გულისხმობ?

— დაახლოებით ასეთი რამ თქვა: ქრისტიანობა უკვე არსებობს და ეს ფილოსოფოსები რაღას ეძებენო!.. — და, რაც მთავარია, ასე თქვა: — ზრდასრული ადამიანი ჭეშმარიტებას კი არ უნდა ეძებდეს, ჭეშმარიტებაში უნდა იდგეს და იქიდან მოქმედებდესო!.. უკვე ჭეშმარიტებაში მყოფი უნდა ცხოვრობდესო!

— და ამისთვის ეკლესიაში უნდა იაროს, ილოცოს, იმარხულოს და ეზიარებოდესო, არა?!.. კი, ბატონო, „ჭეშმარიტებაში მყოფობას“ რაც ეხება, ვეთანხმები... მაგრამ სხვა მხრივ... მაინც საკამათოა.

— ჰოდა, სწორედ ეგ არის, რომ კამათში კი არ არის ცხოვრების აზრი, მართებულ ცხოვრებაშია!

— და არ უნდა გაერკვე, რა არის მართებული ცხოვრება, არა?!

— უი, რა გამახსენდა — შეაწყვეტინა ნანიმ. — ელენეს სასკოლო დავალებაში იყო, რატომღაც, ასეთი კითხვა: „რისთვის გავჩინდით?“ თუ „რისთვის ვცხოვრობთ?“ და რა დაწერა ელენემ, იცი? — ადრე

არ მიფიქრია ამაზე, მაგრამ, მე მგონი, იმისთვის გავჩნდით, რომ სი-  
ცოცხლე გავზარდოთო. – მაგარია, არა!

– ძალიან მაგარია!.. ხომ ვამბობ, გენიოსია ეგ ბავშვი!.. კიდევ რამე  
სიბრძნე ხომ არ უთქვამს?

– რა ვიცი... – ნანი დაფიქრდა. – ლალიმ მითხრა: „მამაო, ჩვენო“-ს  
ვუხსნიდი, ღმერთი „ცათა შინა“ ანუ ცაშია-მეთქი და ელენემ ხელე-  
ბი გაშალა, ფრთხებივით იქნევდა და იძახდა: „აქ არის, აქ არის“-ო!

– კაროჩე!.. მე აღფრთოვანებული ვარ! მაგ ბავშვის ამბები უნ-  
და ჩაიწეროთ!

– ჰოდა, დაწერე, მწერალი შენ ხარ!.. მართლა, არაფერს აღარ  
წერ?

– მაგისთვის არც სათანადო ტალანტი მაქვს და არც ენერგია...  
არც სტიმული!..

– მეც და გურამსაც ძალიან მოგვწონდა, რაც დაგიწერია! არა,  
გურამ?!

– თუ ძალიან გარყვნილი არა ხარ, მოგეწონება!.. უბრალოდ, არ-  
იან რომ არაფერი იზიდავთ, თუ რამე ბინძური ინტრიგა არ არის...  
და კიდევ, რამდენიმე ტრუპი... სვავებივით არიან!.. და არც არის  
აუცილებელი ყველას აინტერესებდეს და მოსწონდეს!.. მე, რომც არ  
გიცნობდე, მაინც მომეწონებოდა.

– მეც! და მაინც ინტერესების და გემოვნების ამბავი როა, ეგ  
ყველთვის ყველაფერში მასე არ არის?! შენს ნაწარმოებებში, უფ-  
რო აზრი და იდეებია წამყვანი... უფრო ინტელექტუალური ემო-  
ციაა... და კიდევ, ვიტყდი, რომ “პური” უფროა, ვიდრე “ნამცხვარი”,  
ხომ, გესმის!

– მაგრამ არც სიხალისე და თავშესაქცევობა აკლია... არც ორიგ-  
ინალურობა!

მერე თამაზის ნაწერები გაიხსენეს, ვის რომელი უფრო მეტად  
მოსწონდა.

– ჰო, მაგრამ, მაინც ვერ ვიტყოდი, რომ მწერალი ვარ... უბრალ-  
ოდ, ჩემ ჭიას ვახარებდი – დასძინა ბოლოს თამაზმა. – ისე, თქვენ

რას გააკეთებდით, რითი დაკავდებოდით “საკუთარი ჭიის გახარების” პონტეში?.. ჰა, ნანი?

- ჰმ!.. – დაფიქრდა ნანი. – ვიცეკვებდი.
- ქართულ ცეკვებს?
- ქართულ ცეკვებსაც და ფლამენკოსაც!
- საინტერესოა... მოგიხდებოდა, ხომ იცი! – გაიღიმა თამაზმა.
- გურამი, ალბათ, ფეხბურთს ითამაშებდა... ძალიან მაგარი იყო. მახსოვს, რომ თამაშობდი, რომ გიყურებდი, ღმერთივით იყავი!.. მართლა!.. ან მეფესავით, ბრძოლის ველზე!
  - სხვათა შორის, ახლა იწყება მაგარი ფეხბურთი. – გურამი ტელევიზორის ჩასართავად წამოდგა. – „სპარტაკი“ და „დინამო“ კიევი. – სკამი ტელევიზორთან ახლოს მიაჩოჩა.
  - კიდევ ფეხბურთია?! გამორთე ახლავე! – ნანი ტელევიზორის გამოსართავად წამოდგა.
  - რა უნდა გამორთო! – ცოცხალი კედელივით აღიმართა მის წინ გურამი. – აყურებინე თამაზს?
    - შენც ამის ჭკუისა ხარ?!
    - ეგ არ მაინტერესებს, მარტო ჩვენს „დინამოს“ ვუყურებ, ხოლმე. მე წაგალ, უკვე გვიანია.
  - დაიცა, ხვალ შაბათია... უყურე ერთ ტამის და მერე წადი, კარგი თამაშია!
  - სულ შენი ფეხბურთის ბრალია!
  - არა, უკვე გვიანია, როდის მივალ სახლში! – თამაზი ქალაქის განაპირა რაიონში ცხოვრობდა.
- ნანი და გურამი გასაცილებლად წამოდგნენ.
- ძალიან კარგი იყო თქვენთან – თქვა თამაზმა.
- როგორც ხედავთ, ღვინის სმის გარეშეც შეიძლება დროის გატარება – აღნიშნა ნანიმ.
- თქვენთან რომ ვარ, ის ვარ, რაც ვარ!.. თუმცა, არ ვიცი, რა ვარ!
- რაც ხარ, მაგარი ხარ... და კარგი ხარ – თქვა ნანიმ.
- ჰმ!.. აბა, კარგად!

თამაზი წავიდა. გურამი ისევ ტელევიზორს მიუჯდა. ნანი სუფრის ალაგებას შეუდგა. მერე ლევანიკო წაიყვანა დასაძინებლად.

მეორე ტაიმი მიმდინარეობდა. ნანი საძინებელი ოთახიდან გამოვიდა.

– გურამ, ბავშვს ფეხსაცმელი აქვს საყიდელი. გესმის?!

გურამი უსიამოვნოდ შეიშმუშნა.

– ავიღებ ხელფასს და...

– ის ფული რა უყავი, გადადებული რომ გვქონდა?

– რა და, გადასახადები გადავიხადე.

– იმდენი დახარჯე?

– ათი მანეთი მიშკამ მთხოვა, მასესხეო, და მივეცი.

– სულ აღარ დაგვრჩა ფული?!

– ათი მანეთი კიდევ არის. ორშაბათს ხელფასია.

ნანი გურამის უკან ჩამოჯდა ტახტზე, ხელები კისერზე მოხვია და ნიკაპით მხარზე დაეყრდნო.

– ფული იმისთვის არის საჭირო, რომ ფულის პრობლემა არ გქონდეს! – ტელევიზორის ეკრანს მიაშტერდა, შეეცადა გაერკვია, რა მოსწონდა ასეთი გურამს ფეხბურთში. ცოტა ხანს უყურა, მაგრამ ვერაფერი მოსაწონი ვერ აღმოაჩინა.

წვიმა კი არ აპირებდა გადაღებას. პირიქით, უფრო უმატა და გაფუჭებული ჭერიდან წვეთებმა უფრო ინტენსიურად იწყეს ჩამოსვლა. მათი ვარდნის ხმა იატაკზე დადგმულ თითქმის პირთამდე სავსე თასში სულ უფრო მოკლე ინტერვალებით ისმოდა.

– როდის უნდა გააკეთო ჭერი?

– დაიცა რა, ნანი!

– რა „დაიცა“, ჩამოინგრევა და მოვყვებით რომელიმე!.. ადი ახლავე! – ჩქმეტა და ღიტინი დაუწყო.

გურამი იგრიხებოდა, მაგრამ ტელევიზორს თვალს მაინც არ აშორებდა.

– დაიცა რა... ბავშვს გაეღვიძება!.. ავალ, ავალ... დამთავრდება ფეხბურთი და ავალ!

— ერთი არ ასულხარ! — ნანი საწოლ ოთახში გავიდა.

მალე ფეხბურთიც დამთავრდა. გურამი წამოდგა, წელში გაიმართა. მერე ჭერს ახედა, საიდანაც ისევ წვეთავდა. წყლებს მაინც გადავაქცევ ქილებიდანო — გაიფიქრა. ფანარი აიღო და გარეთ გავიდა. ეზოში ხეზე მიბმული კიბე მოხსნა და სახლს მიაყუდა. სხვენზე ავიდა. ორ კრამიტს შორის ღრეჭო გაჩენილიყო და ქილა მის ქვეშ მალე ივსებოდა წვიმით. ამ ღრეჭოს ამოსავსებად გურამმა გადაწყვიტა რამე ფიცარი ეპოვა.

ფანრის შუქზე ათასგვარი ნივთი ჩნდებოდა: ველოსიპედის ნაწილები, დამტვრეული სკამები... ერთ კუთხეში აბლაბუდის ქსელში გახვეული ყუთი აღმოჩნდა. გურამმა სკამის ფეხით ძლივს გამოაჩინა, უნდოდა მისი ერთი გვერდი გამოეყენებინა. ყუთი გადმოაპირქვავა. მტკრიან ნაჭრებს მონითალო ფერის ქილაც გადმოყვა. შიგ რაღაც დახვეული მოჩანდა. ისიც ამოიღო და ფანრის შუქზე გაშალა. გაყვითლებულ ქაღალდზე მოზრდილი ასოებით ეწერა: „განძის ადგილი“. ქვემოთ კი გეგმა იყო მოცემული. გურამი რაღაც წამების განმავლობაში გაკვირვებული დაჰყურებდა ქაღალდს. მერე სიხარულის-გან სახე აუთროთოლდა.

წვიმამ იკლო. ბოლოს სულ გადაიღო.

გურამი ოთახში მაგიდასთან იჯდა. წინ გეგმა ედო, თავში კი ფიქრები ერთმანეთში ირეოდა: „მაინც, საიდან გაჩინდა?.. ნუთუ, სახლის ძველი პატრონისაა?.. ნანის არ ვეტყვი, იქნებ, ტყუილი გამოდგეს... მაგრამ... ნეტავ, რა განძია?..“

საწოლი ოთახიდან ნაბიჯების ხმა მოისმა. გურამმა გეგმას გაზეთი გადააფარა.

— რას შვრები ამდენ ხანს, არ იძინებ? — ნანიმ ჭერს ახედა. წყალი აღარ ჩამოდიოდა.

ახალი გათენებული იყო, როცა ლევანიკომ თვალები გაახილა. საწოლიდან გადმოფოფხდა და ფეხშიშველამ ტყაპა-ტყუპით მიირბინა გურამთან. ლოყაზე ხელი მოუთათუნა:

- ზოოპარკში არ მივდივართ?
- გურამი შეიშმუშნა:
- დედაშენთან მიდი.
- ლევანი ახლა ნანისთან მიცუნცულდა.
- ხომ იცი, მე და შენ მივდივართ ელენესთან და მერე ზოოპარკში. ჯერ ავდგებით და ვისაუზებთ.

რომ წავიდნენ, გურამი მაშინვე შეუდგა მოქმედებას. გეგმა აიღო და სახლიდან გავიდა. მათი სახლი მიბჯენილი იყო გორაკს, რომელზეც ერთი დიდი ფიჭვი იდგა. გურამი ამ ფიჭვთან მივიდა და შეათვალიერა. მერე გეგმა გაშალა. სამი ნაბიჯი გადაზომა რაღაც მიმართულებით და ადგილი მონიშნა. შემდეგ სარდაფიდან ნიჩაბი და წერაქვი აიღო და უკანვე გამობრუნდა. მონიშნულ ადგილზე შეუდგა თხრას. საკმაოდ მოუხერხებლად მუშაობდა, წერაქვი რამდენჯერმე კინაღამ ფეხში ჩაირტყა. ნახევარი მეტრიც არ ექნებოდა ამოთხრილი. მაგარ გრუნტს კიდევ დაჰკრა. მიწა დაბლა ჩაიყარა. გურამი გაწვა და ჩაიხედა. ქვევით გვირაბი გადიოდა. ეტყობა, ჯერჯერობით, ყველაფერი გეგმას ემთხვეოდა და გურამს სახე გაუბრნებდა. შიგ ჩაძვრა. გვირაბში მოხრილი კაცი ადვილად იმოძრავებდა. ერთგან მოსახვევი იყო, მერე კიდევ ერთი მოსახვევი. აქ კედლებიდან მიწა ჩამოწოლილიყო და გზა გადაეხერგა. გურამმა კვლავ გაშალა გეგმა ფანრის შუქზე. ისევ დაკეცა, შეინახა. ნიჩაბი აიღო და გზის გაკვალვას შეუდგა. ერთ ხანს კიდევ იმუშავა, მერე ტანსაცმელი გაიფერთხა, ნიჩაბი და წერაქვი იქვე დატოვა და სახლისკენ გასწია.

**მალე ნანიც დაბრუნდა.**

- რა მტვერი გაყრია? დასაბანი გაქვს თავი... ისევ სახურავზე იყავი?
- ბავშვი სად არის?
- ლალისთან დავტოვე. სახლი მინდა დავალაგო-მეთქი.

გურამი სააბაზანოდან გამოვიდა.

ნანის რაღაც მოწითალო ჩვარი გრძელ ჯოხზე წამოეცვა და სკამზე შემდგარი ცდილობდა ჭალი გაეწინდა.

— დელაკრუას „თავისუფლებას“ გავხარ! — ღიმილით შენიშნა გურამმა.

— ჰმ!.. ჯობია ეს „ბარიკადა“ დამიქირო! — სკამზე მიუთითა ნანიმ.

— მირჩევნია, შენ დაგიჭირო! — გურამის ესთეტური მზერა თანდათან ვწეპიან მზერად იქცა. მიუახლოვდა, ხელები დუნდულებზე მოხვია და ნანის მოღელილ მკერდს დაეწაფა.

— სახლი მაქვს დასალაგებელი!

— მოიცდის. — მერე, ხელში ატაცებული, როგორც ნადავლი წაიყვანა სახლო ითახისკენ.

ჩვარწამოცმულმა ჯოხმა იატაკზე ზღართანი გაადინა.

მეორე დღეს, როცა ნანი და ლევანიკო ნანის დასთან წავიდნენ, გურამი საქმეს შეუდგა. ფანარი და გეგმა აიღო და გვირაბში ჩაძვრა. ჩახერგილ გზას კვალავდა. ნელა მიიწევდა წინ. წერაქვს ტარი გაუტყდა, გაბზარული ყოფილიყო. ნიჩაბს შედარებით უკეთესად ხმარობდა, თუმცა, ხელისგულებზე წყლულები გაუჩნდა. დაიღალა, ოფლში გაიწურა. გვირაბიდან ამოძვრა, სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. ცხვირსახოცი ამოილო და ოფლიანი სახე შეიმშრალა.

„ტყუილი რომ გამოდგეს, ნამდვილად გავაფრენ!.. არა, მგონი, ნამდვილად უნდა იყოს რაღაც... ერთხელ მაინც არ უნდა გამიმართლოს რამეში?! — ცხვირსახოცი შუბლიდან ლოყაზე და შემდეგ ნიკაპზე ჩამოისვა და ცას ახედა. ცა მის თავზე მოწმენდილი იყო, მაგრამ აღმოსავლეთით შავი ღრუბლები მოჩანდა. ისინი თანდათან მოიწევდნენ.  
— კიდევ უნდა იწვიმოს?!“ — გაიფიქრა და გვირაბში ჩაძვრა.

ბოლოს, როგორც იქნა, გაკვალა გზა.

წინ კედელი იყო. ნიჩაბის მჭრელი პირი დაარტყა რამდენჯერმე. მინა ჩამოიყარა და აგურები გამოჩნდა. გურამმა ჩაიჩოქა, ფანარი ახლოს მონია და გეგმა გაშალა. შემდეგ იმაზე დაიწყო ფიქრი, რა მოეხერხებინა ამ კედლისთვის. ნიჩბით ვერაფერს გახდებოდა, წერაქვი

გატეხილი იყო. ისევ სარდაფს მიაშურა, იქნებ ძალაყინი ვნახოო. ძალაყინი არა, მაგრამ ერთი დიდი ურო კი აღმოაჩინა იქ. ისევ გვირაბში ჩაძვრა და ურო აგურის კედელთან მიათრია. ქოშინებდა. ჩაჯდა და ზურგით გვირაბის კედელს მიეყრდნო. ლელავდა. წარმოიდგინა, როგორ გაანგრევდა კედელს და როგორ იპოვიდა ძვირფას განძს.

ცოტა ხანს კიდევ იჯდა. ბოლოს წამოიწია, ურო აიღო, მოიქნია და კედელზე დაუშვა. აგურები ცოტათი შეიწია. ცოტაც და სულ შეინგრეოდა. გურამზა კვლავ მოიქნია, მთელი ძალით დაჰკრა და დარტყმას ტანიც მიახმარა. კედელი გადაიქცა და გურამი თავის ურიოანად გადაჰყვა თან. პირქვე დაეცა აგურის ნატეხებზე. მკერდში ტკივილი იგრძნო. ლოყაც აეწვა. ადგომა სცადა და წამოიწია. მტვერი იდგა და ჯერ ვერაფერს ხედავდა. ნელ-ნელა წამოდგა, თან, რატომლაც, უროსაც არ უშვებდა მარცხენა ხელს. მკლავი ცოტათი გადაეტყავებინა.

მტვერი თანდათან გაიფანტა. გურამი ჯერ აზრზე ვერ მოვიდა. მრგვალი მაგიდა, სკამები... ტელევიზორი... ბავშვის ნახატები კედელზე... თანდათან გამოერკვა და ახლადა შეამჩნია ტახტზე ამძვრალი და შიშისაგან კედელზე ატუზული ცოლი, რომელსაც თავისთან მიეკრა ლევანიკო... .

მერე ნანი ტახტიდან ჩამოვიდა და გურამთან მიიჭრა. გულში ჩაეკრა.

გურამი ხმას არ იღებდა. იდგა მტვრით და მიწით ამოგანგლული, მკლავგადატყაული და ლოყაგაკანწრული... ცალი ხელით უროს ტარს დაყრდნობოდა, მეორე ნანის მხარზე ედო...

(ვისაც სურს, შეუძლია აქ დაასრულოს მოთხობა!)

უცებ, ჭერის კუთხე ჩამოიწია და გაჯის ნამტვრევებთან ერთად კიდევ რაღაც ჩამოვარდა... ძირს მძიმედ დაეცა...

იქით გაიხედეს... მომცრო ზომის ძველებური ზარდახშა იყო...

\* \* \*

გარემონტებული ოთახი.

მაგიდას უსხედან: გურამი, ნანი, ლევანიკო და თამაზი.

ნანი ტორტს ჭრის და ყველას უნაწილებს. მერე უოლოსმურაბიან ჩაის წრუპავს და სიამოვნებისგან თვალებს ნაბავს:

— მმმ!..

— შეწყვიტე კრუტუნი და დამისხი ჩაი! — ეუბნება გურამი.

— ჰმ, „შეწყვიტე კრუტუნი და დამისხი ჩაი!“ მაგარია! — ეცინება თამაზს. მერე ლევანიკოს მიმართავს: — სკოლა დაგეწყო, არა? დავალებებს გაძლევენ უკვე?

— არა.

— და რას შვრებით, ხოლმე, გაკვეთილებზე?

— ზოგჯერ ვხატავთ... ზოგჯერ ზღაპრებს ვყვებით...

— დღეს მოყევით რამე?

— კი.

— აბა, რა?

ლევანიკო ბორძიკით იწყებს მოყოლას:

— კაცი დაინახავს, რომ ხეს ცეცხლი უკიდია... ხეზე გველია და შეიძლება დაიწვას. კაცი უშველის, გველი კი ყელზე შემოეხვევა და კბენას დაუპირებს.

— დამპალი!.. მერე?

— ეს, ხომ, უსამართლობაა, მე ხომ გადაგარჩინე, რატომ მექცევი ასეო?

რას იზამ, ქვეყანაც უსამართლოა, ვისაც გინდა ვკითხოთო.

გამოიარა ძალმა და იმას კითხეს.

ჩემს პატრონს ყოველთვის ერთგულად ვემსახურებოდი, მაგრამ ახლა დავბერდი, სანადიროდ ვედარ ვადგები და თავიდან მომიშორაო. უსამართლოა ეს ქვეყანა, აბა, რაო.

მერე ვირმა გამოიარა და იმანაც მსგავსი რამ მოყვა... თან დაა-მატა: რა თქმა უნდა, უსამართლოა ცხოვრებაო.

კაცმა გველს სთხოვა, კიდევ ერთ ვინმეს ვკითხოთო.

გამოიარა მელიამ და მასაც კითხეს. მელამ შეხედა მათ და ცოტა ხნით დაფიქრდა... მერე გველს უთხრა: ცუდად მესმის, მოდი, ყურში მითხარი, რომ კარგად გავიგოო.

როცა გველი კაცს მოშორდა და მელიასთან მიხობდა, ამ დროს მელამ უცებ პირი სტაცა ყელში და დაახრჩო. ასე გადაარჩინა კაცი – დაამთავრა თხრობა ლევანიკომ.

– ყოჩალ, ძალიან კარგად მოყევი, ხომ იცი!

– სინამდვილეში, მაგ ზღაპარს გაგრძელება აქვს – ამბობს გურამი, თან ტორტს ჩაის აყოლებს – ის კაცი დახედავს მელიას, კარგი ბეწვი აქვსო... ცოლს გავახარებო... მოკლავს და ტყავს გააძრობს!

– საშინელებაა! – თან ეცინება, თან ალშორთებას არ მალავს თამაზი.

– მაგრამ არც ეგ არის დასასრული, არც მასე არ მთავრდება ეგ ზღაპარი – ამბობს ნანი და ელიმება, როცა თამაზის და გურამის სახეებს უყურებს. მერე განაგრძობს: – როცა კაცი მელიის ფაფუკებენვიან ქურქს მხარზე გადაიგდებს, ამ დროს გამოფხიზლდება და ხედავს, რომ გველი ისევ მის ყელზეა შემოხვეული, იქვე კი მის წინ მელიაზის და ეშმაკურად შესცეკრის! – მერე დაამატა: – რა გინდა, სავსებით თანამედროვე დასასრულია!



## ბავშვებზე

(და არა მარტო)

ვერ ვიტყვი, ერთი შვილი უფრო მეტად მიყვარს-მეთქი, ვიდრე მეორე, მაგრამ თითოეულისადმი სიყვარული მაინც გამორჩეული და განუმეორებელია იმით, რომ თითოეულის ინდივიდუალური პიროვნებით არის, თითქოს, შეფერილი.

### ნინო


— მე რომ მოვკვდები — განაცხადა ერთხელ პატარა ნინომ — ლა-მაზ კაბად გადავიქცევი და გავფრინდები.

ერთხელაც ვკითხე, დაბადებამდე სად იყავი-მეთქი. ცოტა ხნით დაფიქრდა და: ზღვის თავზე დავფრინავდიო. — მაშინ ის სამი-ოთხი წლის თუ იქნებოდა.

უფრო პატარა რომ იყო, ასე, ორიოდე წლის, ხუჭუჭი, ღია ფერის თმა ჰქონდა. არც ბაფთას, არც თმის სამაგრს არ იკეთებდა. რუსულ ტაძართან ახლოს ვსეირობდით. ნინოს ბამბის ნაცრისფერი სვიტ-ერი და შარვალი ეცვა. ტაძრიდან ორი მოხუცი ქალი გამოვიდა. ნინოს დანახვაზე ალფროვანდნენ:

— Какой чудный ребенок! — молял ерш са ერთი. — А ты мальчик или девочка?

— Ангел в отпуске! — молял მეორემ.



ნინო (3 წლის)

## გიო

ანგელოზივით სულაც არ ექცეოდა უკვე ხუთი წლის ნინო მასზე ორი წლით უმცროს ძმას – გიოს, არც ეს უკანასკნელი უთმობდა, ხოლმე. ხშირად მოსდიოდათ ჩხუბი.

ერთხელ, ატირებულმა მოირბინა გიომ და შემომჩივლა: ნინომ დამარტყა და ძალიან მატკინაო.

- და მე რა ვქნა, ვცემო?
- არა! – თავი გააქნია გიომ. თან, ცრემლებს იწმენდდა.
- რატომ? აბა, რომ დაგარტყა და ასე გატკინა?!  
– მაინც!

რომ იცოდეთ, რა საოცარი და დამაფიქრებელია ეს „მაინც“!

\* \* \*

გიო მაშინ სამი წლის იყო. ბაღში ვასეირნებდი. მტრედი დაინახა და იქით გაიქცა. პატარა, მწვანე ფერდობზე მირბოდა. უცებ ფეხი დაუცდა და ძირს დაენარცხა.

- მივვარდი, წამოვაყენე, ხომ არაფერი იტკინე-მეთქი.
- არა – საყვარლად გამიღიმა – ბალახი მომეფერა!

\* \* \*

ბავშვები ჭირვეულობდნენ, დაძინება არ უნდოდათ. დავემუქრე, ღამლამბით დიდი ფრინველი დაფრინავს, დიდი ნისკარტი, დიდი თვალები, შავი, თეთრი და ნაცრისფერი ბუმბული აქვს, ფანჯრებში იყურება და თუ ვინმე ბავშვს არ სძინავს, იტაცებს-მეთქი.

მაგრამ მერე გიოს სახეს რომ შევხედე, ძალიან ვინანე. ისიც გა-მახსენდა, როგორ დაფრთხა ერთხელ ღამით, უნივერსიტეტის ბალი-დან რომ არ მომყვებოდა და ვუთხარი, ამ ძეგლებს ხომ ხედავ, ღამის თორმეტ საათზე გადმოდიან და ბაღში წინ და უკან სიარულს იწყებენ, წავიდეთ, თორემ საშინელი სანახავია-მეთქი.

ახლაც მაშინდელივით შეშინებული იყო.

– ნუ გეშინია, გაგეხუმრე, მართლა კი არ არსებობს ის ფრინველი! – შევეცადე დამემშვიდებინა.

იცით, რა მითხრა? – არა, მანამდე არ არსებობდა, მაგრამ, რომ მოყევი, ეხლა არსებობსო!

\* \* \*

ეს ის დრო იყო, როცა საქართველო ენერგეტიკულ (და არა მარტო ენერგეტიკულ) კრიზის მოეცვა. დენი მხოლოდ სალამორობით თუ ირთვებოდა ბინებში... თანაც, ხან ჩართავდნენ, ხან გამორთავდნენ. მთელი ოჯახი ერთ ოთახში ვიყავით შეცუშული. მე მაგიდას ვუჯექი და სანთლის ალს მივწერებოდი. ბავშვები მაინც ახერხებდნენ თამაშს, მაგრამ შიგადაშიგ წუწუნით შემომჩივლებდნენ, ხოლმე, შუქი როდის მოვაო. მეც გავეხუმრე: უთხარით მოვიდეს-მეთქი.

პატარა გიოს რჩევა ჭკუაში დაუჯდა და შესძახა:

– შუქო, მოდი!

მაგრამ შუქი არ მოდიოდა.

– შუქო, მოდი! – უფრო დაჟინებით, თან ფეხების ბაკუნით მოითხოვდა გიო.

შუქი მაინც არ მოდიოდა.

– უფალო, მოვიდეს შუქი!

სიჩუმე ჩამოვარდა. ბავშვი მომლოდინე თვალბით, გაუნძრევლად იდგა.

შუქი არ მოდიოდა.

„ნეტავ, რას იზამს?“ – ცოტა არ იყოს, დავიძაბე.

– უფალია შუქი – წყნარად თქვა გიომ.

## სანდრო

სანდრომ ნახატებიანი წიგნი გადამიშალა:

– ნახე, როგორი კურდლელია!

– ეს, ხომ, ძალლია! – კრიტიკულად გადავხედე.

მან კი სულ ადვილად შეარიგა წინააღმდეგობა, და ცხოველის ახ-ალი სახეობაც გამოიგონა:

– ჰო, „კურდლელი-ძალლია“! – თანაგრძნობით შემომხედა.

\* \* \*

სანდრო აივანზე იდგა და, თქვენ წარმოიდგინეთ, იფურთხებოდა! ნინომ დიდაქტიკური ტრინით მიმართა:

- სანდრო, აბა, თუ იცი, რა არის უზრდელობა?
- ხეების მოჭრა, ბალახის მოგლეჯა, ფოთლების და ყვავილების მოწყვეტა, – უპასუხა სანდრომ.
- და, ფურთხება არ არის უზრდელობა?!
- არა.
- რატომ? – დაეკითხა ნინო.
- იმიტომ, რომ აქლემებიც იფურთხებიან. – მას ძალიან უყვარს ცხოველები.

\* \* \*

სუფრას ვუსხედით. ცოლი ნამცხვარს პატარა ნაჭრებად ანაწილებდა – ყველას რომ რგებოდა.

- რატომ ბევრი არ იყიდეთ – წაიბუზღუნა გიომ.
- ვა, ბევრს ბევრი ფული უნდა – მიუგო ნინომ.
- ეე, წეტავი ბევრი ფული გვქონოდა!... ას ნამცხვარს ვიყიდიდით!
- მასე, მარტო ნამცხვარს კი არა, ბევრ გემრიელ საჭმელსაც... და ბევრ ნაყინსაც ვიყიდდით... დიდ ველოსიპედსაც!
- ხო, მართლა!... რა კარგი იქნებოდა, არა! – სახე გაუბრწყიდდა გიოს. მერე მე მომიბრუნდა: – ხომ, გვიყიდიდი?

მეც რა მენაღვლებოდა, ვუპასუხე:

- აბა, რა! ბევრი ფული რომ გვქონდეს, ველოსიპედებსაც გიყიდიდით და უცხოურ ავტომანქანებსაც... თუნდ, ვერტმფრენებსაც.
- აუ, რა მაგარი იქნებოდა! – გამხიარულდნენ ნინო და გიო.

სანდრო კი ხმას არ იღებდა და სერიოზული სახით შეექცეოდა


ნამცხვარს. არც პატარა ნიკოლოზი ამბობდა რამეს, ჯერ ორი წლი-  
საც არ იყო. სამაგიეროდ, გიო აღარ ჩერდებოდა:

– კიდევ რას ვიყიდდით?  
– მე რა ვიცი!  
– მანც, მანც? – არ მეშვებოდა გიო. – რა ვიცი, აბა... დიდ სახლს  
ეზოთი... ზაფხულში ჯერ მთაში და შემდევ ზღვაზე დავისვენებდით,  
ზამთარში ვითხილამურებდით გუდაურში ან ბაკურიანში... მსოფლი-  
ოს მოვივლიდით.... გაჭირვებულებსაც დავეხმარებოდით.... და, საერ-  
თოდ, მთელ ქვეყანასაც ავაყვავებდით! – აზარტში შევედი თანდათან.

ჩემს ცოლსაც უნდოდა რაღაც დაემატებინა, მაგრამ მას სანდრომ  
არ აცალა და ფუჭი ოცნების კოშკები წამში გაგვიცამტვერა:

– დებილობა! – ბრაზიანად შესძახა მან.

ჩემში კი აღფრთოვანებამ დაჩრდილა სირცხვილის გრძნობა.



სანდრო (5 წლის)

## ნიკა

ნიკაზე ფეხმძმედ რომ იყო ჩემი ცოლი, გამანდო: ვგრძნობ, რომ ეს ბავშვი მეორე შენ იქნები, ოღონდ, გაუმჯობესებული ვარიანტიო. გარეგნობით მართლაც ვგავართ ერთმანეთს...

ერთხელ, ბაღში სეირნობისას, ახალგაზდა წყვილი გამომელაპარაკა:

– როგორ გგავთ თქვენი შვილი! – ალფროვანებას არ მალავდა ქალი. ქმარმაც აუბა მხარი:

– მართლა, ძალიან! – მერე ღიმილით დაამატა: – წვერები რომ არ გქონდეთ, ვერც გაგარჩევდით!

პო, სწორედ, მაგიტომ მაქვს წვერი, რომ ერთმანეთში არ ვერეოდეთ-მეთქი.

მაგრამ რაც შეეხება ქცევას, აქ რაიმე მსგავსებაზე ლაპარაკი, პირადად ჩემში, დიდ ეჭვს იწვევს.

„ეს არის პიკასოს ბიჭი?! ამით ერთობა პიკასო?!” – ვახსენებ, ხოლმე, ცოლს მის წინათგრძნობებს რაღაც „გაუმჯობესებულ ვარიანტებზე“.

ერთხელ ნიკას უსაქციელობით წყობიდან გამოსულმა დედამისმა ვეღარ მოითმინა და უყვირა: ოჰ, შე გველის წიწილოო!

– შენ – გველი, მე კი – წიწილა! – არ დაახანა პასუხი ნიკამ.

მე მეუბნება: შენ იმიტომ ბრაზობ, რომ წვერები გაქვსო! გგონია, მეშინია შენი?! წვერებს მოგაჭრი და ვეღარ გამიპრაზდებიო!

ძალიან გამითამამდა! „მომაშორეთ ეს აკიმი!“

ისე, ისიც უთქვამს: დიდი რომ გავხდები, მეც წვერები მექნება და მამიკო ვიქნებიო. და, საერთოდ, „არის მასში რაღაც ანტიკური“.

## სკოლაში, ქართულის გაკვეთილებზე დაწერილი თავისუფალი თემები

### მე მახსენდება

მე მახსენდება ლიმონათის მწვანე ბოთლი, რომელშიც სანთელი იყო ჩარჭობილი და ეგრეთნოდებულ 90-იან წლებში შეჩვეული ვიყავი, რომ შვიდი საათის შემდეგ ეს სანთელი ბუუტავდა. ასევე მახსენდება საღეჭი რეზინი „ლავ“-ი, სტიკერები რომ მოყვებოდა; ქალაქში შუქი რომ არ იყო და თუ სადმე მეზობლად მოვიდოდა, მაშინ ჩვენ მათ ვეძახდით „დუბაებს“. მახსოვს გრენდაზერი და დედაჩე-მის მეგობრებთან „დენდიზე“ თამაში. მახსოვს „პა-სეანსის“ სიმღერა „მერვე კლასელო“; და დარდუბალა; და შევარდნაძისადმი გინება რომ ისმოდა; და რადიოდან კასეტაზე მუსიკებს რომ ვიწერდით... და ბოლოს ამ „ბედნიერებას“ ბოლო რევოლუციამ მოუღო... და ახლა ნოსტალგია მომაწვა.

ნიკა (მე-7 კლასი)

### ზამთრის პეიზაჟი

ზამთარია. თოვლი თეთრი საბანივით ეფინება მიწას. გაყინული ცხოველები თავიანთ ბუნაგებში შეყუულან. ხის ტოტები ქანაობს, ყინულის ლოლუებს ეჯახება და სასიამხოვნო ჰანგებს გამოსცემს. თავჩაღუნული ხეები თითქოს ტირიან. ისევ და ისევ მზე არ გამოჩენილა. თითქოს, თეთრწვერა მოხუცი კაცები ცვივიან და დარბიან.

გიო (მე-3 კლასი)

## **ლომი, კუ და კურდლელი**

ლომია კუ დაიჭირა და შეჭმა დაუპირა.

– აბა, ეხლავე შეეშვი მაგას! – დაუჭოჭა მისმა მასწავლებელმა კურდლელმა.

რა უნდა ექნა ლომს, შეეშვა კუს და იქაურობას გაეცალა.

გიო (მე-3 კლასი)

**... და ათოვდა ატმებს...**


ადრეული გაზაფხული იდგა. ჯერ კიდევ სუსხი იყო, მაგრამ მაინც იგრძნობოდა მზის მოთბო სხივების ენერგია, რომელიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ნაწვიმარი მინიდან თავი ამოეყო ნორჩ ბალახს, რომელსაც ახალშობილის წმინდა იერი ჰქონდა. მზის სხივებმა ხე-ებზე კვირტებს გამოახედა, რომლებიც ამით გათამამებულები გა-ფურჩქვნას ლამობდნენ. ზოგი ხე კი არ აპირებდა დაკვირტვას, მათ არ სჯეროდათ ნააღრევი გაზაფხულისა და კუშტად და ალმაცერად უყურებდნენ სულსწრაფსა და მიამიტ ატმის ხეებს. ისინი არც სც-დებოდნენ, წამოვიდა ფიფქები და დაათოვა ხეებს... მაგრამ ყველ-ასგან გასაკვირად, ათოვდა მხოლოდ კუშტად მომზირალთ, ატმებს კი მზის სხივები მფარველობდნენ!

გიო (მე-11 კლასი)

\* \* \*

დილას გავიღვიძე,  
მთაზე ავირბინე,  
გარემოს საღი  
თვალით გადავხედე.  
მთვარემ გადმომხედა,  
და მეც ავხედე,  
მისი ძალებით დავიმუხტე.  
ლოდი ჩავიხუტე,  
მერე ვისროლე,  
კინალამ მომხვდა  
და ჩავიმუხლე.  
მხეცი გადმომიხტა,  
დროც გადამიცდა,  
და უცებ მომინდა  
მე მისი გადახვეტა;  
ველარ შევძელი,  
მან გადმომხვეტა,  
ზემოდან დამახტა  
და ეშვი დამისვა;  
უცებ ვიაზრე,  
მხეცად ვიქეცი,  
მუხლი ავარტყი,  
ეშვი დავუსვი,  
ყელი გამოვლადრე,  
ხორხი გამოვულე,  
მას მერე კი  
კერპად გავიხადე.

გიო (მე-11 კლასი)



ნინო (4 წლის)

### ნამეხარი ხე, რომელზედაც ვფიქრობ

იყო ერთი ხე. მასზე ოდესლაც ფრინველებს ბუდე ჰქონდათ. გამ-  
ვლელ-გამომვლელს თუ გაუწვიმდებოდა, იმ ხეს აფარებდნენ თავს.  
ზოგჯერ ციყვიც გაინავარდებდა ხეზე და ფოთლებს ააშრიალებდა.  
ერთ „მშვენიერ“ დღეს ამოვარდა ქარი და მეხიც გავარდა. იმ

ხეს დაეცა და ორად გააპო. ერთი ნაწილი მიწაზე დაანარცხა. სა-  
მაგიეროდ, მეორემ როგორლაც თავის თავს მოუარა და ტოტები  
ოდნავ გაზარდა. მე კი ვზივარ ხის ნაწილზე და ვუყურებ მის მეორედ  
დაბადებას და ზრდას. ალბათ, ცხოველები ახლაც მიესევიან მას.

ნინო (მე-4 კლასი)

### ფერია-შროშანა

(მას ყველა გამოუვიდა ერთის გარდა)

ოდესლაც არსებობდა უმშვენიერესი ბალი. ის მხოლოდ ყვავილების  
სამფლობელო იყო. ლამაზი შადრევნებიდან გადმოსჩქეფდა წყალი.  
ყვავილები მას „იასამნის ცრემლებს“ ეძახდნენ, რადგან იასამანი  
თავისი ცრემლით გარდაიცვალა ანუ მწუხარებით, იმიტომ, რომ ეს  
წუთისოფელი მძიმეა და მოკლე.

ერთხელაც ატყდა ზარნაშობის კივილი. მთელ არემარეს ალ-  
ისფერმა შიშმა დაურბინა. ყვავილებმა ცახცახი და აქეთ-იქით რხ-  
ევა დაიწყეს. ხეებიდან მანუგეშებელი „წერილები“ ცვიოდა, მაგრამ  
ყვავილები მაინც ვერ დაწყნარდნენ, მათში შიშის შეგრძნება დაძრ-  
წოდა. ზარნაშობის კივილი ცუდის მომასწავებელია, ბალში მყოფთ  
ბედმა არ გაუღიმა. მართლაც ამოვარდა საშინელი ქარიშხალი. ხეებს  
საძირკველიდან გლეჯდა, ყვავილებს სამკაულებს ართმევდა, ხოლო  
სხვებს მრავალ ზიანს აყენებდა.

ლურჯთვალა ია გაიქცა შროშანთან და შეეხვენა: „შენ, ხომ, ჩვენი  
ფერია ხარ, გთხოვ მოიფიქრო ისეთი წინადადება, რომ ქარი გაქრეს“.  
შროშანმა თავისი ზარები ააწკარუნა. ეს წკარუნი რაღაც წინადადე-  
ბას ნიშნავდა. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ქარი გამქრალიყო, ყვავ-  
ილთა სამფლობელო გაქრა...

ოდესლაც არსებობდა უმშვენიერესი ბალი. ის მხოლოდ მშვენიერე-  
ბას აფრქვევდა.

ნინო (მე-5 კლასი)

\* \* \*

ტაძარი დგას ურყევად, ღამის ბინდში გახვეული. ირგვლივ მოკირ-ნყლული ქუჩაა. მთვარე დაჰყურებს ცოდვილ დედამიწას. მის სახეზე სიბრალული და თანაგრძნობაა აღბეჭდილი.

ტაძარში მხოლოდ ერთი ქალი დგას. ის გასაღების წვერით წმენდს საშანდლეს. თავს ეულად არ გრძნობს. მას თვალები იცავენ... ხატების თვალები.

უცბათ, რაღაცის თუ ვიღაცის მიმართ შიშის იგრძნობს. მიუხედავად ამისა ნელა გადის ტაძრიდან. მიდის სადღაც, ადის კიბეზე და უერთდება წყვდიადს.

მთვარე ბნელ ნისლში ქრება.

პატარა სასუფეველი ცარიელია.

.  
ნინო (მე-8 კლასი)

\* \* \*

ზღვის ზეირთები ნაპირს ასკედებიან. მოსაღამოვდა. ყველამ თავის სახლს მიაშურა. მხოლოდ რამოდენიმე მეთევზე დარჩა. ზამთარია, მაგრამ აქ მაინც თბილა. მზის დისკო თანდათან ეშვება მარილიან წყალში. ცა მოწმენდილია. მზე ჩადის და ჩადის. როდესაც ზღვას შეეხო, მისი სხივები ტალღებზე გადავიდა და წითელი ფერი შემატა. მზის ბილიკებზე ტალღები თვალისმომჭრელად აკიაფდნენ. შორს, ჰორიზონტზე გამოჩნდა გემი. მნათობი კი ეშვება ქვევით, უფსკრულში. უცბად გაქრა. მაგრამ სხივები მაინც დარჩა. ნიავმა დაუბერა. პალმებმა ფოთლები ააშრიალეს. ისინი ჩუმად ჩურჩულებდნენ: „მზე ჩავიდა, მზე ჩავიდა“.

ნინო (მე-8 კლასი)

\* \* \*

ოდესლაც, ხალხისგან მივიწყებულ დროში არსებობდა კლდე. მიუვალობის გამო იქ მხოლოდ ჯიხვები ბუდობდნენ. ხანდახან არნივ-იც ესტუმრებოდა იმ ადგილს. კლდეში იყო პატარა მდელო. იქიდან მთელი სამყარო ხელის გულივით გამლილიყო. ყველაზე ლამაზი მზის ჩასვლა იყო: წითლად შეღებილ ცაში ქათქათა ღრუბლები ირეოდა და თვალისმომჭრელად ელვარებდა. ამ დროს გამოდიოდნენ ჯიხვები და გაოცებულები შეჰყურებდნენ ამ სილამაზეს.

მაგრამ ადამიანის თოფი რას გამოტოვებს!..

ეს ამბავი ასე მოხდა: ერთხელ, როცა ჯიხვები გაოცებულები შეჰყურებდნენ მზეს და ბუნებას, ადამიანმა დრო იხელთა, გაწყვიტა ჯიხვები და დაახშო სილამაზე, მშვენიერება... მაგრამ, ამასთან ერთად, საკუთარი აღტაცებაც.

ნინო (მე-5 კლასი)

\* \* \*

ჩვენ გვინდოდა განმარტოება. ამიტომ მთისკენ გავემართეთ. შემდეგ ფეხით გავაგრძელეთ ყვითელი და ვარდისფერი ფოთლებით სავსე გზა. მივდიოდით ზევით და ვცდილობდით სიჩუმისთვის დაგვეგდო ყური. ავედით. იქ პატარა ტბა დაგვხვდა, მისი ნაპირები ცისფერი ბურუსით იყო მოცული.

ჩვენ წარსულის გახსენება ვისურვეთ. მოკლე-მოკლე, დახეთქილ ბილიკებს გაუყენებით და აღმომვჩნდით ძეველ, მოჩუქურთმებულ სახლებთან. მოგვეჩვენა, რომ ისინი დანაღვლიანებული იყვნენ, მათი კრამიტები აღარ ელავდა.

მოგვბეზრდა ხეტიალი, თუმცა, მაინც მივიწევდით წინ.

ტყეში კოდალას კაკუნი გაისმა. პეპლები გაედევნენ ერთმანეთს. ჩვენ წინაშე ათასი ცისარტყელა აისვეტა. რაღაც არნახული ზეიმის დასაწყისს ჰგავდა ეს ყველაფერი. ყველა იქითკენ მიისწრაფოდა და

მოელოდა რაღაც კარგს. ჩვენც მოგვინდა იქ მისვლა. გავიარეთ ათა-სივე ცისარტყელის ქვეშ და ვნახეთ: იქ უზარმაზარ განძს გასცემდნენ, განძს, რომელსაც ვერავინ წარგვტაცებს.

ნინო (მუ-11 კლასი)

### „დედა რომელია, დედა?“

\* \* \*

მაიას მისი მოძღვრისგან ჰქონდა კურთხევა: ყოველდღე ბიბლი-იდან ათი მუხლი უნდა გადაეწერა. ერთხელაც, სახლში რომ დავბრუნდი, რაღაც ნაწერი მიჩვენა: ბიბლიის მუხლების გადაწერას რომ მოვრჩი, მერე უნებურად ეს დავწერე, თითქოს ჩემი ხელი თვითონ წერდაო. მაშინ ნინოზე იყო ორსულად და მერე მე ისიც ვიფიქრე, იქნებ, ეს გარემოებაც იყო რაღაც კავშირში ამ მოვლენასთან. წერილში კი აირა ეწერა:

„ქმაო თეოფილე! დაო ჩვენო!

ამჟამად გატყობინებთ, რომ დღევანდელი, ამნამინდელი ცხოვრება მხოლოდ ტანჯვა და ცრემლთა დენაა. მაგრამ იცოდეთ: მცირედი მოთმინება დიდი ნაყოფის და მოსავლის მომტანია. გამაგრდით. ნუ გადაეწვებით ცხოვრების მორევში. ყოველთვის მზად იყავით უფრო მეტი სინათლის დასანახად იმასთან შედარებით, რაშიც თქვენ იმყოფებით.

ჩვენთან არს ღმერთი.“

\* \* \*

მაია მაგიდასთან იჯდა და ბიბლიის მუხლებს იწერდა. მაშინ გიოზე იყო ორსულად. მე სავარძელში ვიჯექი და რაღაც კრისნაიტულ წიგნს ვკითხულობდი. ცოტა ხანში მაია წერას მორჩია და ეს ტექსტი მიჩვენა, რატომლაც რუსულად დაწერილი:

„На разных уровнях все Т-теории дают более менее подробную, живописную картину мира. Своей наглядностью они втягивают «жаждущего истины», дают ему легкодоступное «чувство истины», подталкивают его в определенное направление «роста».

Если человек покоряется и всецело отдается этим импульсам, сначала (и это начало длится 3-5 лет) все идет отлично, но потом возникают странные препятствия (чем дальше, тем больше) и это естественно. Человек в самом деле получает знание (перемешанное с ложью), но в духовном смысле остается непрорубленным, т.е. он идет вперед, теряет свою старую защиту не получая взамен новый, и из за отсутствия защиты все больше и больше подвергается «нападениям» извне.

В какойто момент Истина открывается перед ним, но он очень далеко ушел «по пути знания», ему кажется, что это стало его вторым я, срослось с ним. И тут он получает искус: или служить полностью отцу зла, или же все бросить, припасть к Стопам Отца нашего Небесного и вслезах умолять о даровании прощения”.

**ჩემეული თარგმანი:** „სხვადასხვა დონეზე ყველა T-თეორია (აქ შეიძლება იგულისხმებოდეს თეოსოფიური თეორიები ღმერთზე, სამყაროზე, ადამიანზე – დ.პ.) იძლევა სამყაროს მეტნაკლებად დეტალურ, ხატოვან სურათს. ის იზიდავს „ჭეშმარიტებას მოწყურებულს“ თავისი თვალსაჩინოებით, ადვილად მისაწვდომ „ჭეშმარიტების განცდას“ აძლევს მას, „უპიძგებს „ზრდის“ გარკვეული მიმართულებით.

თუ ადამიანი ემორჩილება და მთლიანად მიენდობა ამ იმპულსებს, თავიდან (დაახლოებით 3–5 წელი) ყველაფერი მშვენივრად მიდის, მაგრამ მერე თავს იჩენს უცნაური წინააღმდეგობანი (სულ უფრო მეტი და მეტი) და ეს ბუნებრივიცაა.

ადამიანი მართლაც იღებს ცოდნას (სიცრუესთან შერეულს), მაგრამ სულიერი გაგებით რჩება არაგამოფხიზლებული. ანუ ის მიდის წინ, კარგავს თავის ძველ დაცვას ახლის მიუღებლად, და დაცვის უქონლობის გამო სულ უფრო და უფრო მეტად ხდება გარედან „თავდასხმების“ მსხვერპლი.

რაღაც მომენტში ჭეშმარიტება ცხადდება მის წინაშე, მაგრამ კა-  
ცი უკვე ძალზე შორსაა წასული „ცოდნის გზაზე“, მას ეჩვენება, რომ  
ეს ცოდნა მისი მეორე მე გახდა, შეეზარდა მას. და აქ ჩნდება საც-  
დური – ან ბოლომდე ემსახუროს ბოროტების მამას, ან ყველაფერი  
მიატოვოს, დაემხოს ჩვენი ზეციერი მამის წინაშე და ცრემლებით  
შესთხოვოს პატიება“.

\* \* \*

მე ტელევიზორის წინ მდგარ სავარძელში ვიჯექი რაღაცაზე  
ჩაფიქრებული. მაია ოთახს გვიდა. ამჯერად ბავშვს არ ელოდებოდა.  
რაღაც მომენტში შეჩერდა, გამომხედა და უცნაური ფრაზების წარ-  
მოთქმა დაიწყო. ლამაზი სიტყვები და წინადადებები ჩამესმოდა, მა-  
გრამ შინაარსს ვერ ვგებულობდი, ლექსების აღქმა ერთი მოსმენით  
ისედაც ყოველთვის მიჭირს. გავამეორებინე... მერე ვკითხე, ეს რა  
არის-მეთქი. რა ვიცი, აბა.... შემოგხედე და ეს ფრაზები მომივიდ-  
აო... ყოველი ფრაზა შენი სახელის ასოებით იწყებაო. დაწერე-მეთქი,  
ვთხოვე. კარგად რომ გამეგო ნაწერი რამდენჯერმე გადავიკითხე.

რახან შთაგონება გეწვია, იქნებ, ბარემ, იგივენაირად სხვებზეც  
დაწერო-მეთქი – შვილებზე, ნაცნობ-მეგობრებზე!.. უფრო მეტი მინ-  
დოდა, მაგრამ... მოკლედ, ის გამოვიდა, რაც გამოვიდა:

## წინო

ნანატრი ბავშვი  
იისფერ ქარში  
ნანაობს ნაზად...  
ო, როგორ მიყვარს!

## ზუკა

ზურმუხტისფრად დაიღვარა სევდა...

უშენობა გვიმძიმს...

კიდევ გნახავთ?

– აბა, მე რა ვიცი!

## თამაზი

თავისუფლების მაძიებელს, მედგარს და ამაყს,  
აკინძულ ქარვის კრიალოსნად სიტყვათა კონას  
მივუძღვნი – უფლის რჩმენის ელვარე ლამპარს,  
ანთებულს კრძალვით, მორჩილებით და სიყვარულით.  
ზვიადი გული შეიმოსა საუფლო მადლით,  
იესოს ლოცვა წარინერა ფიცარზე გულის.

## ლევანი

(ბოლო სტრიქონი თავში მე გადმოვიტანე,  
ამიტომ გამოვიდა „ილევან“)

იისფერი ცა ლურჯი ფიქრით აღარ დაგვათრობს,  
ლალად გარდასრულ დღეებს, ალბათ, თოვლი მოიმკის,  
ელვარე ზეცა თეთრი ფიქრით გამოგვიტირებს,  
ვით დედოფალა გარდაცვლილი უცხო მხარეში...  
აზვირთებული თანაგრძნობის, სევდის ბილიკი  
ნაშალი ქვების ნაზვავებში ჩაიმარხება.

## ნინო ბურჯანაძე

(ოლონდ, არა ცნობილი პოლიტიკოსი!..

უფრო ვრცელი რომ გამოსულიყო,

ამიტომ დაინერა გვარის მიხედვით)

ბავშვობის წალკოტი ნისლებმა დაფარეს,

უზრუნველ დღეებს დაედო ზღვარი...

რას ირჩევ, მითხარი, სევდას თუ სიამეს?

– ჯვარს ვაცვი ევა, დავუხშე კარი.

ანკარა წყარო კლდით მონახეთქი,

ნარნარი წყალი შენი სამოთხის

აცოცხლებს მაშვრალთ სევდით აღსავსეთ,

ძლიერი სიცხით დატანჯულ მგზავრებს...

ეკრძალვის ძვირი შენს არემარეს.

ერთხელ, ჩემი სიმღერისთვის ტექსტი დამჭირდა და მეც ურცხ-  
ვად ვისარგებლე თამაზზე და ბურჯანაძეზე დაწერილი ლექსებით  
და ასეთი ტექსტი შევაკონინე:

## პორტრეტი

თავისუფლების მაძიებელი, კვლავაც ამაყი,

ძალზე მედგარი, გონიერი და შეუპოვარი,

ზვიადი გული შეუმოსია საუფლო მადლით,

იესოს ლოცვა წარუნერია ფიცარზე გულის.

რწმენის ლამპარს კრძალვით დანთებულს

მუდამ ატარებს ის

მოთმინებით, სასოებით და სიყვარულით.

და თუნდაც ხშირი განსაცდელი თავს არ ანებებს,

მხოლოდ თავისთვის როდი იღწვის სხივანთებული.


ანკარა წყარო კლდით მონახეთქი მისი წიაღის,  
ნარნარი წყალი მკურნებელი მისი სამოთხის  
აცოცხლებს მაშვრალთ, სევდით სავსეთ,  
დატანჯულ მგზავრებს,  
დაქანცულ მგზავრებს ძლიერი სიცხით...  
ეკრძალვის ძვირი მის არემარეს.

დაბოლოს, ჩემზე დაწერილი ის პირველი ლექსი... ბოლო სტრიქონი მერე მიამატა ჩემივე თხოვნით – რატომდაც მინდოდა ექვსი სტრიქონი ყოფილყო (ისე მე ვინდა მრჯიდა?!)... ესეც, სხვა ლექსების და ტექსტების მსგავსად, სასვენი ნიშნების გარეშე იყო... ისევ მე მომიხდა მათი დასმა. სათაურიც მოვუგონე, უფრო სწორად, უბრალოდ აღვწერე როგორც იყო. აი, ეს სათაური და თავად ლექსი:

ლექსი, ცოლს რომ აღმოხდა,  
ოდეს იხილა ქმარი თვისი  
მდუმარედ მჯდომი  
გამორთული ტელევიზორის წინ

დაისადგურებს ნაცნობი სევდა გარინდულ ბალში.  
აშლილ ოცნებად ავარდნილ ალის ფრთიან სვეტებში  
ვიხილე უცხო მარგალიტი, ობლად შთენილი,  
იაგუნდების ზარდახშაში უქმად მბრწყინავი.  
თავისუფლება დაჰჰუართატებს ოქროსფერ ველებს.  
თან, კაეშანი დამსდევს მარად უკურნებელი.





# POEZIIS DRAKONI

ლექსები



## ლექსი ლექსის შესახებ

\*

ზოგი ლექსი, ვითომ ლექსი,  
მართლა ლექსი კი არაა,  
პოეზია კი არაა,  
როგორც ლექსი – არარაა...

არა ფორმა, არა ფერი,  
მეტაფორა – ნაცრისფერი...  
ოდენ რითმა, რიტმი მეტი,  
აზრები კი – მეტისმეტი!...

თუმცა: დროის მოგებაა –  
გრძელი სიტყვის მოკლედ თქმაა...  
კაცის სულში მყოფი ხმაა...  
გულის სიტყვის ამოთქმაა...

\*

მასში ეძებენ აზრებს,  
მასში ეძებენ რითმებს,  
სიმართლეს, სილამაზეს,  
იდუმალების ნისლებს...

ან გრძნეულების ჰანგებს  
და ჯადოსნობის სიტყვებს,  
გრძნობიერების ტალღებს,  
გულიც რომ ვეღარ იტევს...

დრო ულმობელად გარბის...  
ალბათ, დავიცავ წესებს,  
გაბუნდოვნება აზრის  
რადგან უხდება ლექსებს.

## პოეზიის დრაკონი

პოეზიის დრაკონი მცველი არის გრძნეულ-ხის...  
იმ გრძნეულ-ხის ნაყოფის ღირსი ხდება მხოლოდ ის,  
ვინც მაღალ-პოეზიით ბნედას მოჰვრის დროებითა...

ასეთია კანონი: პოეზიის დრაკონი  
იბნიდება დროებით, პოეზიის მოსმენით...  
და ამ დროს შეიძლება ნაყოფის შეთვისება!..

იმ ხის ნაყოფი მაშინ მეც კი მომინდა მაგრად...  
ვიკითხე შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა... მაგრამ...  
დრაკონის მხილველს ლექსი ამომიფრინდა ყველა...  
რაც გამახსენდა უცებ, ის წამოვიწყე ნელა:

„მე პატარა ბიჭი ვარ, გამოვდივარ სცენაზე“...  
მკაცრმა შუბლის შეჭმუხვნამ დამბლა დამცა ენაზე...

და მრისხანე დრაკონმა მეტი აღარ მაცალა...  
ჩემმა ლექსმა ურჩხულის მოთმინება დაცალა...

მისმა თვალის ბრიალმა გული ამიფრიალა...  
მწვდა დრაკონი ქეჩოში, წალმა შემატრიალა...

მაგრამ დაწყნარდა მერე... უცებ იცვალა ნირი:  
– წადი, ბიძიკო, ახლა!.. წადი, იკითხე წიგნი!

\*

არის ასეთი ლეგენდა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა:  
ერთი პოეტი-გენია დრაკონად გარდაისახა!..  
წესრიგი გარდაცვალების არ შეხებია კანონი...  
ახლა მცველია გრძნეულ-ხის, ის – პოეზიის დრაკონი.

## ეს საზიზლარი გალაკტიონი

გალაკტიონზე საჩივარია:  
სიტუაცია ისე არია,  
როს პოეზიას ხელი დარია,  
ყველა დაჩრდილა და გადარია!

გალაკტიონი საზიზლარია!

## ეპიგრაფი

სიტყვა მაქვს!.. პოეტურობას  
არავის დავესესხები!..  
უბრალოდ, მხოლოდ სათქმელი,  
არა-ლექსური ლექსები.

მცირედიც რომ გამოვიდეს,  
მრავალი უნდა დათესო...  
მე კი სულ ცოტა დავწერე,  
მარტოდენ საუკეთესო.

## თეთრი ქვის სვეტი

ბაღის კუთხეში, ტირიფებს შორის  
დგას მოკრძალებით თეთრი ქვის სვეტი...  
პატარა სვეტი, ძლივს შესამჩნევად  
ამოტვიფრული მკრთალი წარწერით...

ვუახლოვდები ბუნდოვან გრძნობით,  
ვუახლოვდები ცნობისმოყვარე...  
ამოტვიფრული წარწერა მაცნობს:  
ეძღვნება უცნობ სიკეთისმოქმედს.

## ვისია?

აღარც სპარსეთის, აღარც არაბის,  
აღარც მონღოლის, აღარც არავის...

აღარც თურქეთის, აღარც ირანის,  
აღარც რუსეთის ის აღარ არის!..

ვაზის და ღვინის, სიცოცხლის ლხინის,  
სიმღერის, ცეკვის, მთა-ბარს რომ ეკვრის...

თან, პირველობის მოსურნე ერის...  
თითო თავისთვის თავისას ელის...

ვისთვის ჭამა-სმის, დროის ტარების,  
სხეულთ სიამის სავანე არის...

ვისთვის კი ფიქრის, მისთვის რომ მიქრის...  
ნაზარდი აზრის, ნაზად რომ გაზრდის...

\*

მეტია უფრო მზრუნველი თავზე,  
არმოფიქრალი კარგზე და ავზე...

ხშირად გამტეხი სიტყვის, პირობის...  
წესრიგი – ლამის ფასად გმირობის...

თავისი თავით ამპარტავნება,  
სხვისი ნალვანის არად ჩაგდება...

სწობური განსჯა... კარგის თქმა არ სურთ...  
ცოცხლებზე, თორემ, მკვდრების აღარ შურთ...

უცხოელს უფრო აწონებენ თავს...  
იმედოვნებენ მისგან შექებას...

მზრუნველნი მეტად, ვიდრე სტუმარზე,  
უფრო საკუთარ მასპინძლობაზე...

და სიამაყე ტრადიციებით –  
ამ ბუნდოვნებით მოსილ ნისლებით...

პატივისმცემნი ძალის... და ვნების...  
არც თუ მოყვარე პატიოსნების...

ერთად ირევა უთავბოლობა,  
ფარისევლობა და პირფერობა...

\*

კუნძულებივით ოკეანეში,  
როგორც ლოტოსი დამდგარ ჭაობში,

არიან აქაც გამორჩეულნი:  
თანამგრძნობელნი და შეგნებულნი...

მარილი ქვეყნის, ქვეყნის იმედი,  
მადლით აღვსილნი და სულიერნი...

გაბედულნი და შემართებულნი,  
ნიჭიერები და ღირსეულნი...

ძველი, ახალი... დიდი კულტურა...  
შესანიშნავი ლიტერატურა,

კინო, თეატრი, ცეკვა, სიმღერა...  
სიკოხტავე და სულიერება...

არ მოგეწონოს, არ აღფრთოვანდე,  
არ შეგიყვარდეს როგორ იქნება!..

\*

კარგიც და ცუდიც საკმაოდ არის...  
ამის განმსჯელი ან კი ვინ არის...

აქ ნახსენები ზოგი რაც არის,  
რაღა თქმა უნდა, სხვაგანაც არის...

მაგრამ ვენდობი ზერელედ განსჯილს...  
და ამისათვის ნურავინ განმსჯის!..

\*

თუკი, რაც არის, იმისი არის,  
ვინც მას უვლის და მზრუნველი არის,

ვინც მით სარგებლობს, ვინც მას იყენებს,  
იმისი არის, რასაც ინებებს,

მაშ, ეს ქვეყანა ვიღასი არის?  
პარლამენტის და მთავრობის არის?!..

ყველა ქართველის?.. ოლონდ, მდიდარის?..  
ქონებიანის და ფულიანის?..

მდიდარ ტურისტის?.. მდიდარი რუსის?..  
მდიდარ არაბის?.. მდიდარი თურქის?..

წარსულში მუდამ მრავალი არის  
შემხსენებელი ძველი იარის...

\*

ვისთვის რუსთველის, ვისთვის სტალინის...  
ვისთვის ლვითისმშობლის წილხვედრი არის.

## ქვა საჩუქრად

(ნ.ბ.-ს, დაბადების დღისთვის)

ეს არის უბრალო ქვა,  
უბრალოდ, უბრალო ქვა.  
თუმცა, ქვა... კენჭი...  
კენჭში – სამყარო მთელი,  
„სამყარო კენჭში“ –  
სიმბოლო ძველი.

მნიშვნელობას, ხომ, ის სძენს ყოველ ნივთს,  
თავად ჩვენ ჩავდებთ მასში რა საზრისს,  
რა მოგონებებს აღძრავს ჩვენში ის,  
ანდაც, ჩვენვე ვჭვრეტთ მასში რას ან ვის...

ქვასავით მტკიცე, ქვასავით მყარი...  
კლდე... პეტრე... ქრისტე... და ეკლესია...  
მაშ, რწმენაც, იმედიც და სიყვარულიც...  
ქვასავით მყარი, ქვასავით მტკიცე!

ეს არის უბრალო ქვა,  
უბრალოდ, უბრალო ქვა.  
თუმც, ხომ, შეიძლება იყოს  
ძვირფასი უბრალო ქვაც.

## თვალები

„სულის სარკეო“ – ვიხსენებ უცებ...  
ადრეც ვფიქრობდი, ახლაც მაფიქრებს:  
როცა ერთმანეთს თვალებში ვუცქერთ,  
ერთმანეთს ვხედავთ თუ მხოლოდ თვალებს?

## და მაინც გვეყვარება

რუსთაველის საქართველო!..  
ღვთისმშობლის წილხვედრო!..  
ლამაზო!.. ძვირფასო!..  
ბევრჯერ ფერფლით აღმსდგარო!..  
სულით გაუტეხელო!

ხან, ღრუბლებით იქუფრება,  
გრგვინავს ცა... ღელავს ზღვა...  
გრიგალი არ ცხრება...  
მაინც მედგრად ვიდგებით!..  
და მაიც გვეყვარება!

## ნასწავლი

დანა-ჩანგლის ხმარებას,  
ეტიკეტის სწავლებას  
ბევრი დრო არ სჭირდება,  
ადვილად ისწავლება...

გახდე განათლებული –  
არც ეს არ არის ძნელი –  
კარგი მასწავლებელი და  
სულ რამდენიმე წელი...

მაგრამ თუკი არა ხარ  
მამაცი... და კეთილი?  
ამას ვინდა გასწავლის,  
რომელი გაკვეთილი?

არ გეყოფა ამისთვის  
მთელი ცხოვრება შენი!

## **ყოფნა უსიყვარულოდ**

ყოფნა უსიყვარულოდ, მართლაც, მოსაწყენია...  
მაგრამ ტრფობა მიჯნურთა – უფრო განსაცდელია...  
ხშირად ტანჯვა, ტკივილი... განბილებაც ბევრია...  
რა სჯობს თუკი ასეა, თუკი ასე ძნელია? –

ტანჯვა სიყვარულისგან – ნაკლებ მოსაწყენია.

## **დაქორწინების მსურველებს**

გრძნობა ისეთი რამეა, მოდის და მიდის, არ რჩება...  
და სიყვარულიც რომ იყოს მარტოდენ გრძნობიერება,  
შეყვარებულთა რწმენა და ფიცი: „მუდამ გვეყვარება“ –  
დაუდევრობა თუ არა, გულუბრყვილობა იქნება!..

და მხოლოდ სიყვარულით მთვრალ შეშლილებს ეპატიება!

## **შერიგება**

ქალის ტუჩებს მარწყვის გემო ჰქონდა,  
კაცისას კი – გაზაფხულის თაფლის...  
კინკლაობას სიყვარული სჯობდა...  
და დაიდგეს გვირგვინები დაფნის.

## **მოსეირე**

ბანანის ქერქი – არვინ ეცემა...  
თოფი კიდია – თუმცა არ ისვრის...  
შენ კი რა გინდა? – „სეირის ცქერა!..  
სისხლი მწყურია!“ – პასუხად ისმის.

## ყვავილი

ყველა ყვავილი ნაგავში მიდის...  
ასეთი არის ყვავილის ბოლო...

ამიტომ, განა, აღარ ჩუქნიან  
ან აღარ უნდათ ყვავილი?!.. ხოლო,

ხომ არ გავს ამას ურთიერთობაც,  
სასიყვარულო თუ სამეგობრო?..

ჩვენი სურვილიც და აღტკინებაც  
დროებითია, ლამაზო, მხოლოდ...

და ეს ღიმილიც, ეს თვალთა მზერაც...  
დასასრულისკენ მიდიან ბოლოს?..

ჩვენი ყვავილი მიწაში ჩავრგეთ...  
და ერთად ვუვლით, ძვირფასო ცოლო!

## ალუდა ქეთელაურის თანასოფლელთა შთამომავლები

ჰყავთ კი ალუდა მათ საამაყოდ?!..  
თვალთაგან ცრემლი თუ დაიდინეს  
თვის წინაპართა ცოდვათა გამო,  
ალუდას მიმართ რომ ჩაიდინეს?!..

\*

და რუსთველითაც ხომ ამაყობენ!..  
და ილიათიც ხომ ამაყობენ!..

## **ჩვენ და ისინი**

ჩვენ კარგები ვართ, ისინი – ცუდი...  
 ჩვენ მაგრები ვართ, ისინი – სუსტი...  
 ჩვენ მართლები ვართ, ისინი – არა...  
 ჩვენ-ქუჩას ვიცავთ – მიზეზად კმარა...  
 ჰავ-ჰავ-ჰავ... ვავ-ვავ... ჰავ-ჰავ-ჰავ...

## **ვეფხვი**

ვეფხვს მკერდში თავისუფალი,  
 მამაცი გული უძერს...  
 ყვითელი, შავზოლიანი  
 ტაძარს შორიდან უცქერს...

მრევლის ხმას ზარის ხმა ფარავს...  
 ქარი კი არხევს ვერხვებს:  
 „მწყემსი სჭირდება ცხვრის ფარას,  
 ის არ სჭირდება ვეფხვებს“.

## **დიალოგები წყვდიადში**

დიალოგები წყვდიადში,  
 ფუჭი ლაყბობა გაბმით!..  
 დაე, გასრულდეს კეთილად  
 და დაგვირგვინდეს ნათლით!

გონების ძალის მოხმობით  
 და სიყვარულის სანთლით  
 ილუზიების ხლართიდან  
 სასუფეველში გასვლით!

## მგელი

მირბის მგელი ტყეში,  
ის აქ ნადირობს,  
მირბის მგელი სწრაფად,  
ეძებს საკბილოს.

მისდევს მგელი ირემს,  
დაჭერა უნდა,  
ის სწრაფია მასზე,  
სხვა რაღა უნდა...

„რატომ ხარ შენ მხეცი –  
ვეკითხები მგელს –  
რატომ სჩადი ამას,  
რატომ კლავ ირემს!“

მპასუხობს მე მგელი:  
„მე ხომ მგელი ვარ?!  
ზოგიც არის მსხვერპლი...  
შენ კი ვინა ხარ?“

„არ მსურს ვოყო მსხვერპლი,  
არც მტაცებელი“ –  
ასე ვპასუხობ მე...  
მაჩერებს მგელი:


„ეს წესი მგლის ბრალი,  
ხომ, არ გგონია?!“  
„არა – ვფიქრდები მე –  
არა მგონია“.

„მაში, კარგად, იმ დრომდე –  
თქვა მგელმა ბოლოს –  
სანამ მგელი კრავთან  
ერთად არ მოძოვს...

შევხვდეთ ისევ სადმე,  
სხვა სამყაროში!“ –  
თქვა და კვლავ ნადირობს  
ამ სამყაროში.

შორს კი მოჩანს ჯვარი,  
მთაზე შემდგარი,  
ბილიკიც კი არი  
მისკენ მავალი.

იქით არის მგელი,  
აქეთ – ტაძარი.  
შენი არჩევანი  
როგორი არი?



## **კომერციულ სამყაროზე გაბრაზებული კაცის ლექსი**

კომერციული სამყარო  
თუ ვინდეს გულის რევას ჰევრის,  
მეც მასთანა ვარ, ეს ზიზღი  
სულ არ მაოცებს, არ მიკვირს.

მთავრობა, პარლამენტარი,  
უურნალისტი და მსაჯული,  
ერი და ბერიც მზად არის  
გახდეს მამონას მსახური;

დამსაქმებლისთვის საჭირო  
იაფი მუშახელია –  
ხელფასი მცირე არის და  
სამუშაო დღე გრძელია;

კარგია ის ხელოვნება,  
რაც კარგად გაიყიდება...  
გეზის აძლევს შემოქმედებას  
მდარე დონის გემოვნება;

მედიისათვის კარგია  
სენსაციური ამბავი...  
მით მეტი რეიტინგია,  
რაც მეტი არის სკანდალი;

მედიცინისთვის კარგია  
ხალხი ცოცხალი რომ იყოს...  
ცოცხალი, ოღონდ, ისე, რომ  
მთლად ჯანმრთელიც რომ არ იყოს;

და საარჩევნო რბოლაში  
ხალხის მანიპულაციას  
ახერხებს უფრო კარგად ის,  
ვისაც რომ მეტი ფული აქვს;

როცა საზომად ღირსების  
პირველი – ქონება არის...  
„თუ ჭკვიანი ხარ, მაშ, ფული  
სად არის, რატომ არ არის?!“

წარმატებაა – მდიდრობა!..  
გამორჩენაა მთავარი!..  
თანაგრძნობა და სიკეთე  
მცირება ან სულ არ არის;

როდესაც განათლებული,  
ნიჭიერი და ჭკვიანი,  
სათნო და კეთილშობილი –  
მნიშვნელოვანი არ არის;

როდესაც პატივცემული –  
ფული და ქონება არის...  
და როცა კაცი კაცისთვის  
ადამიანი არ არის.

\*

მეტიც კი ხდება საშინელება:  
იარაღიც ხომ კარგად საღდება!..  
და კომერციულ ომებს ვინც აწყობს  
ქვეყნად ჯოჯოხეთს ეთამაშება!

\*

ჩემი სიბრაზე და აღშეფოთება  
სულაც არ მინდა დავმალო!..  
ეს საშინელი და ამაზრზენი  
კომერციული სამყარო!

### მუსიკოსებად თქვენ არ ვარგიხართ

კაპიტალიზმიც, სოციალიზმიც...  
დემოკრატიაც, მეფეც...  
ივარგებს მხოლოდ შეგნებულთათვის –  
მისახვედრია ესეც!

ბურჟუა ხართ თუ კომუნისტი ხართ,  
თუნდ, მონარქისტი გახდეთ,  
„მუსიკოსებად თქვენ არ ვარგიხართ,  
როგორც არ უნდა დასხდეთ!“

დიდ ხელოვანთა სიმფონიებიც  
აუდერდებიან ცუდად,  
დილეტანტები და უმეცრები  
თუ ასრულებენ გუნდად...

ვის რა ასწავლა ქრისტიანობამ  
ამ ორი ათას წელში?!..  
რაა სიწმინდე უზნეოების  
და უგნურების ხელში?!

## ჩვენი სიმღერის შეცვლილი ტექსტი

ჩემო კარგო ქვეყანავ, ვხედავ, მოგილხენია!..  
გონიერი, კეთილი – აწმყოც მშვენიერია!  
ძველი – დაფასებული!.. ახალიც, ხომ, შენია!..  
ზნემაღალი, ჭკვიანი, ღირსეული ერია!..

ჩემო კარგო ქვეყანავ, როგორ მოგილხენია!..  
სიხარულით ატარე შენ დიდების დღენია!  
ხალხი – კეთილშობილი, ყველა ბედნიერია!  
აწმყოც მშვენიერია, მომავალიც შენია!

## ამაქვეყნის აბდა-უბდა

აბდა-უბდა ამაქვეყნის,  
აცა-ბაცა სტრიქონები...  
ვიგონებ და ჩემ წინ მიჰქრის,  
როგორც მეტროს ვაგონები...

თუ ჯანმრთელი სხეული და  
უშფოთველი გინდა სული,  
ამისათვის საჭიროა  
ჯანმრთელობა ფინანსური!

ეკონომიკის ძარღვებში სისხლი –  
ასეთი არის ფულის ფუნქცია...  
კორუფციამ კი საკმარი ფული  
ხალხს დიდ პრობლემად გადაუქცია!

ძალაუფლება ვისაც აქვს  
ამ ქვეყნად ფულიც მისია...  
მართვა და ხალხზე ზრუნვაა,  
თუმცა, მთავრობის მისია.

ქვეყნის მართვის ხელოვნება,  
პოლიტიკა რასაც ჰქვია,  
ჩალიჩად და ბინძურ ბრძოლის  
ასპარეზად ვინ აქცია?

პოლიტიკანებს ეს ხალხი  
სჭირდებათ კარგად მართული...  
მათი მანიპულირებით  
არიან მუდამ გართული...

ძალიან ცდება თუ ვინმეს  
უარესები ჰგონია  
ამათზე უწინ რომ იყვნენ:  
„ჯულა“ და „ფუნაგორია“.

\*

ხომ იცი, რატომ უჩმახებს  
დიდი ქვეყანა პატარას –  
ინტერესი აქვს თავისი,  
სურვილებს, ხომ, ვერ დამალავს!

უმართლობა არ იქნება,  
ძლიერი სუსტს არ ჩაგრავდეს?!..  
სამართლიანი იქნება,  
პარადს რომ სუსტი მართავდეს?!

ომის დროს მთავარი არის  
არ-დავიწყება მცნებების...  
განსაკუთრებით მეექვსის,  
„არა კაც ჰკლაო“ რომ არის!

„იარალის-მკეთებელი“  
ადამიანად ვერ იქცა...  
მხოლოდ შეიარაღებულ,  
საშიშ მხეცად გადაიქცა.

\*

„არა კაც ჰკულაო“ – წერია...  
მე გეტყვი: ჰკალ არა-კაცი!..  
მოკალი, ოლონდ, ჯერ შენში!..  
მაშინ იქნები ვაჟკაცი.

„თუ ერთ ლოყაში გაგარტყეს,  
მიუშვირეო მეორე“...  
მე გეუბნები: შენც მისცხე!..  
თუ შეძლებ, გაუმეორე!

„პატიოსნება არ არის  
პროფესია“ – გსმენია...  
გეტყვი: სინდისის გარეშე  
არ ვარგა არც პროფესია!

„თუკი არ არის ლმერთი,  
აღარც არისო ცოდვა“.  
ვინ მოიგონა, ნეტავ,  
ეს სისულელე, ბოდვა!

უმეცარს მქადაგებელი  
ყველა მართალი ჰგონია...  
მსგავსად, როგორც უძლეველი  
წრუნუნას კატა ჰგონია!

„მე უკეთ ვიცი, ვიდრე შენ!..  
დამემორჩილე!.. მიცანი!“ –  
ხშირად, ხომ, სწორედ ეს არის  
ჭკუის-მსწავლებთა მიზანი!

გინდ პოლიტიკის დონეზე,  
გინდაც, უბრალო ხალხის,  
ბატონობაა მიზანი,  
გინდ, ქალის და, გინდ კაცის!

თუ უზნეობა გამეფდა  
და უგნურება ხალხში,  
ყოფილან თავისუფლები –  
როგორც ვირთხები კასრში!

\*

იქნებ, მართლაც ვართ ლირსები,  
რომ გადაგვადნონ ცეცხლში...  
თუ თავად არ გადავედნეთ  
ჩვენვე – მდუღარე ცრემლში!

### სადლეგრძელო

სიცოცხლე საჩუქარია,  
მადლიერებით მივიღოთ!  
ღვთის სიბრძნე და სიყვარული  
თავად უფლისგან მოვიღოთ!

უფალი შემოქმედია,  
თანაშემოქმედნი ვიყოთ!  
არსით, ხომ, უფლის ხატი ვართ,  
ჩვენც უფლის მსგავსები ვიყოთ!

სიმართლეს, პატიოსნებას,  
არასდროს არ ვუღალატოთ!  
განათლება და განწმენდა  
არასდროს არ მივატოვოთ!

და სიყვარული მოყვასის  
ღვთის მადლით გულში სულ გვენთოს!  
მისი ნაყოფი – სიკეთე –  
სულ მუდამ გვეკეთებინოს!

სიმართლითა და სიკეთით  
უფალი გვეხარებინოს!  
მას-დამსგავსების სურვილი  
ღვთისთვის აგვესრულებინოს!

განლმრთობის საქმე დიადი  
ბეჯითად გვეკეთებინოს!  
კეთილი საქმით და სიტყვით  
ერთურთი გვეხარებინოს!

### ვინ არ იცის?

რელიგიები – ვით პარტიები!..  
რა არის მათი ნამდვილი როლი?  
ბატონობაა მათთვის მთავარი?..  
უნდათ, ხელთ ეპყრათ ხალხზე კონტროლი?..

წლები გადიან, დრო ინავლება...  
მთავარი არვის არ ენაღვლება...  
მთავარი მაინც არ ისწავლება!..  
მოცემულია, თუმცა, სწავლება:

გიყვარდეს ღმერთი-ჭეშმარიტება,  
ღმერთი-სიკეთე-მშვენიერება,  
ღმერთი-სიცოცხლე, ღმერთი-ბუნება,  
მოწყალება და დიდბუნოვნება!..

და შეიყვარე მოყვასი შენი  
როგორც ღვთის ხატი და თავი შენი!..  
და იმას, რასაც თავს არ უსურვებ,  
ნურც სხვისთვის გინდა, ნურც სხვას უსურვებ!..

ერთიანია ბუნება თქვენი –  
ადამის, ევას გაქვთ ერთი გენი...  
და ღვთის ხატი ხართ და უფლის ძენი!..  
მიიღეთ როგორც დიადი ძლვენი!

თავისუფალი ხართ შემოქმედი!..  
თქვენს ხელშივეა თქვენივე ბედი...  
დღე მისდევს დღეს და წელს მისდევს წელი...  
მუდამ გმფარველობთ უფალი თქვენი!..

თქვენით სტკივა და თქვენითვე ხარობს!..  
თქვენით იცინის და თქვენით დარდობს...  
თქვენს წამლობაზე მუდამ მზრუნველი...  
სიმართლისა და სიკეთის მცველი...

მადლიერებით და მოკრძალებით,  
თანამშრომლობით შეუწყვეთ ხელი!  
სიტკბოებაში და სიხარულში...  
და სიყვარულში გალიეთ დღენი!

## მეოთხე დონე

**პირველი:** ცხოველური. ადამიანი-ცხოველი.

ჯუნგლები, კონკურენცია, ვინ ვის.

აგრესია, გაქნილობა, ვერაგობა.

გადარჩენა, გამარჯვება, პირველობა.

**მეორე:** ადამიანი-მოვაჭრე. კეთილმოვაჭრე.

ხელი ხელს ბანს... მე შენ, შენ მე.

გონივრულობა, მოხერხებულობა, ანგარიშიანობა.

მოგება, კომფორტი, კეთილდღეობა.

**მესამე:** სინდისიერი, ადამიანური ადამიანი.

ჩვენ ერთნი ვართ... მოექეცი სხვას ვით საკუთარ თავს.

თანაგრძნობა, გულისხმიერება, კეთილშობილება.

სიმართლე, სიკეთე, სილამაზე...

## ტალღები ზღვაზე

ზღვაზე ტალღები წარმოიშობა...

წარმოიშობა და მერე ქრება...

ტალღები ქრება, მაგრამ ზღვის წყალი

მათი გაქრობის შემდეგაც რჩება.

მხოლოდ ის ტალღა, რომელმაც იცის

სინამდვილეში რომ ზღვის წყალია,

თუმცა კი კვდება, როგორც ზღვის ტალღა,

როგორც ზღვის წყალი ის უკვდავია.

\*

ჩვენ არ ვართ მხოლოდ ტალღები ზღვაზე,

ჩვენ თავად ზღვაც ვართ ტალღებად მყოფი.

## პინოქიო

„კაცია ადამიანი?!“  
ლვთის ხატი და ლვთის მსგავსობა?..  
თუ მარტოდენ არჩევანი,  
მსგავსობის შესაძლებლობა?..

\*

პინოქიო შეიძლება  
ნამდვილ ბიჭად ქცეულიყო...  
ის, ასევე, შეიძლება  
ვირად გადაქცეულიყო!

ასეც მოხდა, შეცდენილი  
ჩოჩორად რომ გადაიქცა...  
მხოლოდ წყალში განბანილი  
კვლავ ხის ბიჭუნად რომ იქცა...

ბოლოს კი გახდა ნამდვილი –  
მამის საძებრად წასული,  
გმირულად თავგანწირული,  
თვის თავზე ამაღლებული!

\*

და ყოველი კაცის შობით  
ეს ამბავი კვლავ იწყება...  
და ამ მარადიულ ზღაპრის,  
ალბათ, არ ღირს დავიწყება!

გვიან იქნება კაცმა  
თავში ჩლიქები იცეს!..  
და შეიძლება ხალხიც  
ვირების ჯოგად იქცეს!

## ფეხბურთის დიადი რაინდები

პელე „ფეხბურთის მეფეა“!..  
მარადონა, ხომ, „ღმერთია“!..  
მესი? – „ფეხბურთის მესია“!..  
სამივე უკეთესია!

\*

გასაოცარი ტალანტის სხვებიც,  
ხომ, მრავალი არის,  
ალფროვანების, ზეიმის  
და სიხარულის მომტანი:

დისტეფანო და პუშკაში,  
ბესტი და ბობი ჩარლტონი,  
კრიშტიანუ და ზიდანი,  
კრუიფი და ვან ბასტენი...

რონალდო, რონალდინიო,  
რუმენიგე და პლატინი...  
ფეხბურთის დიდი ვარსკვლავი  
კიდევ, ვინ იცის, რამდენი!..

\*

და კიდევ, ჩვენთვის ძვირფასი  
მესხი და მეტრეველია...  
ყიფო და დარასელია,  
გუცაევი, შენგელია...

პაიჭაძე... სხვა მრავალი,  
გინდ ძველი და გინდ ახალი...

## სნობები

სნობებს უცნობი ეჩოთირებათ...  
თავები მოაქვთ უფრო მეტებად...  
თბილი სიტყვები არ ემეტებათ  
და ეჩვენებათ გადამეტებად...

აქებენ მხოლოდ, ვინც ცნობილია –  
არ-ქება მათი, ხომ, სირცხვილია...  
სნობი ყოველთვის უფრო ფრთხილია...  
უცნობი მისთვის უცხო ხილია...

ცნობილთ ქებისთვის სნობი მალია...  
უცნობის მიმართ სნობი მფრთხალია –  
ემანდ არ შეცდეს – ეს მთავარია!..  
უმთავრესი, ხომ, თავის თავია!

## შემომხედეთ

შემომხედეთ, რა ლამაზი ვარ, შემომხედეთ!..  
შემომხედეთ, რა მაგარი ვარ, შემომხედეთ!..

შემომხედეთ, რა მართალი ვარ, შემომხედეთ!..  
შემომხედეთ, რა კეთილი ვარ, შემომხედეთ!..

შემომხედეთ, რა მამაცი ვარ, შემომხედეთ!..  
შემომხედეთ, რა ზარმაცი ვარ, შემომხედეთ!..

შემომხედეთ, რა ნაცემი ვარ, შემომხედეთ!..  
შემომხედეთ, რა ნაგვემი ვარ, შემომხედეთ!..

შემომხედეთ, რა უძლური ვარ, შემომხედეთ!..  
შემომხედეთ, რა უგნური ვარ, შემომხედეთ!..

შემომხედეთ, რა ნაგავი ვარ, შემომხედეთ!..  
შემომხედეთ, რა მზაკვარი ვარ, შემომხედეთ!..

შემომხედეთ, რა ბოროტი ვარ, შემომხედეთ!..  
შემომხედეთ, რა გოროზი ვარ, შემომხედეთ!..

შემომხედეთ, რა ნატანჯი ვარ, შემომხედეთ!..  
შემომხედეთ, რა მახინჯი ვარ, შემომხედეთ!..

შემომხედეთ, მაშ, შემომხედეთ, შემომხედეთ!..  
შემომხედეთ! – ეს მთავარია!

### მოყვარული ასტრონომის ლექსი

ვინ ხარ ან რა ხარ, რას უფრო გავხარ?  
იქნებ, მზეს, მნათობს... პლანეტებს ათბობ...

პლანეტები, ვით მზეზე მღლოცველნი,  
თაყვანისცემით რომ უვლიან გარს,  
მისი მორჩილნი და მიმდევრები,  
მონოტონურად ასრულებენ ვალს.

პლანეტებსაც ჰყავთ თანამგზავრები,  
ზოგიერთს – ერთი, ზოგს – რამდენიმეც...  
ასეც, ხომ, ხდება: ვინც სხვას მორჩილებს,  
ხშირად ის მერე სხვებს იმორჩილებს.

მხოლოდ კომეტა, განცალკევებით,  
განდეგილივით, თავისუფალი,  
მიჰქერის ამაყად და შეუპოვრად,  
თითქოს თავისი მას აქვს მიზანი...

თუმცა, აქვს მასაც თვისი ორბიტა,  
მიზიდულობის თავისი ცენტრი...  
მიზიდულობას ემორჩილება  
მეტეორი და ასტეროიდი...

იგივე წესი მართავს ყველაფერს,  
რაც კი კოსმოსში ოდესმე სუფევს,  
თავად შავ ხვრელებს, თვით გალაქტიკებს  
და მათ დიდ ჯგუფებს, ჯგუფების ჯგუფებს...

ვინ ხარ, მითხარი, რას უფრო გავხარ:  
კაშკაშა ვარსკვლავს, პულსარს თუ კვაზიარს,  
მთვარეს, კომეტას, შავ ხვრელს, პლანეტას,  
თანავარსკვლავედს თუ გალაქტიკას?

„მე ვარ არარა, სიცარიელე,  
უსასრულობა, სრული უკუნი,  
სად იშვებიან, სად დაცურავენ  
ეს საოცარი გალაქტიკები“.

### სათამაშოს არ ვამტვრევდი

სათამაშოს არ ვამტვრევდი,  
რომ გამეგო შიგ რა ხდება...  
უბრალოდ თამაშს ვარჩევდი...  
ის ბავშვობა მახსენდება...

ახლა ვიმტვრევ თავს, შეშლილი,  
ახლა, როცა გავხდი დიდი,  
რომ გავიგო: რა არის და  
როგორ არის მოწყობილი.

\*

სამყაროს აქვს კანონები  
და თავისი საიდუმლო...  
და თუ მისი წვდომა გინდა,  
თავი უნდა დაიდუმო...

კანონების შემეცნებას  
აზროვნება დასჭირდება;  
იდუმალთან ზიარებას –  
მხოლოდ სრული გარინდება.

### სახურავზე

წვეთი ჟონავს ჭერში  
და ეცემა დაბლა...  
სახურავზე ასვლა  
საჭიროა, ალბათ...

მაღლა მარტო მდგომის  
ყურადღებას, თითქოს,  
გვიან შემოდგომის  
ცის სურათი იპყრობს...

მოთეთრო ცის ფონზე  
მოშავო ღრუბლები  
მიცურავენ ნელა,  
ოდნავ ქროდა ქარი...

სახლის სახურავზე  
გაუნძრევლად მდგარი  
უნებლიერ ვუცქერ,  
მიშტერდება თვალი...

და უეცრად ვქრები –  
ალარავინ არი...  
მხოლოდ მდინარება –  
ცა, ღრუბელი, ქარი...

მხოლოდ ყურადღება –  
მომზირალი თვალი,  
უნებლიერ ცქერა,  
გაუნძრევლად მდგარი.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>ჩნდება კითხვები...</b> (შესავალი) .....	3
<b>ფიქრთა ტალღები</b> (ფრაზები, მინიატურები) .....	5
<b>მე, პიროვნება, თავისუფლება</b> (ესეები).....	19
<b>მწვანე ზღაპარი</b> (იგავები, მოთხრობები) .....	95
<b>პოეზიის დრაკონი</b> (ლექსები) .....	143



დაიგეზდა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.  
 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com

## **ფიქრთა თალღები**

ფრაზები, მინიატურები

მე. პიროვნება, თავისუფლაბა

ესეები

## **მნეანე ზღაპარი**

იგავები, მოთხოვებები

პოეზიის დრაკონი

ლექსები